დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 25 აპრილი - 1 მაისი

N18 1430

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# გია ბუღაძის შვილმა ჯარისკაცის მამა შეურაცხყო!





8 ერმა ეს არ უნდა მოითმინოს!

ბუღაძეებო, გამოდით ხაზარაძის ტუალეტიდან!



ვინ ჩამოიყვანა გადატრიალების მოსაწყობად ლენინმა და ვის ჩამოიყვანს სააკაშვილი? 19

**ჯეფრი სილვერმანი:**

15 ფრთხილად, საქართველოში სისხლისღვრა არ მოხდეს!



9

**მაია ნიკოლეიშვილი:**

## სხვა ქვეყნის ჭირისუფლობას სჯობს, ჩვენი ქვეყნის მესაზღვრეები ვიყოთ!

14

**იმედა კახიანი:**

18 მამა-შვილი ბუღაძეები სულ გაგიჟდნენ?



საქართველო „პლანაქეშების“, ავანტიურისტების, პროვოკატორების, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშების და აგენტების, ჩვეულებრივი გიჟებისა და ფსიქოპათების ჭკუაზე არ გაივლის!

**მამა დავითი (ისაკაძე):**

უკრაინაში ღმერთთან და ჭეშმარიტ ეკლესიასთან განხეთქილება გახდა ამ ქვეყნისთვის თავს დატეხილი სასჯელის მიზეზი! 16




**ვახტანგ ხარჩილავა**

10

## გეოპოლიტიკურ ჯვარზე გაკრული ქვეყანა



# ზელენსკის ბიჭებო, სანამ ნაყოფიას თქვენთან ასე ახლოს მიიხუნებთ, ცოტა ფრთხილად იყავით, ემანდ, კრემლის ფარული ემისარი არ შეგრჩეთ ხელში!



## 1 ამხანაგი ნაყოფია ზელენსკიშიც ნამყოფია!

***კიევში მყოფ ნაციონალური მოძრაობის დელეგაციას ნიკანორ მელიას, კობა ნაყოფიასა და ექა ხერხეულიძის შემადგენლობით უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის რეზიდენციაში უმასპინძლეს. შეხვედრას, რომელიც სააკაშვილის სექტის წარმომადგენლებთან ამა წლის 21 აპრილს შედგა, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი, რადას თავმჯდომარე ვიქტორ სტეპანჩუკი და რადაში ზელენსკის პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე დავით არახამია ესწრებოდნენ.***

ბუნებრივია, გასაკვირი არ არის, რომ უკრაინული სახელმწიფოს მაღალი რანგის წარმომადგენლები ნაცებს გულთბილ შეხვედრას უმართავენ, რადგან ნაციონალური მოძრაობა უკრაინის ხელისუფლებაში თავისი „მძიმე არტილერიით“ გახლავთ წარმოდგენილი **ზურაბ ადეიშვილისა** და **გიორგი ლორთქიფანიძის** სახით.

ამდენად, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ **21 აპრილს უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემდგარი შეხვედრა სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ერთი პარტიის ორი განყოფილების — ნაციონალური მოძრაობის ქართული და უკრაინული ფრთის პოლიტიკური რანდევუ!** აბა, შევხედოთ: მაგიდის ერთ მხარეს — სააკაშვილის ქართული პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები — **მელია, ნაყოფია და ხერხეულიძე,** ხოლო მაგიდის მეორე მხარეს — სააკაშვილის უკრაინული პარტიის „ახალი ძალების მოძრაობის“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი **დავით არახამია,** რომელზეც სააკაშვილს ტყუილად არ უთქვამს — ჩემს ხელშია დაფრთიანებულიო!

არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში **მელიას, ნაყოფიასა და ხერხეულიძის** მიპატიჟება ნაციონალური მოძრაობისათვის „სახის შენარჩუნებასა“ და „მარკის აწევას“ ისახავს მიზნად. კერძოდ, **ამ ფორმალური შეხვედრით ნაცებმა საქართველოში თავიანთ მომხრეებს აჩვენეს — უკრაინის ხელისუფლების ლიდერები მარტო საქართველოს ოფიციალურ საპარლამენტო დელეგაციას კი არა, ჩვენც გვხვდებიან და კიევში ტყუილად არ ჩავბლაყუნებულვართო!**

ისიც ცხადია, თუ რაზე დაელაპარაკებოდნენ ნაცმოძრაობის ქართული ფრთის წარმომადგენლები ნაცმოძრაობის უკრაინული ფრთის წარმომადგენლებს — **რასაკვირველია, კვლავ იმის მტკიცებას დაუწყებდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთუმეა და პუტინს უჭერს მხარს, უკრაინის ერთადერთი ნამდვილი მეგობრები და მხარდამჭერები კი მხოლოდ ნაცები არიან და ახლა ხელისუფლებაში რომ ყოფილიყვნენ, რუსეთისათვის მეორე ფრონტი უკვე გახსნილი ექნებოდათ!**

რა თქმა უნდა, **მელია, ნაყოფია და ხერხეულიძე** უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს სააკაშვილის ციხიდან გამოყვანის საკითხზე დაელაპარაკებოდნენ და სთხოვდნენ, რომ ზელენსკის გუნდმა საქართველოს ხელისუფლებისაგან პოლიტიკური და მორალური ზეწოლის გზით მოითხოვოს **„პოლიტპატიმარ მიშას“** უკრაინისათვის გადაცემა.

ისე, საინტერესოა, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა **ერმაკმა** და რადას თავმჯდომარე **სტეპანჩუკმა** იციან თუ არა ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის კობა ნაყოფიას ბექგრაუნდის შესახებ, რომელიც მთლიანად რუსეთთან არის დაკავშირებული? დიახ, **რუსეთთან ომში მყოფი ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს, ნეტავი, თუ მოეხსენებათ რომ, ნაყოფიას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია აქვს დამთავრებული და წარმატებული ბიზნესკარიერაც მოსკოვში ააწყო, სადაც რუსეთის ნავთობისა და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრისა და დუმის ყოფილი წევრის, პუტინთან მჭიდროდ დაახლოებული სერგეი გენერალოვის კომპანიის — „პრომიშლენნიე ინვესტორის“ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა?**

ასე რომ, ზელენსკის ბიჭებო, სანამ ნაყოფიას თქვენთან ასე ახლოს მიიხუნებთ, ცოტა ფრთხილად იყავით, ემანდ, **კრემლის ფარული ემისარი** არ შეგრჩეთ ხელში! შეიძლება, თქვენ მთლად კარგად არ იცით, მაგრამ **ამხანაგი ნაყოფია, რომელიც ზელენსკისშიც ნამყოფია,** ერთობ მარიფათიანი პერსონაჟი გახლავთ და კრემლის დუმაშიც და სააკაშვილის ნაცშიც ერთნაირი წარმატებით ახერხებს ყოფნას!



***სააკაშვილის სექტაში ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თავიანთი ხელმოცარულობის მიზეზი არა თავიანთსავე ბნელ და დანაშაულებრივ წარსულში, არამედ ლინგვისტურ ლაბირინთებში უნდა ეძიონ.***

## 2 ნაციონალები „ეროვნულ დღესასწაულს“ ვერ გამართავენ, მათ მხოლოდ „ნულების დღესასწაულის“ გამართვა შეუძლიათ!

კერძოდ, ნაცებს ჰგონიათ, რომ, თუ თავიანთ პოლიტიკურ ლექსიკონში სიტყვა **„აქციას“** ჩაანაცვლებენ სიტყვებით — **„ეროვნული დღესასწაული“,** ქუჩაში მაშინვე ასიათასობით ადამიანს გამოიყვანენ და ხელისუფლებას დაამხობენ. ჩვენი თუ არ გჯერათ, აგერ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ სახეს, პავლიკ მოროზოვის თანამედროვე რეინკარნაციას — **ლევან ხაბეიშვილს** მოუსმინეთ, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: **„ჩემი აზრით, უნდა მოვემზადოთ დიდი ეროვნული დღესასწაულისთვის, ზეიმისთვის, რაც ნიშნავს „ქართული ოცნების“, ანუ რუსული მმართველობის დასრულებას. შევცვალოთ ეს ტექსტი — აქცია კი არა, ჩვენ გვჭირდება დიდი ეროვნული დღესასწაული, სადაც ზეიმითა და დღესასწაულით გავაცილებთ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებიდან“.**

სიტყვა „აქციის“ ჩანაცვლება „დღესასწაულითა“ და „ზეიმით“ ნაცსექტის ე.წ. მესიჯბოქსის ნაწილი რომ არის, ამაზე თავად სააკაშვილის განცხადებაც მეტყველებს, რომელიც ბოლო სასამართლო პროცესზე გააკეთა: **„ჩვენ გვჭირდება ერთიანობის დემონსტრაცია და ერთიანობის ზეიმი. ეს თავისუფლად შეიძლება იყოს 200 ათასი ადამიანიც და არა რაღაც მორიგი აქცია“.**

ე.ი. სანაცეთში ფიქრობენ, რომ ხალხს არა **„აქციაზე“,** არამედ **„ზეიმსა“** და **„ეროვნულ დღესასწაულზე“** თუ უხმობენ, ქართ-

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ერთი წლის წინათ, ჩემი გადაწყვეტილებით, **სოციალურად დაუცველ ბავშვებს დახმარება გავუორმაგეთ.** მანამდე იყო **50 ლარი** და გახდა **100 ლარი.** მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული დახმარება გახდეს **150 ლარი.**

„ახალი თაობა“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ჩვენ გვაქვს სამი აღიარებითი ჩვენება — **ბოკერია, მშვენიერაძე, ვაშაძე,** სამივემ აღიარა, რომ **შეკრებაზე განიხილებოდა ხელისუფლების ცვლილების საკითხი** — საკმაოდ საინტერესო სათაური ჰქონდა ამ ღონისძიებას — **„როგორ დავასრულოთ ტირანია“** და ტირანია რომ არ გაქვს და დასრულებას ცდილობ, ამიტომ ხარ სწორედ წარუმატებელი.

„პალიტრანიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



რადას სპიკერის განცხადების შემდეგ **ჩვენი დელეგაცია იყო მეორე საპარლამენტო დელეგაცია, რომელიც ჩავიდა კიევში** — განცხადებები **„თითქოს საქართველომ დააგვიანა“** და **„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, იყო სპეკულაცია.**

**ფანჩატურისა** და **ქოლგის** იდეა ჩავარდა — თუ ასეთი მავნებლური დღის წესრიგით მუშაობა გააგრძელეს, **რიგგარეშე არჩევნებზე ფიქრი დასრულებული არ ექნებათ, რომ რიგით არჩევნებში დამარცხდებიან.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა **ფარსი** და **პატრიოტიზმის იმიტაციაა.**

„ინტერპრესნიუსი“

ველებს მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის მიერ საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურება ერთბაშად მიავიწყდებათ და **200 ათასი ადამიანი** რუსთაველის გამზირზე **ხაბეიშვილისა** და **დეკანოიძის, მელიასა** და **ხერხეულიძის, გოცირიძისა** და **ბოკუჩავას, უდუმაშვილისა** და **წითლიძის** გვერდით დადგება, რათა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებიდან გაუშვას და მის ადგილას **კოლექტიური სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა, მეგის ქარდავა, კოხტა კოდუა** და ყავარჯნიანი გამაუპატიურებელი **თემურ უზირია** მოიყვანოს.

**ნაცებო, თქვე სულძაღლიანებო, როდისღა უნდა მიხვდეთ და შეიგნოთ, რომ ქართველმა ხალხმა 10 წლის წინათ „მგლის ბილეთით“ გაგიშვათ ხელისუფლებიდან და ახლა აქციასა და მიტინგს რაც არ უნდა „ზეიმი“ და „დღესასწაული“ დაარქვათ, უკან არაფრის დიდებით არ დაგაბრუნებთ?**

ქართველი ხალხისათვის ნამდვილი ეროვნული დღესასწაული ის იქნება, ნაციონალური მოძრაობა ქართული პოლიტიკიდან სამუდამოდ რომ გაქრება და ქვეყანა ამ მანქურთებისაგან უკუნითი უკუნისამდე დაისვენებს!

**ნაცები საქართველოში „ეროვნულ დღესასწაულს“ ვერასოდეს ჩაატარებენ, რადგან მათ, როგორც პოლიტიკურად და მორალურად განულებულ ლუზერებს, მხოლოდ „ნულების დღესასწაულის“ გამართვა შეუძლიათ, ნული კი 200 000-ზეც რომ გაამრავლო, მაინც ნულია!**

# 200 000-ჯერ ნული მაინც ნულია!






# ოო, ძვირფასო ათო წელიწადო! ვაი, „ოცნებას“, რომელმაც რიგიანად ვერ მოგიხმარა!

***„ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა, — წერს თავის „მგზავრის წერილებში“ პეტერბურგიდან თბილისს მომავალი ილია ჭავჭავაძე, რომელიც ოთხ წელიწადს იყო მოშორებული სათაყვანებელ სამშობლოს და იმის ფიქრი აწვალებდა — როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მეო!***

დღეს კი ქართველი საზოგადოების უმრავლესობას აწუხებს კითხვა — **რამდენად რიგიანად მოიხმარა „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის 10 წელი? დიახ, 2022 წლის 21 აპრილს „ქართულ ოცნებას“ დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა და პარტიის პოლიტსაბჭო საიუბილეო თარიღს საგანგებო წერილით გამოეხმაურა, რომელშიც, ძირითადად, მიღწევებსა და წარმატებებზეა საუბარი.**

რა თქმა უნდა, „ქართულმა ოცნებამ“ 10 წელიწადში კარგი საქმეებიც გააკეთა, იმათ შორის კი ყველაზე უკეთესი ის არის, რომ სახელმწიფო სისტემა ძალადობასა და ადამიანის ჩაგვრას აღარ ეფუძნება. გარდა ამისა, **„ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა, 10 წლის განმავლობაში ისეთი პოლიტიკა ეწარმოებინა, რომ ქვეყანა ომში არ გახვეულიყო და ტერიტორიები არ დაეკარგა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, უპრეცედენტო მოვლენაა.**

და მაინც, ვერ ჩავთვლით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის ძვირფასი 10 წელი რიგიანად მოიხმარა, რადგან სააკაშვილის რეჟიმის მიერ უკანონოდ დაპატიმრებული, ნაწამები და ქონებაწართმეული ბევრი ადამიანი ამ დრომდე ვერ ეღირსა შელახულ უფლებებში აღდგენასა და დაპირებული სამართლიანობის აღსრულებას!

სამაგიეროდ, **იგივე ადამიანები 10 წელია, ხედავენ, რომ ქართველი ხალხის მიერ პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლილი ნაციონალური მოძრაობა კოჰაბიტაციის შედეგად ჯერ ფერფლიდან აღდგა, მერე კი ისე მოფერიანდა და გათავხედდა, რომ კვლავ ძალაუფლებას ეპოტინება და ქვეყანას მუდმივი დაძაბულობის რეჟიმში ამყოფებს, სახელმწიფოს პერმანენტული შეჯანჯღარებით არის დაკავებული და მისთვის ძირის გამოთხრას ცდილობს.**

დიახ, **„ქართულ ოცნებას“ ძვირფასი 10 წელი რიგიანად რომ მოეხმარა,** დღეს საქართველოს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენების სახით ანტისახელმწიფოებრივი ოპოზიცია არ ეყოლებოდა და ქართველი ხალხი მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელთა რევანშის საფრთხის წინაშე არ იდგებოდა.

**„ქართულ ოცნებას“ ძვირფასი 10 წელი რიგიანად რომ მოეხმარა, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენლები დღეს ვერც უკრაინის ხელისუფლებაში იქნებოდნენ მოკალათებული მაღალ თანამდებობებზე და იქიდან ვერ შეეცდებოდნენ ქართული სახელმწიფოსათვის სამარის გათხრას!**

**„ქართულ ოცნებას“ ძვირფასი 10 წელი რიგიანად რომ მოეხმარა,** დღეს არც ქართული სასამართლოს სისტემა იქნებოდა **მურუსიძე-ჩინჩალაძეთა** ხელში, **ბოკერია-ბარამიძე-გვარამიები** კი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის მაგივრად ციხეში ბალანდის თქვლეფით იქნებოდნენ დაკავებული!

ერთი სიტყვით, ვაი, „ქართულ ოცნებას“, რომელმაც ძვირფასი 10 წელი რიგიანად ვერ მოიხმარა! რაც შეეხება მის 10 წლის იუბილეს, აქ მხოლოდ დიდი ვაჟა-ფშაველას სტროფის გახსენება შეგვიძლია — **„იუბილეი გაჭირდა, როგორც მაისში რწყილები, ბედნიერი ხარ, სამშობლოვ, ბედნიერი გყავს შვილები!“**

აკი, „ბედნიერი ერიც“ ჩვენზეა დაწერილი!

**ჯაბა ხუბუა**

**„ქართულ ოცნებას“ ძვირფასი 10 წელი რიგიანად რომ მოეხმარა, დღეს არც ქართული სასამართლოს სისტემა იქნებოდა მურუსიძე-ჩინჩალაძეთა ხელში, ბოკერია-ბარამიძე-გვარამიები კი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის მაგივრად ციხეში ბალანდის თქვლეფით იქნებოდნენ დაკავებული!**



# წმინდა მონების კრიტიკა

**წინამდებარე წერილის სათაური დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის ეპოქალური ნაშრომის სახელწოდებას — „წმინდა გონების კრიტიკას“ ეხმიანება.**

და ვინ არიან **„წმინდა მონები“?**

საქმე ის არის, რომ საქართველოში საზოგადოებისა თუ პოლიტიკური სპექტრის უკიდურესი პოლარიზაციის რეფრენი უდავოდ არის სიტყვა **„მონა“.** დაპირისპირებულ მხარეებს ძალიან უყვართ და ეხერხებათ ერთმანეთის **მონებად** მოხსენიება. შესაბამისად, გვაქვს პოპულარული გამოთქმები: **„ბიძინას მონა“, „მიშას მონა“, „რუსეთის მონა“, „ამერიკის მონა“** და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ **მონობა,** როგორც მოცემულობა ან ტერმინი, შეუძლებელია, დადებით კონოტაციას შეიცავდეს (გარდა ერთადერთი გამონაკლისისა — **„მონა ღვთისა“),** ჩვენში **მონები** მაინც ორ ნაწილად იყოფიან — **კარგ და ცუდ მონებად, პროგრესულ და რეგრესულ მონებად, უფლებიან და უუფლებო მონებად, წმინდა და უწმინდურ მონებად.**




პირობითად, **„ამერიკის მონა“** ითვლება **„კარგ მონად“,** ხოლო **„რუსეთის მონა“ — „ცუდ მონად“, „ლიბერალიზმის მონა“** არის **„პროგრესული მონა“, ანტილიბერალიზმის,** ანუ **კონსერვატიზმის „მონა“** კი **„რეგრესული მონაა“.**

შესაბამისად, ამ ორ კატეგორიას შორის არსებობს უფლებრივი განსხვავებებიც. მაგალითად, **თუ დეკლარირებული ლიბერალი, ანუ მოწინააღმდეგე ბანაკის დეფინიციით, „ამერიკის მონა“ ძალადობას ჩაიდენს, ვთქვათ, მიტინგზე სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებს ქალბატონს** (გაიხსენეთ ნიკა გვარამიასა და მთვარისა ნავერიანის ამბავი), **მას ამისათვის კანონი არ დასჯის, მაგრამ იგივე ტიპის დანაშაულს ანტილიბერალი, ანუ მოწინააღმდეგე ბანაკის დეფინიციით, „რუსეთის მონა“ თუ ჩაიდენს, იგი დაუსჯელი არავითარ შემთხვევაში არ დარჩება.**

კიდევ ბევრი მაგალითია ჩვენი ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, რომელიც ცხადყოფს, რომ **„წმინდა მონები“** ჩაყენებული არიან ბევრად უფრო პრივილეგირებულ, თვით კანონზე აღმატებულ მდგომარეობაშიც კი. აქ აშკარად მოქმედებს ორუელის ფერმისეული პრინციპის ვარიაცია — **ყველა მონა თანასწორია, მაგრამ ზოგი უფრო თანასწორია.**

და რომელია ჭეშმარიტი თავისუფლება, რომელიც არ მოითხოვს არც **„წმინდა“** და არც **„უწმინდურ მონობას“?**

ასეთი თავისუფლება, ალბათ, მხოლოდ ღმერთია, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანებმა ერთმანეთისთვის **„მონების“** ძახილში ერთმანეთს ღმერთიც არ მოუკლეს!

**ჯაბა ხუბუა**






**არნო ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



**მინდა, ვკითხო აშშ-ის ელჩს საქართველოში — თქვენი პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი სააღდგომო კურდღელ ბანის დანახვამ რატომ დააფრთხო ან წინა კვირას სცენაზე რატომ აებნა გზა? ქალბატონო კელი დეგნან, თქვენს ქვეყანაში აშკარად ყველაფერი რიგზე როდია და იქნებ ჯობდეს, უკრაინის ომში ქართველების ლურჯ-ყვითელი კვერცხებით გაცილების ნაცვლად, ამერიკით დაკავდეთ?**

დიახ, აშშ დასავლეთის ლიდერია, ბირთვული ზესახელმწიფო, თქვენთან დგას დოლარების საბეჭდი დაზგა და ხომ არ ფიქრობთ, რომ ამერიკის პოლიტიკური სისტემა მოიშალა მას შემდეგ, რაც ხელისუფლების მწვერვალზე აღმოჩნდა გულმავიწყი მოხუცი ასაკის თანმხლები დაავადებებით? არადა, **ჯო ბაიდენი** ადრე ნორმალური დემაგოგი, ორატორი და პოპულისტი იყო, მაგრამ ახლა ამერიკელებმა სასწრაფოდ უნდა მიიღოთ ზომები, რათა უფრო სერიოზული რამეები არ აერიოს ერთმანეთში, მითუმეტეს, მაშინ, როცა ამერიკას „ბირთვულ ღილაკზე“ ხელის დაჭერის გამოცდილება ხიროსიმა-ნაგასაკიდან მოსდგამს. **მიაფურთხეთ საქართველოს, ქალბატონო ამერიკის ელჩო და სასწრაფოდ გაფრინდით თქვენი მშობლიური ამერიკის გადასარჩენად! ჩვენ უთქვენოდ ვცხოვრობდით და მომავალშიც როგორმე ვიცხოვრებთ!**

**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*



საუბარი რიგგარეშე არჩევნებზე **ხაბეიშვილისა** და **სააკაშვილის** სხვა მონის თუ კომიკოსის ჰალუცინაციური მდგომარეობაა. თუ არჩევნები უნდათ, **საკუთარ პარტიასა და ოჯახებში ჩაატარონ,** იქაც ნახავენ, როგორი **ხელმოცარული** არიან ეს **ფარჩაკები.**

„რეზონანსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



**კონკრეტულად რაზე უნდა დავაწესოთ სანქციები?** საქართველო ისედაც არ ვაჭრობს რუსეთთან **არც** მაღალი ტექნოლოგიებით, **არც** — იარაღით, **არც** — ნახშირით.

„იმედინიუსი“

# სააკაშვილის სახელით!



მიხეილ სააკაშვილი, 2008 წლის 8 აგვისტო: — საქართველოს სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა დასახლებულ პუნქტს და ყველა სოფელს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე...



## არადა, სინამდვილეში

2008 წლის აგვისტოში ორდღიანი ომის შედეგად რუსეთთან კაპიტულაციას ხელი მოაწერა ქართული ჯარის მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს მოსახლეობას დაატოვებინა:







ქვემო აჭარა
მამისაანთუბანი
თამარაშენი
ახმაჯი
აძგარა
ფრისი
ქვემო აჩაბეთი
მოსაბრუნი
იგოთი
ბუჩუკური
არგვიცი
ზემო აჩაბეთი
კორინთა
ბუძგური
ბერულა
ქურთა
საძეგური
გვანდრა
ერედვი
კეხვი
ლარგვისი
ზემო აჭარა
ვანათი
საცხენეთი
სვერი
ქარჩოხი
ზემო ზიმი
ბელოთი
ხეითი
ძარწემი
ალემი
ქვემო ზიმა
ზონკარი
ქემერტი
ჩიტიანი
ზემო ომარიშარი
ქვაბჩარი
ფრონე
დადიანეთი
ვაშლოვანი
ქსუისი
მარცხენა გენწვიში
ერედა
საკენი
დორეთკარი
მარცხენა პტიში
ოქონა
არცევი

არკნეთი
ავნევი
ყანჩავეთი
მარჯვენა გენწვიში
ტვირბრაშერი
დელკანი
ნული
ხეცკვარა
ძეგლევი
ჩხალთა
პტიში
დისევი
ნახარი
ჩირქოლი
შაბათკვარა
ბოლი
მრამბა
ომარიშარი
ჭარები
ხუტია
აწრისხევი
კლიჩი
ჯვარისუბანი
ბალაანი
ელოიანი
თინიკაანი
მიდელაანი

ნავიხევი
ოხორი
პავლიანი
ქარელთკარი
ქენქაანი
ჩიგიოანი
წიფათური
ჭორჭოხი
ხოზუეთი
დაბაკნეთი
ზოდეხი
თოხთა
მანჭიკაანი
მარტიანი
მაჭარაანი
მახიარეთი
მუჯუხი
პაპიაანი
უკანამხარი
უკანუბანი

ყველდაბა
შიუკაანი
ბაზუანი
ახალდაბა
ახალსოფელი
ბეჟანაანთკარი
ბარუბანი
ერედა
მორბედაანი
გდუ
ბოსლეთა
ღრუ
კოდიჯვარი
მამულაანი
მონასტერი
ციხისოფელი
ჭანდარი
გეზევრეთი
გუდაწვერი
ნახიდი

ყოჩაანი
წირქოლი
ხარკელანი
გავაზი
გარუეთი
დოგუზაანი
ველისა
კარა
კუცხოვეთი
მშველიეთი
საბარკლეთი
ჩკუნეთი
ცხავათი
ძაგნათი
ხარბალი
ხრამისწყარო
სალბიერი
ნაგომევი
ჩორჩანი
მუხიერითი...



# ეს სია სააკაშვილისა და მისი ხროვის განაჩენია!

**სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ეს სიაა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ უნდა ჩაერთოს საქართველო უკრაინის ომში და რატომ არ უნდა გაუხსნას რუსეთს მეორე ფრონტი!**






***როგორც ცნობილი გახდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა „მოწყალება მოილო“ და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინ რამდენიმე დღით გახსნა ოკუპირებული ახალგორის ე.წ. გამშვები პუნქტი, რომელიც 2019 წლის სექტემბრიდან ჩაკეტილი იყო.***

შესაბამისად, იმ მოქალაქეებს, რომლებიც ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის მიერ გაცემულ ე.წ. „პროპუსკებს“ ფლობენ, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში პირველად მიეცემათ შესაძლებლობა, აღდგომას ახალგორში შევიდნენ, უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს თავიანთ სოფლებში, მშობლიურ კარ-მიდამოში შეხვდნენ, ოკუპირებულ რაიონში მცხოვრები ახლობლები მოინახულონ და ოჯახის წევრებისა თუ ახლობელ-ნათესავთა საფლავებზე გავიდნენ.

**ხომ კარგი ამბავია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს კარგი ამბავი კიდევ ერთხელ შუბლით გვაჯახებს იმ ტრაგიკულ რეალობასთან, რომელიც 14 წლის წინათ სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივი სიბრიყვისა თუ შეგნებულად ჩადენილი მოღალატეობრივი ქმედებების გამო შეიქმნა.** აქ ვგულისხმობთ არამხოლოდ იმას, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა საქართველო რუსეთთან ომში ჩაითრია, არამედ მხედველობაში გვაქვს ომამდე რამდენიმე წლით ადრე ნაცური პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის ძალითაც ახალგორის რაიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში იქნა შეყვანილი. შესაბამისად, დღეს ახალგორის რაიონს ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი რომ აკონტროლებს და იქ რუსული საოკუპაციო ჯარი დგას, ამის საფუძველი სააკაშვილის ჯიბის პარლამენტის გადაწყვეტილება გახლავთ.

**დღეს, როცა სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები აქტიურად ცდილობენ, საქართველო რუსეთ–უკრაინის სამხედრო კონფლიქტში ჩართონ და ქვეყანა ახალი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენონ, საჭიროდ მიგვაჩნია, საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ შევახსენოთ იმ ათეულობით სოფლის დასახელება, რომელიც 2008 წლის აგვისტოში დავკარგეთ და რომელსაც სააკაშვილმა „ქვების გროვა“ უწოდა!**

სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ამ ოკუპირებული სოფლების სიაა სააკაშვილისა და მისი ხროვის განაჩენი!

**სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ეს სიაა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ უნდა ჩაერთოს საქართველო უკრაინის ომში და რატომ არ უნდა გაუხსნას რუსეთს მეორე ფრონტი!**

## უნდა გვახსოვდეს,

**რომ სანამ ნაციონალური მოძრაობა ქართულ პოლიტიკაში რჩება, მუდმივად არსებობს საფრთხე, ეს სია კიდევ უფრო გრძელი გახდეს და მეტიც, მთლიანი საქართველო ერთ დიდ დაკარგულ სოფლად იქცეს! თუმცა, სააკაშვილი და მისი ბანდა ასეთ შემთხვევაშიც მხოლოდ „ქვების გროვას“ დაკარგავენ!**

*ჯაბა ხუბუა*

***ნაწყვეტი დიმიტრი უზნაძის ნაშრომიდან***

# ომის ფილოსოფია



**იწყება ომი... და ჩვენი აზრი და გრძნობა ძირფესვიანად იცვლება. იგი ჩვენი სულის სამკვიდროს მორევში მძლავრ ქარიშხლად ტრიალდება, ჩვეულებრივ დროს გაჩედილ ღირებულებათა მწყობრი სისტემა ერთბაშად ნიავდება, მისი შეუმაერთებელი და დამსრულებელი ძალა — სინდისი ძირფესვიანად ირყევა; და მტრის სიკვდილი სასიქადულო და სანატრელი ამბით ეპკურება ჩვენს სმენას. ერთ დღეს ასიათასობით ისრისება ადამიანის ნორჩი სიცოცხლე, ხმება გულში დარგული ვარდები იმედებისა, და ყველა ეს სხვა დროს რომ ბოლომით ავსებდა ჩვენს არსებას, ახლა სანეტაროდ გაგვხდომია, და თუ ვინმემ თავი ისახელა მტრის ბანაკის მუსრის გავლებით, ჩვენ სასიქადულოდ მიგვაჩნია მისი „რაინდობა“, და რაც უფრო მეტი დამღუპველი იქნება მტრისთვის მისი მახვილი, მით უფრო მეტად ვაჯილდოვებთ მას. სხვა დროს ერთი კაცის მკვლელიც საკვირველი სისასტიკით ისჯებოდა, რადგანაც ჩვენი გონების თვალი სიკვდილში უდიდეს ბოროტებას ჭვრეტდა; ახლა კი ათასი კაცის მკვლელი არანაკლები საკვირველი რიცხვით ჯილდოვდება, და თუ უწინ ერთი კაცის მკვლელი თითით საჩვენებელი იყო ყველასათვის, როგორც უმგვანო და დამნაშავე, ახლა ათასი კაცის სისხლში ამოგანილი ხელი გმირისა და კეთილისმყოფელის ხელად გვეჩვენება.**

ცხადია, რომ **ომიც ძირფესვიანად ათავისუფლებს ჩვენს სულიერ ცხოვრებას გონების კატეგორიების ბატონობისაგან,** და ამ გზით ჩვენს პირდაპირ უშუამავლო შეფასებას კვალს უკაფავს. **ომის დროს ჩადენილი მკვლელობა უფრო რაინდობად მიგვაჩნია, ვიდრე დანაშაულად.** მაშ, რას გვეუბნება ჩვენი ბუნებრივი რწმენა, როდესაც იგი ომიანობით გართულებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშს გვაძლევს? **იგი სიკვდილს რაინდობად სახავს. იგი ამბობს, რომ კერძო ადამიანის სიცოცხლე არ წარმოადგენს უდიდეს ღირებულებას, რომ ჩვენი დანიშნულება თვითონ სიცოცხლესა და, მაშასადამე, მის გაფართოებასა და გაღრმავებაში როდი უნდა ვეძიოთ. რომ პირიქით, სიცოცხლე მხოლოდ საშუალებაა, რომლის მეოხებითაც ხორციელდება ის უმაღლესი დანიშნულება, ადამიანის არსებობას რომ სარჩულად უდევს.**

ამ თვალსაზრისით ცხადია, სიკვდილი და სიცოცხლე ამ დანიშნულებისათვის სულ ერთია, რომ **ზოგჯერ იგი სიკვდილს მოითხოვს და ზოგჯერ სიცოცხლეს.**



# „ნეტა, იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ სააკაშვილს ბოლო მოეღებოდეს!“

## ლია კრიალაშვილი:

# ნუ გვაყურებინებთ მკვლელი სააკაშვილის იაფფასიან სპექტაკლებს, შეგვიბრალეთ!





*მაშინ, როდესაც ნაცსექტა გალიაში გამოკეტილი ბელადისგან სამოქმედო გეგმის დეტალების გახმაურებას სულმოუთქმელად ელოდა, მიკნავლებული მიხეილ სააკაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაიყვანეს. უკან მობრუნებულმა კი მოსამართლეებისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე დაიჩივლა — ამ ხელისუფლების გამო 12 კილო დავიკელიო. როგორც მისი რეჟიმის მიერ გამწარებული ადამიანები ამბობენ — ეს უკვე მეტისმეტია, სააკაშვილის კლოუნადის ატანა შეუძლებელია.*

**ლია კრიალაშვილი**, *ე.წ. მუხროვანის ამბოხის დროს მოკლული გია კრიალაშვილის და:*

**— პირდაპირ გკითხავთ, არ შეგეცოდათ სასამართლო პროცესზე ნახევრად გულწასული სააკაშვილი?**

— **არ შემეცოდა, პირიქით, ველოდებოდი, რომ მომკვდარიყო!** 12 კილო დავიკელიო, ისე შემოგვჩივლა, თითქოს ვინმემ ძალით ჩამოაჭრა ხორცი. დავიჯერო, წამითაც არ გაუელვებს თავში, რომ შეიძლება ამას ჩვენც ვისმენდეთ, მის მიერ გამწარებული ოჯახის წევრები?! **თუ არ ახსოვს, მე შევახსენებ, რამდენი კილოგრამი დაიკლეს სხვისმა შვილებმა, ძმებმა, ქმრებმა, მამებმა...** ჩემი ძმა საერთოდ აღარ არის ცოცხალი, მისი სისასტიკის გამო მიწაში ლპება. ისე გაისტუმრა იმქვეყნად, რომ თავის მართლების საშუალებაც არ მისცა.

**ყველაზე მეტად რა მაოცებს, იცით? რამდენიმე თვეა, ციხეში ზის და ოდნავადაც არ ნანობს თავის დანაშაულს, კაცი ისევ რევოლუციაზე ფიქრობს, სისხლი სწყურია. ვითომ კვდებოდა, ამ დროს კი ხალხს ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდებდა.**

**— არ გჯერათ მისი ავადმყოფობის?**

— ეს ზღაპრები თავის შვილებს მოუყვეს. ნეტა, იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ სააკაშვილს ბოლო მოეღებოდეს. როგორც მისი თანაპარტიელები იუწყებიან, თურმე, ციხეში საშინელ დღეში ჰყავთ, აწამებენ და ა.შ. თვითონ თუ სჯერათ ამ სიტყვების?! არადა, ისევე უნდა მოექცნენ, როგორც თვითონ ექცეოდა პატიმრებს, აი, მერე მიხვდება, რა არის წამება. ბიჭებს ძვლებში ამტვრევდნენ, მიცვალებულებზე აბამდნენ და ისე კლავდნენ, ტკივილგამაყუჩებელსაც არ აწვდიდნენ...

ამ რეჟიმის შემოქმედები ვის წამებაზე საუბრობენ?

ერთადერთი, რასაც ამ ხელისუფლებას, უფრო კონკრეტულად ირაკლი ღარიბაშვილს ვემადლიერები, ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებაა. მართალია, სამართლიანობა 9 წლის შემდეგაც არ აღდგა და ველოდები, პროკურატურიდან როდის დამირეკავენ, ისიც შვებაა, რომ თავზე ბომბები არ გვაცვივა. ნაციონალები დღეს ამ სიმშვიდის წართმევასაც ცდილობენ, ღიად საუბრობენ სახელმწიფო გადატრიალებაზე, საქართველოს ომში ჩათრევა სურთ. ამის ატანა უკვე შეუძლებელია! ნეტა რა სასჯელი გვაქვს ასეთი უფლისგან, რომ ეს სატანები ვერ ამოვძირკვეთ?! ჩვენ თვალწინ დანაშაულს სჩადიან, სამშობლოს ღალატობენ და იქით ვუგორებთ კოჭს. განა რა დირექტივები აქვს ხელისუფლებას დასავლეთიდან მიღებული, რომ ასეთ ფუფუნებაში ამყოფებენ?! მესმის, ცდილობენ, ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნონ, მაგრამ ასეც არ შეიძლება!

**— მაინც რას ითხოვთ ხელისუფლებისგან, რა უნდა გააკეთოს?**

— აღძრან საქმე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე და კანონის შესაბამისად დაუმატონ სასჯელი სააკაშვილს.

### თუ ჩემი უდანაშაულო ძმა მოკლეს ვითომ სახელმწიფო გადატრიალების გამო, ეს ნაძირალა სასამართლოს გისოსებიდან მაიმუნივით რომ იყურება და მოწოდებებს აკეთებს, რატომ არ უნდა დაისაჯოს საკადრისად?

მიიღონ სამშობლოს ღალატის შესახებ კანონი და ვინც ზედმეტად ხმას ამოიღებს, წაასხავონ ციხეში! ასეთ შემთხვევაში ყველა ჩაიკმენდს ხმას. ვეღარც **სულელი ხაბეიშვილი** იქაქანებს ამდენს და ვერც **ქალის მსგავსი ნონა მამულაშვილი** გამართავს საცირკო სანახაობას პირდაპირ ეთერში. კაცი კაცს აღარ ჰგავს და ქალი — ქალს. დალაგებული აღარავინ დარჩა მაგათში. **აქამდე** ომის პარტია იყო, ახლა გიჟების პარტიაც გახდა. იმის ნაცვლად, რომ ქათამი გვარამია თავდახრილი იყოს, სააკაშვილის პროცესზე საპატრიარქოსა და ხელისუფლებას ლანძღავს. პრინციპში, ხელისუფლება მეტის ღირსიც არის, ჩვენ რა დავაშავეთ?!

ალბათ, უკვე მეათასეჯერ მივმართავ ხელისუფლებას — ამ პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის დროს მაინც დაგვასვენეთ სააკაშვილისგან, ნუ გვაყურებინებთ მკვლელი, ნამუსგარეცხილი, სამარცხვინო არსების იაფფასიან სპექტაკლებს, შეგვიბრალეთ!

## თამაზ მოლაშვილი:

# იმ ხალხის დედა ვატირე, ვინც ნაციონალების დაძახილზე გარეთ გამოვა!

**თამაზ მოლაშვილი**, ***სულხან მოლაშვილის მამა:*** — ვაი მაგის პატრონს, ვითომ გული წაუვიდა და ხელმოკიდებული გაიყვანეს დარბაზიდან. ვის სჯერა მისი ტყუილების?!

ერთი რამ კარგად დაიმახსოვროს სააკაშვილმაც და მისმა ნათესავებმაც — **შესანიშნავ ადგილზეა. ასეთი დაცვა თავის სიცოცხლეში არ ეღირსება მას.** დამერწმუნეთ, გარეთ გამოსული თავზედს დაიწყევლის, ყველაფერი მოხვდება თავში — კრამიტი, აგური, ქვა, ფურთხი.

სააკაშვილისგან არაფერი მაოცებს, იმ ადამიანების უფრო მიკვირს, ვინც ამ ნაძირალას გვერდით უდგას, ამდენი სპექტაკლისა და პროვოკაციების მოწყობის მიუხედავად, ისევ ამართლებენ მას. კიდევ კარგი, რომ ბევრნი არ არიან. ნეტა, მათი შვილი ან ოჯახის რომელიმე წევრი რომ მოეკლა რეჟიმს, მაშინაც ასე მოიქცეოდნენ?! როგორ მინდა, თვალებში ჩავხედო და ეს კითხვა ისე დავუსვა მათ?!

მეტისმეტად ეფოფინებიან სააკაშვილს. ხელის მოკიდება კი არა, ქეჩოთი უნდა ატარო სასამართლო პროცესებზე. ბოლოს და ბოლოს, ვინ არის, ამდენის უფლებას რომ აძლევენ?

**— რას ამბობთ, ნაციონალები იქით ადანაშაულებენ ხელისუფლებას, ჯანმრთელობაშერყეულ სააკაშვილს საზღვარგარეთ მკურნალობის უფლებას არ აძლევენო.**

— თავის სასჯელს რომ მოიხდის, მერე გინდ, ევროპაში წაიყვანონ და გინდ — აფრიკაში. ახლა ციხეში მკურნალობაც ზედმეტია მისთვის. 200 ათასი კაცი უნდა გამოვიყვანოთო, უსირცხვილოდ რომ გაიძახიან, იმ ხალხის დედა ვატირე, ვინც ნაციონალების დაძახილზე გარეთ გავა! ამასწინათ „ასავალ-დასავალში“, კვირგვინოსნებში წავიკითხე გიული ალასანიას სიტყვები, მესმის სულხან მოლაშვილის მამისო... ანუ ის იზიარებს ჩემს აზრს, რომ სულხან მოლაშვილი სააკაშვილმა ნელი სიკვდილით მოკლა. დღეს მინდა, თქვენივე გაზეთიდან ვუპასუხო მას — თუ გესმის, რომ სულხან მოლაშვილი შენმა შვილმა აწამა და მოკლა, ჩაიგდე ენა მუცელში, ნუ ჩაუვარდები გასაცოდავებულ ხალხს ძალით ხახაში.

**— სააკაშვილს არაფერს ეტყოდით?**

— დაანებე მაიმუნობას თავი! აღარავის სჯერა შენი „სიმულანტობის!“ თუ მაინცდამაინც გადატრიალება გინდა, როგორც შევარდნაძემ თქვა, ლოგინში გადატრიალდი. შეირგე ის პირობები, რაც დღევანდელი ხელისუფლების წყალობით გაქვს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



**დიდი ხანია, ავწიე ხელები** და ვამბობ, **ნაციონალური მოძრაობის ხშირად არაფერი მესმის.** ვაღიარებ, ვერ ვიგებ.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



ოპოზიციაზე: თუ **სააკაშვილის ჩრდილს** დაეხსნებიან, ძალიან კარგი იქნება — თუ არა, **ამ ჩრდილში** პოლიტიკურად დაბერდებიან.

„აიპრესი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**ჩვენ ვართ არა ომის, არამედ ქვეყნის დაცვისა და გადარჩენის პარტია** — ახლა ხომ მაინც ხვდებით, **რას გადავარჩინეთ** თბილისი და საქართველოს სხვა რეგიონები 2008 წელს?!

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**მიხეილ სააკაშვილი** არის **პუტინის ტყვე** ქართულ ციხეში.

„მთავარი არხი“



# მამუკა ხაზარაძე ZVIAD GAMSAKHURDIA-სა და ZURAB ZHVANIA-ს წინააღმდეგ!

## პარტია „ლელო“ Z და V სიმბოლოების აკრძალვას ითხოვს!

***მამუკა ხაზარაძის „უბორნიაში“ სიახლეა: პარტია „ლელო“, რომელსაც სინამდვილეში „ბნელო“ უნდა ერქვას, რადგან მის დამფუძნებელს საქართველოსთვის სიბნელის, ვახშის, წივილ-კივილის, ბინიდან გამოსახლებისა და ბნელ ღამეში ადეიშვილის შავბნელი ნოტარიუსების დახმარებით ბიზნესების წაგლეჯვის მეტი არაფერი მოუტანია, ახალი ინიციატივით გამოვიდა. ამჯერად „ლელო“ საქართველოს პარლამენტისაგან „რუსეთის აგრესიული პოლიტიკის სიმბოლოების — წმინდა გიორგის ლენტისა და ასევე Z და V სიმბოლოების აკრძალვას ითხოვს...“***




ამასთან დაკავშირებით პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი ქადაგიშვილი** გაოგნებას ვერ მალავს და კითხულობს:

***„Z და V ლათინური სიტყვებიდან ამოვიღოთ, ფილმი „ზორო“ აღარ გავუშვათ თუ რა ვქნათ?*** *ვერ გავიგე, რა უნდათ! ჩვენს ასო-ბგერებში და ანბანში Z და V სხვანაირი ფორმის არის და დაგვანებონ თავი! არსებობს საერთაშორისო ბრენდები, სადაც Z და V, ასე თუ ისე, გამოყენებულია, აქედან გამომდინარე, არ ვიცი, როგორ უნდა ავკრძალოთ. ერთ-ერთმა მწერალმა თქვა, რომ „ჯარისკაცის მამაც“ იმ პროპაგანდის ნაწილიაო! ავკრძალოთ „ჯარისკაცის მამაც“? ხშირად გვაქვს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ სპეკულაციასთან საქმე. ჩვენთან არც „გეორგიევსკის ლენტი“ გამოიყენება და არც სხვა რაიმე ნიშანი, რაც რუსული აგრესიის პროპაგანდის ნიშანია.* ***ჩვენ თუ ასე წავედით, მაშინ „გიორგი სააკაძეც“ უნდა ავკრძალოთ, რადგან რუსეთია ნახსენები და საბჭოთა პერიოდშია გადაღებული და „ჯარისკაცის მამაც“ უნდა ავკრძალოთ“.***

ეჰ, ბატონო ირაკლი, ჩვენ რომ გეუბნებოდით და გაფრთხილებდით — არიქა, უწმინდური **ხაზარაძე** გიახლოვდებათ თავისი ბინძური წარსულით, „წვეტიანი“ აზრებით, „უბორნიის პოეტებითა“ და ტუალეტის მჯღაბნელებით-თქო! — მაშინ ყური არ გვათხოვეთ და პირიქით, ჩვენ გაგვამტყუნეთ! მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ახლა მაინც მიხვდით, რას ვართ გადარჩენილი? **ეს ავადმყოფები რომ ხელისუფლებაში მოსულიყვნენ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა კანონებს შემოიღებდნენ და ქართველ ხალხს რის გაკეთებას აიძულებდნენ?!** ეჭვი არავის შეეპაროს, რომ „ხაზარები“ „ქართვლის დედის“ ძეგლს მაშინვე დაანგრევდნენ და მის ადგილზე **უნიტაზზე ჩამომჯდარი ლაშა ბუღაძის ქანდაკებას** წამოჭიმავდნენ...

მოკლედ, **თუ ამ მართლაცდა ბნელებმა — მამუკა ხაზარაძემ და „ლელომ“ თავისი გაიტანეს და პარლამენტს Z და V სიმბოლოების გამოყენება ააკრძალვინეს, მაშინ, დიდი ალბათობით, საქართველოში ავტომატურად აიკრძალება zviad gamsakhurdia-სა და zurab zhvania-ს ხსენებაც, რადგან როგორც ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ისე პრემიერ-მინისტრის სახელსა და გვარში სწორედ Z და V სიმბოლოები ფიგურირებს.** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ როგორც ზვიად გამსახურდია, ისე ზურაბ ჟვანია მოკლულია და ეს საქმეები დღემდე არ გახსნილა, მაშინ Z და V ნიშნების აკრძალვა პირდაპირ იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ ეს მკვლელობები არასოდეს გაიხსნება!





ისე კი, საინტერესოა, მაინც რა ისეთი ბოღმა ჩაჰყვა კომკავშირელ მამუკა ხაზარაძეს 1989 წლის 18 თებერვალს, როცა მერაბ კოსტავას მოუქნია ხელი, რომ იმ ამბიდან 33 წლის შემდეგ ახლა უკვე ZVიადის სახსენებლის გაქრობასაც ითხოვს? აღარაფერს ვამბობთ Zურაბ ZhVანიას შესახებ, რომლის სახელიც არათუ მამუკა ხაზარაძემ, არამედ უახლოესმა მეგობრებმაც კი ლაფში ამოსვარეს და შეურაცხყვეს!

სხვათაშორის, თუ „ლელოს“ მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაშინ საყოველთაო აკრძალვას დაექვემდებარება მამუკა ხაზარაძის ადვოკატის ZViad Kordzadz-ის გვარ-სახელიც.

ეტყობა, მამუკა ხაზარაძე და მთელი მისი პარტია იმ სულელის ფაზაში შევიდნენ, რომელმაც **აკაკი წერეთელს** ერთხელ მისწერა — დიდო მგოსანო, ქართულ ენას საშინლად ამძიმებს ისეთი ასო-ნიშნები, როგორიცაა — **ძ, წ, ჭ, ყ...** — ამიტომ ეს ბგერები ხმარებიდან ამოვიღოთო! აკაკი რისი აკაკი იქნებოდა, ეს შანსი ხელიდან გაეშვა... ამიტომაც იმ სულელს მაშინვე წერილი მისწერა — **ძალიან მოვიხიბლე თქვენი აზრებით, აწი „ძვირფასოს“ ნაცვლად ასე მოგწერთ — „ვირფასო“!**

## მამუკა ხაზარაძე და მთელი მისი პარტია იმ სულელის ფაზაში შევიდნენ, რომელმაც აკაკი წერეთელს ერთხელ მისწერა – დიდო მგოსანო, ქართულ ენას საშინლად ამძიმებს ისეთი ასო-ნიშნები, როგორიცაა – ძ, წ, ჭ, ყ... – ამიტომ ეს ბგერები ხმარებიდან ამოვიღოთო!

სწორედ ასეა მამუკა ხაზარაძის საქმეც, რომლის პარტიის „ინიციატივა“ **თვით გიგა ბოკერიამაც კი დაგმო და მამუკა ხაზარაძე ბრიყვად გამოაცხადა** — აქაოდა, ფოკუსის იქით წაყვანა, რომ რაღაც კანონმდებლობაშია შესაცვლელი, თან ასე ბრიყვულად, რომ რაღაც Z აიკრძალოს ან V, არ ვიცი, ამას რა სახელი უნდა დავარქვაო!

ერთი სიტყვით,

### ბანკირი, რომლის პროცენტებიც და თამასუქებიც საქართველოში ყველაზე „ძვირფასი“ იყო, სინამდვილეში „ვირფასი“ და ბრიყვი აღმოჩნდა, რაზეც თვით ბოკერიაც აწერს ხელს...

როდის აღმოჩნდება ქართველი საზოგადოება იმ დიდი სიურპრიზის წინაშე, როცა მამუკას „პოეტურ უბორნიაში“ მის მიერვე ასათიანზე დანგრეული საგიჟეთიც აღდგება, ამაზე მომავალი გაგვცემს პასუხს!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



**ნაცმოძრაობა ვერ ხვდება, რომ სასწორზე უფრო მეტი დევს, ვიდრე სააკაშვილის ამბიციები.** რას ნიშნავს ორი დელეგაციის წასვლა? თუ სახელმწიფოა, სახელმწიფოდან მიდის ერთი დელეგაცია. **თუ ნაციონალებს თვითაღიარებული რესპუბლიკა აქვთ?** სააკაშვილს სურს, თავისი ჭკუაზე ატაროს ყველა და ატარებს კიდეც. **მოქალაქეების უმეტესობას რცხვენია, ამ პოლიტიკურ სპექტრს რომ უყურებს.**

„კვირის პალიტრა“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**პარლამენტის თავმჯდომარე უკრაინაში თავისი ნებით არც წასულა, ყურით ჩაიყვანეს.** დიახ, ვიცოდი, რომ **ნიკა მელია, ეკა ხერხეულიძე და კობა ნაყოფია გიორგი მარგველაშვილთან** ერთად აპირებდნენ უკრაინაში გამგზავრებას.

„კვირის პალიტრა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიციის ლოზუნგია, **რაც უარესი ქვეყნისთვის, მით უკეთესი ჩემთვისო.** ამ გზით მიდიან და მთავარი დარტყმა მოდის **ირაკლი ღარიბაშვილზე,** პატრიოტ და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანზე.

„რეზონანსი“

**გია გაბრიჩიძე**
*ექსპერტი*



წარმოვიდგინე **ციხესიმაგრეში ჩაკეტილი დემოკრატია,** რომელსაც რაინდის აბჯარში ჩამჯდარი ვინმე **გიორგი მშვენიერაძე** თავის რაზმთან ერთად იცავს და თვალებს რისხვით აბრიალებს.

„მარშალპრესი“

**ჯეიმს აპატური**
*ნატო-ს გენერალური მდივნის ყოფილი თანაშემწის მოადგილე*



მესმის დასავლეთისადმი **პრეზიდენტ ზელენსკის** იმედგაცრუების — მე რომ კიევში ვიჯდე, **თავს ზუსტად ისევე ვიგრძნობდი, როგორც ის.**

„ინტერპრესნიუსი“

# გია ბუღაძის შვილმა ჯარისკაცის მამა შეურაცხყო!




ცნობილი „უბორნიის მწერალი“, მამუკა ხაზარაძის „საბარასტული“ პრემიის ოთხგზის ლაურეატი ლაშა ბუღაძე, რომელმაც ჯერ კიდევ 20 წლის წინათ ქართველ საზოგადოებას თავი თამარ მეფეზე დაწერილი უნიჭო და უხამსი პიესით გააცნო, ამჯერად არამხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფიის შედევრად აღიარებულ და საკულტო ფილმად ქცეულ „ჯარისკაცის მამას“ მისდგა.




კერძოდ, **ბუღაძემ** სოციალურ ქსელ ფეისბუქში პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც, ბევრ სხვა ლიბერასტულ სიშლეგესთან ერთად, ასეთ რამესაც წერს (სტილი და პუნქტუაცია დაცულია. რედ.): ***„ჯარისკაცის მამა“: მართალია, საყვარელი, მაგრამ ადამიანსა და რაღაცნაირ მოცხოველო ქვეადამიანს შორის გაჩხერილი არსება...*** *(ამ შემთხვევაში სოციალურ ფსიქოტიპაჟებს ვგულისხმობ და არა მსახიობთა მიერ შექმნილ ტიპაჟებს).* ***გაიხსენეთ, თუნდაც ამ ფილმებში*** *(„მიმინოსაც“ გულისხმობს. რედ.),* ***როგორი ჩვეულებრივები, რაციონალურები და „ადამიანურები“ არიან რუსები და, ორიგინალურობის გათვალისწინებით, როგორი საყვარლად ექსცენტრულ — ველურები არიან ქართველები... ეს სტერეოტიპი — ეგზოტიკურ-გამრთობი კრეტინის — ჩვენც კარგად მოვირგეთ და რუსებსაც სწორედ იმიტომ ვეგებით ფიანდაზად რესტორნებში, რომ ვიცით — ასეთი საქონელი მხოლოდ ამათთან თუ გასაღდება“.***

***ლაშა ბუღაძის ამ პროვოკაციული და ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის შეურაცხმყოფელი განცხადების შეფასება „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორის, სახელოვანი ქართველი კინოდრამატურგის სულიკო ჟღენტის შვილს, კინომცოდნე ოლიკო ჟღენტს ვთხოვეთ:***

— რაც ლაშა ბუღაძემ **„ჯარისკაცის მამაზე“** დაწერა, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანის ნააზრევი არ არის. საინტერესოა, რა დაინახა „რაციონალური“ და „ადამიანური“ რუს ჯარისკაცებში, რომლებიც ფილმში ქრისტიანული მეტაფორის — ვენახის ტანკით გადათელვას აპირებენ და ქართველი გლეხკაცი, რომელიც მათ ამის საშუალებას არ აძლევს, **„მოცხოველო ქვეადამიანად“** და **„ეგზოტიკურ კრეტინად“** რატომ ეჩვენება? თუმცა, ბუღაძისაგან, რომელმაც წმინდა მეფე თამარი შეურაცხყო, არც „ჯარისკაცის მამის“ შეურაცხყოფა უნდა გაგვიკვირდეს!


Lasha Bugadze
Yesterday at 2:08 PM ·

საბჭოთა ქართულმა კინომ კრებითი ქართველის ისეთი სახეობა შექმნა, რომელსაც დღემდე ნოსტალგიით დაეძებენ (და პოულობენ) რუსები საქართველოში: სასაცილო, უხეშ-უვნებელი და ზომიერად საყვარელი იდიოტის...

ქართველის რუსულ-ტურისტული კლიშე "მიმინოა": ამაყი და კეთილი დეგენერატი...

ან "ჯარისკაცის მამა": მართალია, საყვარელი, მაგრამ ადამიანსა და რაღაცნაირ მოცხოველო ქვეადამიანს შორის გაჩხერილი არსება... (ამ შემთხვევაში სოციალურ ფსიქოტიპაჟებს ვგულიხსმობ და არა მსახიობთა მიერ შექმნილ ტიპაჟებს).

გაიხსენეთ, თუნდაც ამ ფილმებში, როგორი ჩვეულებრივები, რაციონალურები და "ადამიანურები" არიან რუსები და, ორიგინალურობის გათვალისწინებით, როგორი საყვარლად ექსცენტრულ-ველურები არიან ქართველები...

ეს სტერეოტიპი - ეგზოტიკურ-გამრთობი კრეტინის - ჩვენც კარგად მოვირგეთ და რუსებსაც სწორედ იმიტომ ვეგებით ფიანდაზად რესტორნებში, რომ ვიცით - ასეთი საქონელი მხოლოდ ამათთან თუ გასაღდება: რომელიმე სასო პავლიშვილი რომ იჭაჭება რუსებისთვის, როგორც "გრუზინი".

**— პირადად თქვენ, როგორც კინომცოდნე, ჯარისკაცის მამის — გიორგი მახარაშვილის მხატვრულ სახეში ვის და რას ხედავთ?**

— „ჯარისკაცის მამა“ არამხოლოდ ქართული კინემატოგრაფიის, მთლიანად ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, მისი მთავარი გმირი გიორგი მახარაშვილი კი საკუთარ მიწასთან და ისტორიულ ფესვებთან შეზრდილი ქართველი კაცის განზოგადებული მხატვრული სახე გახლავთ. უფრო მეტიც, ის არის ზოგადსაკაცობრიო პერსონაჟი — არამხოლოდ ქართველი ჯარისკაცის, არამედ ყველა ეროვნების ჯარისკაცის მამა და ამიტომაც გახდა ერთნაირად მისაღები ქართველისთვის, რუსისთვის, უკრაინელისთვის, ბერძენისთვის, ირლანდიელისთვის, იაპონელისა თუ ჩინელისთვის.

დიახ, **„ჯარისკაცის მამამ“** საბჭოთა კავშირის ჩაკეტილი საზღვრები გაარღვია, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და მსოფლიოს 130 ქვეყანაში იქნა ნაჩვენები. ამ ფილმმა უდიდესი კულტურული მისია შეასრულა და მთელ მსოფლიოს გააცნო ქართველები, როგორც მშვიდობისმოყვარე, მაგრამ იმავდროულად მეომარი ხალხი, რომელსაც საბრძოლო სულისკვეთება გენეტიკურად მოსდგამს. ჯარისკაცის მამის სიტყვები — **„მოი ატეც ვოევალ, ივო, ივო, ივო ატეც ტოჟე ვოევალ“** — სწორედ ამის გამომხატველია.

**— მამათქვენთან — სახელოვან კინოდრამატურგ სულიკო ჟღენტთან, ალბათ, ბევრჯერ გისაუბრიათ იმის შესახებ, თუ როგორ ქმნიდა ჯარისკაცის მამის სახეს, როცა ფილმისათვის სცენარს წერდა?**

— მამა თავად იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე — როგორც კი 16 წლისა შესრულდა, ფრონტზე გაიპარა, სადაც 5-ჯერ დაიჭრა და ჯარისკაცის მამის არაერთ პროტოტიპსაც შეხვდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო კახელი მევენახე სიღნაღიდან — მამაჩემზე და სხვა ჯარისკაცებზე ასაკით გაცილებით უფროსი. გიორგი მახარაშვილის ერთ-ერ-

## თუ ჯარისკაცის მამა „მოცხოველო ქვეადამიანია“, მაშინ ლაშა ბუღაძის მამა „მოადამიანო ქვეცხოველიც“ არ გამოდის!

## ქვირგვინოსნები

**ლაშა ბუღაძე**
*მწერალი*



ისტორიულად რუსებმა **„გვიხმარეს“**, ქართველი კაცები კი 37-მანეთიანი გასტროლების დროს **„ხმარობდნენ“** რუს ქალებს და, ცხადია, სტალინის ქართველობით სიამაყეც ისტორიულად **„ნახმარ“** ქართველთა კომპენსაციად უნდა ჩავთვალოთ, რომელიც მავანთათვის დღემდე ასრულებს **ვადაგასული ვიაგრას** ფუნქციას.

„აიპრესი“

**ასმათ ტყაბლაძე**
*მსახიობი*



მე იმედი არ მაქვს ევროკავშირის — **ყველას უნდა ნეიტრალიტეტი.** მე არაფრის მრცხვენია და არც არაფერს ვერიდები. **ჩემი ქვეყანა გაივსო ჩინელებით, არაბებით, ირანელებით, თურქებით** და ყველა სხვა ეროვნებით, ჩემი ხალხი კი ქვეყნიდან გარბის.

„ჯორჯიან თაიმსი“

**ნატალია ქუთათელაძე**
*მომღერალი*



ყველა დროის ყველა მთავრობისა და მმართველებისთვის არასდროს ყოფილა და არც არის **კულტურა და განათლება** პრიორიტეტი. დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ეს ორი სფერო მეოცე ადგილასაა და არ მომერიდება ამის თქმის. არც ის მაინტერესებს, ვინ დამეთანხმება და ვინ — არა. ფაქტია, რომ **დღეს საქართველო განათლების კუთხით არის სამარცხვინო ადგილას, ხოლო კულტურას არ ეთმობა აბსოლუტურად არანაირი ყურადღება.**

„DAIJEST.PIA.GE“

**ანზორ აბრალავა**
*ყოფილი პარლამენტარი*



მახსენდება **ლენინის ლოზუნგი** „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად“. **ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი სააკაშვილი ხელმძღვანელობენ ლენინისეული რევოლუციის თეორიით.** ამათ უნდათ, **უკრაინის ომი** თავისი ვიწრო ინტერესებისთვის გამოიყენონ და გადააქციონ **სამოქალაქო ომად** საქართველოში. ეს საჭიროა ხელისუფლებაში მოსასვლელად.

„ახალი თაობა“

# ოლიკო ჟღენტი:
# ლაშა ბუღაძისაგან, რომელმაც წმინდა მეფე თამარი შეურაცხყო, არც „ჯარისკაცის მამის“ შეურაცხყოფა უნდა გაგვიკვირდეს!



თი პროტოტიპი ბაბუაჩემი, პედაგოგი **ილია ჟღენტი** გახლავთ, რომელიც ომში დაჭრილი მამაჩემის მოსაძებნად წავიდა და რის ვაივაგლახით ჩააღწია ვლადიკავკაზში, რადგან შვილი იქაურ ლაზარეთში ეგულებოდა, მაგრამ ადგილზე ჩასულმა აღმოაჩინა, რომ მამა უკვე ფრონტზე დაბრუნებულიყო. შემდეგაც, როცა მამაჩემი მეორედ დაიჭრა და სოჭში იწვა, ბაბუა და ბებია ერთად წავიდნენ მის მოსანახულებლად.

შეიძლება, ბუღაძესა და მისნაირი აზროვნების ადამიანებს „ჯარისკაცის მამა“ საბჭოთა კონიუნქტურას მორგებული ფილმი ჰგონიათ, მაგრამ ასე სულაც არ არის — კინოსურათს რუსული ოფიციოზის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. შემოქმედებით ჯგუფს ჯერ კიდევ გადაღების დაწყებამდე რამდენჯერმე მოუხდა სცენარის გადაკეთება. ფილმი უკვე წარმოებაში იყო ჩაშვებული, როცა ავტორებისაგან კატეგორიულად მოითხოვეს მუშაობის შეწყვეტა და გადაღება გააჩერებინეს, შემდეგ კი უკვე გარკვეული სცენების, მათ შორის, ვენახის ეპიზოდის ფილმში შესანარჩუნებლად მოუწიათ სერიოზული წინააღმდეგობების გადალახვა და ფილმის სცენარის ავტორს **სულიკო ჟღენტსა** და რეჟისორ **რეზო ჩხეიძეს,** ფაქტობრივად, გმირული ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ფილმი იმ სახით გამოსულიყო ეკრანებზე, როგორითაც გამოვიდა.

მამაჩემის ჩანაწერებიდან ვიცი და, სხვათაშორის, პირველად ვამბობ საჯაროდ — როცა „ჯარისკაცის მამა“ მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარადგინეს, ყველა პროგნოზირებდა, რომ საუკეთესო ფილმისათვის განკუთვნილ პრემიას სწორედ იგი აიღებდა, მაგრამ უცებ ისე მოხდა, რომ კონკურსში წინასწარი შერჩევის გარეშე ჩასვეს ბონდარჩუკის ფილმი „ომი და მშვიდობა“, რომლის გადაღება დამთავრებულიც კი არ იყო. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ მთავარი პრემია ქართულ ფილმს არ მიეღო, თუმცა, ინტერნაციონალურმა ჟიურიმ, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი კინემატოგრაფისტები შედიოდნენ, „ჯარისკაცის მამას“ გვერდი მაინც ვერ აუარა და სერგო ზაქარიაძეს მიანიჭა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

**— როგორ ფიქრობთ, სიბინძურე, რაც ბუღაძემ „ჯარისკაცის მამის“ შესახებ დაწერა, მისი უმეცრების ნაყოფია თუ შეგნებულად მიაყენა შეურაცხყოფა საქართველოს სახალხო გმირად ქცეულ პერსონაჟს, რომელსაც კახეთში ძეგლიც კი დაუდგეს?**

— ვფიქრობ, ბუღაძემ „ჯარისკაცის მამის“ განქიქებით იმ კონიუნქტურას გადაუხადა ხარკი, რომელსაც ის და მისი იდეოლოგიის ადამიანები ემსახურებიან.

## ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია მიდგომა, რომ უკრაინაში ომის გამო ჩეხოვი და



## დოსტოევსკი არ წავიკითხო, ჩაიკოვსკისა და რახმანინოვს არ მოვუსმინო, რუსულ კულტურაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე უარი ვთქვა, ბუღაძე კი სწორედ ამ ტალღაზეა მომართული.

მან შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ ერს, რომელმაც „ჯარისკაცის მამა“ და მისი მთავარი გმირი ისე შეიყვარა, რომ ფილმის ფინალს დღემდე უცრემლოდ ვერ უყურებს! **გოდერძი მახარაშვილის, როგორც პერსონაჟის სიდიადე, სწორედ მის უბრალოებაში, გულწრფელობასა და ადამიანურ თანალმობაშია, იგი გლეხური სიბრძნის, ხალხური ხასიათის გამომხატველია, ბუღაძე კი მასში იდიოტიზმს ხედავს და ქართველ ხალხს ეუბნება — „ეგზოტიკური კრეტინი“ და „მოცხოველო ქვეადამიანი“ გიყვართო!**

ერთი სიტყვით, ბუღაძემ ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ თამარ მეფეზე დაწერილი პიესით ქართველების რელიგიური გრძნობები შეურაცხყო, ახლა კი „ჯარისკაცის მამაზე“ დაწერილი ფეისბუქ-პოსტით ქართველების ეროვნულ გრძნობებს, იდენტობასა და ტრადიციებს აყენებს შეურაცხყოფას! „ბუღა ბიჭი“ გასული საუკუნის 20-30-ანი წლების „რევოლუციური მწერლობის“ პათოსით არის შეპყრობილი, თუმცა, მამის მოკვლა არ მოუწევს, რადგან ის და მამამისი ერთ იდეოლოგიას ემსახურებიან!

**„ბუღაძემ ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ თამარ მეფეზე დაწერილი პიესით ქართველების რელიგიური გრძნობები შეურაცხყო, ახლა კი „ჯარისკაცის მამაზე“ დაწერილი ფეისბუქ-პოსტით ქართველების ეროვნულ გრძნობებს, იდენტობასა და ტრადიციებს აყენებს შეურაცხყოფას!“**




## „ბუღა ბიჭი“ გასული საუკუნის 20-30-ანი წლების „რევოლუციური მწერლობის“ პათოსით არის შეპყრობილი, თუმცა, მამის მოკვლა არ მოუწევს, რადგან ის და მამამისი ერთ იდეოლოგიას ემსახურებიან!

### ბოლოთქმა

**ყაჩაღ-ბანკირ მამუკა ხაზარაძის** ბაგაზე მიბმულ და **„ტუალეტის მწერლობის“ აპოლოგეტ ლაშა ბუღაძეს,** რომლის მხატვარი მამა **ბია ბუღაძეც** მიშარასტი გახლავთ და ნაცმიტინგებზე გამოსვლის დროს ჯოჯოხეთში გზავნის ყველას, ვინც მიშარასტი არ არის, „ჯარისკაცის მამის“ შეურაცხყოფის გამო სოციალურ ქსელში აურაცხელი **გინება და ფურთხი** ერგო.

ჩვენ ვერაფერს დავამატებთ, გარდა ერთისა — **თუ ჯარისკაცის მამა „მოცხოველო ქვეადამიანია“, მაშინ ლაშა ბუღაძის მამა „მოადამიანო ქვეცხოველიც“ არ გამოდის!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

*თემის გაგრძელება მე-18 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**გია მურღულია**
*ფილოლოგიის დოქტორი*



**დღეს ზოგიერთ ნაძირალას გმირს უწოდებენ, ზოგი გმირი კი საერთოდ უარყოფილია.** როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა და თქვა, რომ საქართველო უკრაინას არ ეხმარება, ან პოლიტიკურად არ უჭერს მხარს? **პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის, ჩემთვის მთავარია სხვა ქვეყანაო, ის ქართველი პოლიტიკოსი არ არის,** ის საქართველოს სარგებლობისთვის არ იღვწის!

„კვირის პალიტრა“

**დათო ევგენიძე**
*მუსიკოსი*



ვერაფრით შევეგუები, ვინმემ რამე გვასწავლოს და ქართველებს თითი გვიქნიოს. **არ მახსოვს, 2008 წელს რომელიმე ქვეყანას, თუნდაც უკრაინას, რუსეთისთვის რამე სანქცია დაეწესებინა.** არც მეორე ფრონტი გაუხსნია ვინმეს.

„კვირის პალიტრა“

**ალექსანდრე თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



როგორც არ უნდა განვითარდეს უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები, **ეს ომი რუსეთმა წააგო** — ქართველო პოლიტიკოსებო, **ჯერ იფიქრეთ, მერე ილაპარაკეთ!**

„ინტერპრესნიუსი“

**მერაბ კოკოჩაშვილი**
*რეჟისორი*



**რუსეთში ამხანაგები მყავდა,** მაგრამ დრო მიდის, 87 წლის გავხდი და **ჩემი მეგობრების დიდი ნაწილი უკვე აღარ არის** — გარდაცვლილია.

„გზა“

**ხათუნა ბოქუჩავა**
*მსახიობი*



2012 წელს **„ოცნებას“ რეჟიმი რომ გაესამართლებინა,** დღეს ყველაფერი თავის ადგილას იქნებოდა.

„ჯორჯიან თაიმსი“

# გეოპოლიტიკურ ჯვარზე

***ჩვენი შეცდომა ის არის, რომ ჩვენ ხან პოროშენკოს ვედავებოდით და ხან ზელენსკის ვსაყვედურობთ, რატომ აქციეს უკრაინა კრიმინალი ნაცების თავშესაფრად და რატომ ნიშნავენ მათ მაღალ თანამდებობებზე.***

**ჩვენ მართლა სერიოზულად გვჯერა, რომ სააკაშვილი პოროშენკომ დანიშნა ოდესის გუბერნატორად, რომელმაც ნაცების მთელი ბრიგადა წაიყვანა თან და სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე გადაანაწილა?**

**ჩვენ მართლა სერიოზულად გვჯერა,** რომ სააკაშვილი ზელენსკიმ გაამწესა რეფორმების საბჭოს თავმჯდომარედ, ადეიშვილიც მან ამოირჩია მრჩევლად და „ბოროტაც" მან აღაზევა კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილედ?

**ჩვენ გვიკვირს, რატომ, რა უფლებით ელაპარაკება საქართველოს ვინმე ზელენსკი, ვინმე არახამია, ვინმე კულება, ვინმე დანილოვი ასეთი აგდებული ტონით, რატომ, რა უფლებით გვაყენებენ შეურაცხყოფას, რატომ გვდებენ ბრალს ათას საძაგლობაში?**

ჩემგან ჩამოთვლილი „ამხანაგები" კი არა, **ის ძალა გველაპარაკება ამათი პირით,** რომელიც მოღალატეთა ამ ინტერნაციონალური პარტიის უკან დგას.

საქართველოშიც იმიტომ ბედავენ ამდენს პირსისხლიანი ნაცები, რომ **მათ უკანაც ის ძალა დგას, რომელიც ნაცების უკრაინელ კოლეგებს უმაგრებს ზურგს.**

•

საქართველო გზაჯვარედინია, გზაჯვარედინს კი ორი ფუნქცია აქვს — ერთი გზათა გაყრისა და განშტოებისა, მეორე გზათა შეკრებისა.

საქართველო ცივილიზაციათა და კულტურათა შემკრები და გამაერთიანებელი გზაჯვარედინია.

**ჯვარი** — ჩვენი ბედისწერა, ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობაშიც თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს თითქოს.

**ჩვენ გეოპოლიტიკურ ჯვარზე გაკრული ქვეყანა ვართ, ჯვარი ჩვენი ბედისწერაა.**

საქართველო არამარტო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური, არამედ გეოკულტურული გზა**ჯვარ**ედინია, სადაც ოდითგანვე ხდებოდა სხვადასხვა კულტურათა ერთად შეყრა და ურთიერთზემოქმედება, რასაც არ შეიძლებოდა, გავლენა არ მოეხდინა ქართველი ერის ხასიათზე და კულტურაზე.

**მართალია, დღემდე სამოქმედო ლოზუნგად გვაქვს წინ წამძღვარებული ცნობილი ფორმულა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი", თუმცა, ჩემი აზრით, ეს ფორმულა, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილეს არ შეესაბამება.**

ჩვენში, ცხადია, ბევრია ევროპული, მაგრამ ასევე ბევრია აზიური, ისე, როგორც ბევრია ზოგადკავკასიური შტრიხები.

ქართული იდენტობა, ქართული კულტურა, იმდენად სინთეზური ხასიათისაა, რომ გამოკვეთილად ვერ იტყვი, რომელია ჩვენს ბუნებაში უფრო მეტი ან უფრო ნაკლები.

## მე ვარ ქართველი, ნიშნავს, რომ მე ვარ ქართველი, ყოველგვარი მაშასადამეს გარეშე.

ჩვენ კულტურათა და ცივილიზაციათა გზა**ჯვარ**ედინზე დაბადებული და ამ გზა**ჯვარ**ედინზე გაზრდილი ერი ვართ, რომელმაც ბევრი რამ შევითვისეთ, ბევრი რამ შევისისხლხორცეთ სხვებისგანაც ისე, რომ არ დაგვიკარგავს ჩვენი სახე, ჩვენი თავისთავადობა, ჩვენი განსხვავებულობა.

**სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით საკუთარი თავის შესახებ, იმ უძველესი ფესვების და ისტორიული ნიადაგის შესახებ, საიდანაც მოვდივართ, თორემ უფრო მეტი პატივისცემით და სიამაყით განვეწყობოდით საკუთარი თავის მიმართ, რადგან ჩვენ ერთ-ერთი უძველესი და, ამავე დროს, ბევრი რამით უნიკალური ერი ვართ მთელ მსოფლიოში.**

## ჩვენი მეზობლები (არამეზობლებიც) ყალბ ისტორიებს თხზავენ თავიანთი განსაკუთრებულობის შესახებ, ჩვენ კი არაფრის შეთხზვა და არაფრის გამოგონება არ გვჭირდება, ისე შეგვიძლია, წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო საზოგადოების წინაშე, თუმცა, ამის გაკეთებას ფართოდ და სრულყოფილად მაინც ვერ ვახერხებთ.

ამიტომაც არის, ვიღაც-ვიღაცები ზემოდან რომ დაგვყურებენ და იმას გვასწავლიან, რაც ჩვენ მათზე საუკუნეებით ადრე ვიცოდით.

ჩვენ დღემდე ვერავის ავუხსენით და ვერავის გავაგებინეთ — ვერც რუსებს, ვერც ამერიკელებს, ვერც ევროპელებს, რომ **ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ნუ გვიყურებენ როგორც მათთვის ხელსაყრელ და მომგებიან პლაცდარმს, არამედ შემოგვხედონ, როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა შეკრების ადგილს, როგორც სხვადასხვა ეროვნების ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაცხოვრებისა და მეგობრობის ღია მუზეუმს.**

•

ალბათ, ძალიან ცოტა სახელმწიფომ თუ იცის მსოფლიოში, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მისი არსებობის მანძილზე არავინ არასოდეს არ უდევნიათ და არ შეუვიწროებიათ ეროვნული წარმომავლობისა თუ რელიგიური მრწამსის გამო?!

**ეს ხდებოდა მაშინ, როცა დემოკრატიის აკვანი, ამერიკა, არ არსებობდა, არც გაერო, არც ევროკავშირი, არც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია იყო დაწერილი, ხოლო ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში, რომელიც დღეს ჰუმანიზმის გაკვეთილებს გვიკითხავს, ადამიანებს ცოცხლად წვავდნენ კოცონზე.**

ევროპაში მხოლოდ მე-20 საუკუნის ათიან წლებში შეძლეს ქალებმა, დიდი ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგად მიეღწიათ იმისთვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეღოთ, საქართველოში კი ცხრა




**ჩვენ დღემდე ვერავის ავუხსენით და ვერავის გავაგებინეთ — ვერც რუსებს, ვერც ამერიკელებს, ვერც ევროპელებს, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ნუ გვიყურებენ როგორც მათთვის ხელსაყრელ და მომგებიან პლაცდარმს, არამედ შემოგვხედონ, როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა შეკრების ადგილს, როგორც სხვადასხვა ეროვნების ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაცხოვრებისა და მეგობრობის ღია მუზეუმს!**

## კვირგვინოსნები

**მიშა მშვილდაძე**
*ტელეკომპანია „ფორმულას" დამფუძნებელი*



**სააკაშვილი პერსონალურად რთული ტიპია კოალიციისთვის,** ჰორიზონტალური ურთიერთობებისთვის, მისი კარიერა საქართველოშიც და უკრაინაშიც ამას აჩვენებს. ძალიან დიდი ბოდიში ყველასთან, მათ შორის, მასთანაც, მაგრამ **მიშას ასარჩევი არ არის, როგორც მოსახლეობა დაალაგებს, ისე უნდა იყოს.**

„პალიტრანიუსი"

**იანუშ ბუგაისკი**
*ჯეიმსთაუნ ფაუნდეიშენის უფროსი მკვლევარი*



**საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გამოიჩინა** უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების, ასევე **საერთაშორისო ინსტიტუტებში რუსეთის მაქსიმალურად იზოლაციაში მოქცევის კუთხით.**

„TV იმედი"

**თამაზ გაიაშვილი**
*„ჯორჯიან ეარვეისის" დირექტორი*



არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც **დაკავშირებულნი არიან ნაციონალურ მოძრაობასთან** და ამავე დროს **იმყოფებიან ფინანსურ დამოკიდებულებაში ქოლღუების ოჯახთან,** აგრძელებენ ბინძურ, ცილისმწამებლურ კამპანიას ქართული ავიაკომპანიის **„ჯორჯიან ეარვეისის"** და პირადად ჩემ წინააღმდეგ.

„იმედინიუსი"

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ჩვენი ბიჭები გმირულად, უკომპრომისოდ იბრძვიან ყველგან, **სადაც** კი მძიმე ბრძოლები მიდის, **სადაც** კი წყდება ომისა და მშვიდობის ბედი, **სადაც** იწერება ახალი ევროპის, ახალი მსოფლიოს ისტორია. **ეს ისტორია იწერება გმირების სისხლით,** მათ შორის, ქართველი გმირების სისხლით!

„ახალი თაობა"

# გაქრული ქვეყანა

საუკუნის წინათ ითქვა ეს გენიალური ფრაზა: **„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.**

მხოლოდ საქართველოში თუ გაიგონებთ ამ საოცარ სიტყვებს: **დედაკაცი, დედაბოძი, დედამიწა, დედაენა** და ა. შ.

სახელმწიფოში, სადაც **დედაა** მიჩნეული ქვეყნის ეპიცენტრად და დედაბოძად, ცხადია, მეტი სიყვარულია, მეტი მიმტევებლობაა, მეტი ადამიანურობაა.

**ამიტომაც მიდიან საქართველოდან ქართველი კაცის გულწრფელი კეთილგანწყობით, ადამიანთმოყვარეობით სასიამოვნოდ გაოცებული და გაკვირვებული უცხოელები, მიდიან და ისევ დაბრუნება უნდათ, როგორც ოდესღაც მიტოვებულ და დავიწყებულ მშობლიურ სახლში.**

მკვლევართა და სწავლულ კაცთა დასკვნით, რომელთა შორის უმრავლესობა ევროპელია, კავკასია და, კერძოდ, საქართველოა სწორედ ის ადგილი, სადაც დაირწა კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი.

შეიძლება ეს ვერსიაა, ჰიპოტეზაა, **მაგრამ თუნდაც როგორც ვერსია და ჰიპოთეზა, რატომ არ არის იგი, საქართველოს შიგნით თუ საქართველოს გარეთ, მსჯელობის თუ დისკუსიის საგანი?**

●

საქართველოს ისტორია მუდმივი ომების ისტორიაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი ერი სისხლისმოყვარე ერია, რომელსაც ომის გარეშე გაძლება არ შეუძლია.

**ჩვენ სულ თავს ვიცავდით ათასი ჯურის მოძალადისა და დამპყრობლისგან, ამიტომაც იძულებული ვიყავით, გვეომა და საკუთარი ქვეყანა დაგვეცვა, თორემ, სინამდვილეში, ბევრი მეგობარი ერისგან განსხვავებით, ქართველი ერი მშვიდობისმოყვარე, ტოლერანტული ბუნების ერია, მიწათმოქმედი ერია.**

ის, რომ საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტი მშვიდობაა, მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩამოყალიბდა **სახელმწიფოს განვითარების მთავარ კონცეფციად,** გნებავთ, მთავარ იდეოლოგიურ მიმართულებად, რისი წყალობითაც საქართველო ათი წელია, ინარჩუნებს მშვიდობასა და სტაბილურობას.

საქართველოს მთავრობის არაერთი განცხადება, გამოთქმული კატეგორიული და პრინციპული ფორმით, არ არის მხოლოდ კონკრეტული გარემოებების საპასუხოდ ნათქვამი დროებითი გამოყენების ფრაზა. საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტი მშვიდობაა, ახლაც და მომავალშიც. **საქართველო უარს ამბობს პრობლემების ომის გზით მოგვარებაზე ახლაც და მომავალშიც.** საქართველოში არანაირი მეორე თუ მესამე ფრონტი არ გაიხსნება, **არც ახლა და არც მომავალში.**

**ვინც არ უნდა დაგვაძალოს, ვინც არ უნდა გვთხოვოს თუ მოგვთხოვოს, საქართველო არავითარ შემთხვევაში არ ჩაებმება არანაირ ომში** — ეს არის არამხოლოდ საქართველოს ხელისუფლების, არამედ ქართველი ხალხის მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება.

ჩვენ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, გასული საუკუნის 90-იან წლებში და 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში, ძალიან მწარე გამოცდილება მივიღეთ და დავრწმუნდით, რომ **ომი არ არის ის გზა, რომლითაც საქართველოს თავისი მტკივნეული პრობლემების გადაჭრა შეუძლია.**

ადრე თუ გვიან კაცობრიობა აუცილებლად მივა იმ დასკვნამდე, რომ ომი პარანოიაა, სიგიჟის და შეშლილობის უმძიმესი ფორმაა, რომელზეც კაცობრიობამ კატეგორიულად თუ არ თქვა უარი, ის ამ ომებს შეეწირება და არსებობას შეწყვეტს.

**იმათ საყურადღებოდ, რომლებიც საქართველოს ომისკენ უბიძგებენ და ამას ისე არხეინად აკეთებენ, თითქოს საქართველოს ამ ომის მოგება უკვე გარანტირებული ჰქონდეს.**

როგორც ვთქვით, ომის პარტია კი არა, მოღალატეთა პარტია უდგას სათავეში ამ მავნებლობას, რომლებსაც არ შეიძლება გაცნობიერებული არ ჰქონდეს, რომ საქართველო დღეს ომისთვის უუნარო და უპერსპექტივო ქვეყანაა, არა იმიტომ, რომ ქართველებს მხედრული ჟინი და ვაჟკაცობა აკლიათ, **არამედ იმიტომ, რომ საქართველო იმდენად პატარა ტერიტორიაზეა გაშლილი, რომ, ღმერთმა დაგვიფაროს და, მისი განადგურება რამდენიმე რაკეტით შეიძლება.**

**ვინც ომისკენ გვიბიძგებს, იმათ ავიწყდებათ, რომ ხმლით და შუბით არ ომობენ დღეს, როცა ერთი ქართველი ათ კაცს უმკლავდებოდა.**

**ძალიან მალე ხომ არ დაგვავიწყდა, როგორ გადაწყვიტა ერთ დღეში ადმირალ ბალტინის ერთმა სამხედრო გემმა, რომელიც კრავჩუკმა ათხოვა მეგობარ შევარდნაძეს, სამოქალაქო დაპირისპირების ბედი შევარდნაძისტების სასარგებლოდ.**

დაახლოებით იგივე მოხდა 2008 წლის აგვისტოშიც.

**რაიმე რომ მოხდეს, ახლაც იგივე განმეორდება, ოღონდ გაცილებით მძიმე და საბედისწერო შედეგებით.**

აქ რომ მეორე ფრონტი გაიხსნას, ამას საქართველო შეეწირება და ეს იცის ყველამ — მოღალატეთა პარტიამაც, სხვადასხვა სახელმწიფოების ელჩებმა, ნატომ, ევროკავშირმა და, რაც მთავარია, იცის ქართველმა ხალხმა.









**შეიძლება ამას ვერ ხვდებიან ის დაბოლილი გოგო-ბიჭები, რომლებსაც ხან ერთი ავანტიურისტული პოლიტიკური ძალა იყენებს „მასოვკად“, ხან – მეორე, მათ ისტერიულ ღრიანცელს კი ქართველი ხალხის ნებად და სურვილად ასაღებენ ნაცების ჯიბის ტელევიზიები, მათ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა მედიასაშუალებები, მათი ჯიბიდან გამოკვებილი არასამთავრობოები.**

საქართველოს მტრებო, ტყუილად გაქვთ ამის იმედი — **საქართველო „პლანაქეშების“, ავანტიურისტების, პროვოკატორების, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშების და აგენტების, ჩვეულებრივი ბიჭებისა და ფსიქოპათების ჭკუაზე არ გაივლის.**

საქართველოში ომი არ იქნება არც ახლა და არც მომავალში!

***ვახტანგ ხარჩილავა***

## საქართველო „პლანაქეშების“, ავანტიურისტების, პროვოკატორების, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშების და აგენტების, ჩვეულებრივი ბიჭებისა და ფსიქოპათების ჭკუაზე არ გაივლის!

## კვირგვინოსნები

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატი*



პარტია „საქართველოსთვის“ გუნდი **მიხეილ სააკაშვილთან** რამე მოლაპარაკების პროცესში **არც დღეს და არც მომავალში** ჩაერთვება.

„GTMEDIA“

**ლევან იოსელიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ახლა **ვადამდელი არჩევნების** წინაპირობა არ არის, არც კრიზისია და არც არაფერი ისეთი, რომ **ვადამდელი არჩევნები** დაინიშნოს.

„იმედინიუსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



გაოცებული ვიყავი, რომ დავინახე **ნაციონალური მოძრაობის წევრების ფოტო უკრაინაში ჩასწრებაზე,** უკომენტაროდ, ეს საზოგადოებამ შეაფასოს.

„პირველი არხი“

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**ძალიან არასერიოზული იყო ის, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ საბოლოოდ გააკეთა** და ვერ გავიგე, უკრაინაში წასულ დელეგაციაში **მარგველაშვილი** რას აკეთებდა.

„პირველი არხი“

**დავით ქართველიშვილი**
*ანალიტიკოსი*



**მარგველაშვილი,** ასე თუ ისე, ქვეყნის პრეზიდენტი იყო და ბოლოს **ნაცების რიგით წევრად წარმოგვიდგა.**

„GTMEDIA“

**ხატია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



„ქართულ ოცნებასა“ და სუს-ში **ძალიან ბევრი ცდილობს, ჯეიმს ბონდი იყოს,** მაგრამ ეს არ გამოსდით.

„ინტერპრესნიუსი“

*— ნუთუ იმხელა უკრაინას კადრები არ ჰყავს, რომ თანამდებობებზე ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის მსგავსი კრიმინალები არ დანიშნოს? —*

***რიტორიკულ კითხვას სვამს „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის" ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე, რომელიც უკრაინაში ნაციონალური მოძრაობის „პარალელური დელეგაციის" ჩასვლას სააკაშვილის დესტრუქციული გეგმის ნაწილად მიიჩნევს:***

— ვფიქრობ, **სააკაშვილმა** ნაცებს კატეგორიულად მოსთხოვა, უკრაინაში ოფიციალურ საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად არ წასულიყვნენ, რადგან იგი საქართველოს ხელისუფლებასთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობას დაუშვებლად მიიჩნევს, მთელ აქცენტს რადიკალიზაციაზე აკეთებს და ბიძამისის, „კაგებეს" მაღალჩინოსან**თემურ ალასანიას** ანტისახელმწიფოებრივ გეგმას მიჰყვება.

**— რომელ გეგმას გულისხმობთ?**

— გაიხსენეთ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თემურ ალასანიას სატელეფონო საუბარი გუბაზ სანიკიძესთან — **„არავითარი თანამშრომლობა ხელისუფლებასთან, უნდა გამოვაცხადოთ დაუმორჩილებლობა და მთელ მსოფლიოს შევატყობინოთ, რომ ძალაუფლება ჩვენ ავიღეთ ხელში!"** უკრაინაში ნაცების „პარალელური დელეგაციის" ჩასვლაც ამ გეგმის ნაწილია — ისინი ცდილობენ, დასავლეთს აჩვენონ, რომ საქართველოში ერთადერთი პროდასავლური ძალა თვითონ არიან და „ივანიშვილის პრორუსულ რეჟიმთან" არ თანამშრომლობენ. არადა, ცნობილი ფრაზა — **„პატრიოტიზმი ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარია!"** — სწორედ ნაცებზეა ზედგამოჭრილი, რომლებსაც უნდათ, თავი საქართველოს ყველაზე დიდ პატრიოტებად წარმოაჩინონ, მაგრამ, რეალურად, მათზე უფრო ანტიპატრიოტული და ანტიქართული ძალა არ არსებობს.

**— საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა რატომ გადაწყვიტა, უკრაინაში ნაცებთან ერთად ჩასულიყო?**

— **„პლასტილინ" მარგველაშვილს** არანაირი ზნეობრივი და მორალური ჩარჩოები არ გააჩნია! გაიხსენეთ: სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, სააკაშვილის მიერ აშენებულ ავლაბრის რეზიდენციას ბოროტებისა და გარყვნილების ბუდეს ეძახდა, მაგრამ გაპრეზიდენტების შემდეგ, როცა მისმა ბავშვობის მეგობრებმა გიგა ბოკერიამ და ნიკა რურუამ თითი დაუქნიეს, იმ ბოროტების ბუდეში უმალ შევარდა. **რას მოახმარა მარგველაშვილმა თავისი პრეზიდენტობის ხუთი წელი? მხოლოდ იმას, რომ ცოლის ნარკომან ნათესავებს ციხიდან ათავისუფლებდა!**

**— რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ უკრაინაში საქართველოს პარლამენტის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი და რადას თავმჯდომარე სტეპანჩუკთან შეხვედრა ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში რაიმე პოზიტიურ ცვლილებას შეიტანს?**

— ამ საკითხს სკეპტიკურად ვუყურებ, რადგან **სტეპანჩუკს** უკრაინის ხელისუფლებაში ნამდვილად არა აქვს იმხელა გავლენა, რომ თუნდაც ნაცკრიმინალების — **ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის** თანამდებობებიდან გათავისუფლებას მიაღწიოს, არადა, ეს საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობაში მართლაც პოზიტიურ გარდატეხას შეიტანდა. მეტსაც გეტყვით — გავლენების თვალსაზრისით, უკრაინის რადას რეალური თავმჯდომარე არა **ვიქტორ სტეპანჩუკი,** არამედ სააკაშვილის მიერ დაფრთიანებული **დავით არახამია** გახლავთ!

**— თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— **არახამია** უკრაინის რადაში ზელენსკის პარტიის თავმჯდომარეა, ხმების 60 პროცენტს აკონტროლებს და უდიდესი გავლენით სარგებლობს. საქართველოს მაგალითს შეგახსენებთ: პარლამენტის თავმჯდომარე ხან **ნინო ბურჯანაძე** იყო და ხან — **დავით ბაქრაძე,** მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ რომელიმე **ბიძინა თარგამაძესა** თუ რომელიმე **გიგა ბოკერიას** უფრო დიდი გავლენა გააჩნდათ, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს ნომინალურ სპიკერებს. კიეველი კოლეგებისაგან ვიცი, რომ არახამია სრულიად უკულტურო და უინტელექტო ფიგურაა, დაახლოებით **დავით კირკიტაძის** ტიპის მოძველბიჭო დეპუტატი, რომელიც ეპატაჟური ქცევებით გამოირჩევა. კიევში მცხოვრები ქართველები, რომლებთანაც ინტენსიური კონტაქტი მაქვს, ჯერ კიდევ ომამდე მეუბნებოდნენ — გვრცხვენია, რომ არახამია ქართველია და გაოგნებული ვართ, ასეთმა უკულტურო, უინტელექტო ადამიანმა უკრაინის ხელისუფლებაში ამხელა გავლენები როგორ მოიპოვაო!

**— არადა, არახამიამ თვითონ განაცხადა — მრცხვენია, რომ ქართველი ვარო!**

— აბა, ქართველებს გვკითხოს, რას ვფიქრობთ მასზე? **არახამიას** არავითარი საფუძველი არა აქვს, რომ ქართველობის რცხვენოდეს, ჩვენ კი მართლაც სრული საფუძველი გაგვაჩნია, გვრცხვენოდეს, რომ **არახამია** ქართველია!

საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის, **დავით არახამია** პუტინის დავალებებს ასრულებს!

**— მაინც რა გიქმნით ასეთ შთაბეჭდილებას?**

— **არახამიამ** ჯერ კიდევ 2021 წლის ივლისში განაცხადა — უკრაინამ ბირთვული იარაღის შექმნაზე უარი არ უნდა თქვას, რადგან ეს მთელი მსოფლიოს დაშანტაჟების საშუალებას მოგვცემსო, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა პირდაპირ კრემლის წისქვილზე წყლის დასხმა და პუტინისათვის საბაბის მიცემა, რათა მას სათქმელი ჰქონოდა — აი, უკრაინელი ნაციონალისტები უკვე ატომური იარაღით გვემუქრებიანო!

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის, როგორც უკრაინელი ხალხის გულშემატკივრისათვის, მძიმე სანახავი იყო კადრები, თუ როგორ დაჰყვებოდა ბუჩაში ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი **ზურაბ ადეიშვილი!** ეს ძალიან დასანანია! ნუთუ იმხელა უკრაინას კადრები არ ჰყავს, რომ თანამდებობებზე ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის მსგავსი კრიმინალები არ დანიშნოს? თანაც, ადეიშვილი განსაკუთრებით საშიში კრიმინალია, რომელიც საქართველოს პროკურატურას საბჭოთა ჩეკას უბინძურესი მეთოდებით მართავდა. მაგალითად, **ბევრმა არ იცის, რომ თბილისის მერის გიგი უგულავას ერთ-ერთი მოადგილე** (გვარს არ დავასახელებ) **ვალდებული იყო, კვირაში ერთხელ ადეიშვილს ხლებოდა და დეტალური ანგარიში ჩაებარებინა, თუ როგორ სრულდებოდა სააკაშვილის დავალებები „ჩაწყობილი" ტენდერების, უკანონო ფინანსური ტრანზაქციებისა და „შავ ხაზინაში" ფინანსების მობილიზების თაობაზე;** ადეიშვილი ამ მტკიცებულებებს აგროვებდა, სისხლის სამართლის საქმეებს აძრავდა და თაროზე ალაგებდა, რათა თავისივე ხელისუფლების წარმომადგენლები კომპრომატებით ჰყოლოდა გამოჭერილი და მუდმივად ეშანტაჟებინა.

**— თქვენი ნათქვამის გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა რჩევებს მისცემს ადეიშვილი უკრაინის გენერალურ პროკურორს! და მაინც, როგორ ფიქრობთ, უკრაინის ხელისუფლება, ჯერ კიდევ პოროშენკოს პრეზიდენტობის პერიოდიდან მოყოლებული, რატომ არის დაკავებული ნაცკრიმინალების მფარველობითა და მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნით?**

— ამის ერთ-ერთ მიზეზი, ვფიქრობ, **ის მასშტაბური კორუფცია და ოლიგარქიულ-კლანური მმართველობაა,** რომელიც უკრაინაში გახლავთ გამეფებული, ნაცებს კი, მოგეხსენებათ, ელიტური კორუფციის შექმნაში დიდი გამოცდილება აქვთ. თვით რუსეთის აგრესიასაც კი უკრაინა ღრმად კორუმპირებულ ვითარებაში შეხვდა, როცა ზელენსკის რეიტინგი 25 პროცენტს არ აღემატებოდა და უკრაინის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მიაჩნდა, რომ ეს შოუმენი და კომიკოსი პრეზიდენტობისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარია. მართალია, ომის დაწყების შემდეგ პრეზიდენტ ზელენსკისადმი უკრაინის მოსახლეობის დამოკიდებულება შეიცვალა, რადგან მან ექსტრემალურ ვითარებაში სიმტკიცე და ლიდერის თვისებები გამოავლინა, მაგრამ ეს მაინც არ ცვლის მოცემულობას, რომ უკრაინის მმართველი ელიტა და მასთან შეზრდილი ოლიგარქიული ჯგუფები კორუფციაში არიან ჩაძირული. სხვათაშორის, ამერიკის გავლენიან წრეებში უკვე მსჯელობენ — იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკრაინა ომში გაიმარჯვებს, რამდენად შეძლებს მისი ხელისუფლება, მოთოკოს აღვირახსნილი კორუფცია?! **არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ვიღაც-ვიღაცები ამ ომის ფონზეც კი მილიონებს აკეთებენ!**

**— უკრაინაში ვიზიტის კვალდაკვალ, ქართული საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა გაამხილეს, რომ რადას თავმჯდომარე სტეპანჩუკმა სურვილი გამოთქვა, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე იმსჯელოს! რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

**– როგორც რუსული ტანკი ვერ იგრძნობს ლულაზე კოღოს დაჯდომას, სწორედ ასე ვერ იგრძნობს რუსეთი საქართველოს მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს, მაგრამ თავად საქართველოსთვის ეს ძალიან მძიმე დარტყმა იქნება.**

გაუგებარია, რატომ ითხოვენ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს და სოციალურ ნიადაგზე დესტაბილიზაციის რისკი გაზარდოს? თუ ამას გაუცნობიერებლად აკეთებენ, ძალიან ცუდია, ხოლო თუ შეგნებულად მოგვიწოდებენ — კიდევ უარესი!

სხვა თუ არაფერი, **სრული აბსურდია, საქართველოსაგან რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესება მოითხოვო მაშინ, როცა უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთის ბიუჯეტში დასავლეთის ქვეყნების მიერ შესყიდული რუსული გაზის საფასურის სახით 40 მილიარდი დოლარი შევიდა!**

**— დაბოლოს: ნაციონალურმა მოძრაობამ კვლავ გააცოცხლა ვადამდელი არჩევნების თემა, რისთვისაც ადამიანებს ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდებენ! როგორ ფიქრობთ, რამეს მიაღწევენ?**

— რა თქმა უნდა, ნაცები ამჯერადაც ვერაფერს მიაღწევენ, რადგან **ვადამდელი არჩევნებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს!** ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერი მცდელობა, რომელიც დესტაბილიზაციის ხელოვნურად გამოწვევისაკენ იქნება მიმართული, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად უნდა შეფასდეს და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი სამართლებრივი პასუხი გაეცეს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



დავით არახამია



**„არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ვიღაც-ვიღაცები ამ ომის ფონზეც კი მილიონებს აკეთებენ!"**

# პეტრე მამრაძე:

# ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის, არახამია პუტინის დავალებებს ასრულებს!

## „უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთის ბიუჯეტში დასავლეთის ქვეყნების მიერ შესყიდული რუსული გაზის საფასურის სახით 40 მილიარდი დოლარი შევიდა!"

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



**ეს ომი, სამწუხაროდ, მალე არ დასრულდება.** უკიდურესად დაძაბული ვითარებაა როგორც კრემლში, ისე არმიასა და ფრონტის ხაზზე. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ ექსპერტები, **რომ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა პუტინმა შეიძლება ბირთვული იარაღის გამოყენებაზე იფიქროს.**

„კვირის პალიტრა"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



დღეს საქართველოში **არ არის რევოლუციისთვის მზაობა** და ამას ვერანაირი კონფერენციები ვერ უშველის. **როგორი სპეციალისტებიც უნდა დაიქირაოს ნაცმოძრაობამ და ვინც უნდა ჩამოიყვანოს ამერიკიდან, არაფერი გამოუვა.** თუ ხალხს არც **ხელისუფლება** მოსწონს და არც **ოპოზიცია,** ძალაუფლება **ხელისუფლებას** რჩება.

„კვირის პალიტრა"

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის" ერთ-ერთი ლიდერი*



საუბარი იმაზე, რომ **საქართველო სანქციებს არ უერთდება ან არ აწესებს,** ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არასწორია.

„იმედინფო"

**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



დასავლეთმა **ვოლოდიმირ ზელენსკის** უღალატა, მათ ის საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს.

„ინდია თუდეი"

***უკრაინაში ცხელი ომის მეორე ფაზა დაიწყო და რუსეთმა აქტიური სამხედრო მოქმედებები განაახლა. რა შედეგით შეიძლება დამთავრდეს ეს სისხლისმღვრელი კონფლიქტი და რა მოსალოდნელი საფრთხეები ან სულაც პერსპექტივები იკვეთება საქართველოსთან მიმართებაში? ამ და სხვა აქტუალურ თემებზე პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა გვესაუბრება:***

— დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ **პუტინს** უნდა, უკრაინაში სამხედრო მოქმედებები 9 მაისისათვის დაასრულოს და მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების დღე ძლევამოსილი იმპერატორის ამპლუაში აღნიშნოს, მაგრამ ეს არ გამოუვა. ყოველ შემთხვევაში, რუსები ვერც კიევისა და ვერც სხვა რომელიმე სტრატეგიული პუნქტის ოკუპაციას ვერ შეძლებენ, 9 მაისამდე მაქსიმუმ, მარიუპოლის აღება მოახერხონ.

**ისე, დღეს საქართველოს უნარიანი და პატრიოტი ხელისუფლება რომ ჰყავდეს, უკრაინის კრიზისის ფონზე რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ძალიან პოზიტიური ძვრები დაიწყებოდა.**

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ უკრაინამ უკვე ძალიან დიდი ადამიანური და მატერიალური ზარალი განიცადა, რუსეთის დასუსტებაც აშკარაა, ეს კი ჩვენთვის ხელსაყრელ მოცემულობას ქმნის. მაგალითად, **დასუსტებულ რუსეთს იმავე აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით ველარ ექნება ძველებურად უკომპრომისო პოზიცია,** როცა აცხადებდა — სოხუმისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“ გადახედვას არ ექვემდებარებაო! შესაბამისად, დღეს საქართველოს მოქნილი დიპლომატია რომ გააჩნდეს, რუსეთის სახით კონსტრუქციულ პარტნიორს გაიჩენდა და არამხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, არამედ ბევრი სხვა კუთხითაც მნიშვნელოვან სარგებელს ნახავდა.

**თუნდაც ჩვენს მეზობელ თურქეთს შევხედოთ, რომელიც უკრაინაში მიმდინარე ომის ყოველ კონკრეტულ დღეს საკუთარი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის იყენებს, რადგან ეროვნული ინტერესების დამცველი მთავრობა ჰყავს.**

**— მაინც რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია მოცემულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ნაცოპოზიციისა და მისი მოკავშირე ზოგიერთი გარე ძალის მიერ ისედაც პრორუსული პოლიტიკის გატარებაშია ეჭვმიტანილი?**

— **უკრაინაში ომის დაწყებისთანავე აზერბაიჯანის პრეზიდენტი მოსკოვში ჩავიდა და პუტინთან სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ ამის გამო არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ ალიევისათვის საყვედური არ უთქვამთ,** რადგან მის ხელისუფლებას კონკრეტული პოზიტიური შედეგები აქვს როგორც ყარაბაღის მიმართულებით, ისე ეკონომიკური განვითარების კუთხით. შესაბამისად, როცა ხალხი ხელისუფლების შედეგებით კმაყოფილია, სულაც არ აინტერესებს, რა გზით მიაღწია მან წარმატებას — პრორუსობით თუ პროდასავლელობით?

საქართველოს ხელისუფლებაც აზერბაიჯანის ხელისუფლებასავით წარმატებული რომ იყოს, ვერც პრორუსულობაში დასდებდნენ ბრალს და ვერც სხვა სისულელეების დაბრალებას გაუბედავდნენ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ სახელი აქვს გატეხილი, რადგან მისი მმართველობის პირობებში ეკონომიკა გაჩანაგდა, ქვეყანა მუდმივ კრიზისში ცხოვრობს და შრომისუნარიანი მოსახლეობა ემიგრაციაში გარბის.

**— ე.ი. უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ რუსეთი ვერანაირად ვერ დარჩება ისეთ კონდიციაში, რომ საქართველოსთან მიმართებაში ხისტი პოლიტიკა შეინარჩუნოს?**

— უკრაინაში ომი დაიწყო არა იმის გამო, რომ უკრაინის პრობლემები გადაწყდეს, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთმა გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები რუსეთთან, ანუ დაასუსტოს იგი და მერე დასუსტებულ რუსეთს რიგი პირობების შესრულება მოსთხოვოს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ:

**რუსეთის დასუსტებით სარგებლობა საქართველოსაც ძალიან კარგად შეუძლია, ისეთი გონიერი და პატრიოტი ხელისუფლება რომ გვყავდეს, როგორიც თურქეთსა და აზერბაიჯანს ჰყავს!**

იგივე თურქეთი ყველანაირად ცდილობს, რუსეთიდან უზარმაზარი ტურისტული ნაკადები მიიღოს, საქართველოში კი რუსი ტურისტებისათვის ყოველდღიურად წესდება პატარ-პატარა შეზღუდვები, რაც, საბოლოო ჯამში, ქართულ ეკონომიკას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს!

**— როგორც უკრაინაში ჩასული ქართული საპარლამენტო დელეგაციის ოპოზიციონერი წევრების განცხადებებიდან ირკვევა, დახურულ კარს მიღმა გარკვეული საყვედურები მიიღეს და უკრაინის ხელისუფლებამ ქართულ მხარეს მოუწოდა — რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე იმსჯელეთო! როგორ ფიქრობთ, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პოზიცია შეცვალოს და რუსეთს სანქციები დაუწესოს?**

— თუ ომში დრამატული გარდატეხა არ მოხდა და რუსეთმა უკან არ დაიხია, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაში ასეთი ცვლილება არ მოხდება. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ქართული საპარლამენტო დელეგაციის მასპინძლობა იყო უკრაინის ხელისუფლების მხრიდან ყველაზე პოზიტიური ნაბიჯი, რაც კი მას საქართველოს მიმართ უახლოეს წარსულში გადაუდგამს.

**ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტისას უკრაინულ მხარეს სააკაშვილის საკითხი არც კი წამოუწევია, არადა, მანამდე სააკაშვილის ყოველ გულყრაზე უკრაინის ხელისუფლება ისტერიკაში ვარდებოდა და მათი ომბუდსმენი განცხადებას განცხადებაზე აკეთებდა.**

**— თუმცა, უკრაინის ხელისუფლებას არც ამ ვიზიტის შემდეგ წაუღია უკან ძალიან მძიმე და ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდება, თითქოს საქართველო „შავი ხვრელის“ ფუნქციას ასრულებს და რუსეთს დასავლეთის მიერ სანქცირებულ ტვირთებს, მათ შორის, სამხედრო დანიშნულების საქონელსაც, კონტრაბანდულად აწვდის!**

— ამ განცხადებას, ალბათ, უკან არც წაიღებენ, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში მსგავსი ისტერიკა შეჩერდება. სანამ ომი მიმდინარეობს, უკრაინის ხელისუფლებას ბევრ არასწორ განცხადებას მოუთმენენ ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, ჩვენთანაც, მაგრამ ეს მოთმინება უსაზღვროდ ნამდვილად არ არის და, **თუ საქართველოსთან მიმართებაში უკრაინის ხელისუფლების აბსოლუტურად არასწორი რიტორიკა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც გაგრძელდება, ეს ორი ქვეყნის ურთიერთობებს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს.**

**— კოლექტიური დასავლეთის პროპაგანდის მიხედვით, ომში უკრაინა იმარჯვებს, რუსული პროპაგანდის თანახმად კი რუსეთის გამარჯვება გარდაუვალია. სინამდვილეში რა ხდება და თქვენი აზრით, როგორ დამთავრდება ეს სამხედრო კონფლიქტი?**

— შეიძლება, ამ ომში უკრაინამ ვერ გაიმარჯვოს, მაგრამ ვერც რუსეთი გაიმარჯვებს, რადგან მისი ეკონომიკა უფრო სუსტია, ვიდრე დასავლეთის ეკონომიკა, რუსული ჯარი უფრო სუსტია, ვიდრე ამერიკისა და ნატოს ჯარი და ამასთან, რუსეთის ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბით ლეგიტიმაციის სერიოზული პრობლემა აქვს. საერთოდ, ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მსგავსი გენერალური ბრძოლების მოგებას დიდი წინასწარი სამზადისი სჭირდება და ასეთ ომებს იმპერიები თავიანთი ძლიერების პიკზე იწყებენ, რუსეთი კი დღეს არათუ საკუთარი ძლიერების პიკზე არ არის, არამედ კრიზისში იმყოფება და როცა კრიზისში მყოფი ქვეყანა ასეთ სამხედრო კამპანიას იწყებს, მარცხისთვის არის განწირული. სხვათაშორის, რუსეთს ამის ისტორიული გამოცდილებაც გააჩნია 1905 წელს იაპონიასთან კატასტროფულად წაგებული ომის სახით.

მოკლედ, **რუსეთის დასუსტება და კიდევ უფრო ღრმა კრიზისში შესვლა გარდაუვალია, მაგრამ საქართველო ამ ძალიან მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პროცესს კვლავ მოუმზადებელი ხვდება!**

**— თქვენი აზრით, გამოიღებს თუ არა რაიმე შედეგს სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიერ ვადამდელი არჩევნების საკითხის კვლავ წამოწევა და მრავალათასიანი მიტინგების მორიგი დაანონსება?**

— ვადამდელი არჩევნებისათვის თეორიული საფუძველი, რა თქმა უნდა, არსებობს, რადგან ხელისუფლებას მოსახლეობის 60-70 პროცენტი არ ენდობა, მაგრამ პრაქტიკულ ასპექტში ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა ხალხის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, რადგან **ამაში რეალური ვადამდელი არჩევნები კი არა, „ქართული ოცნების“ ნაციონალური მოძრაობით ჩანაცვლება იგულისხმება,** რაც საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის მიუღებელია!




# დღეს საქართველოს უნარიანი და პატრიოტი ხელისუფლება რომ ჰყავდეს, უკრაინის კრიზისის ფონზე რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ძალიან პოზიტიური ძვრები დაიწყებოდა!

## „საქართველოს მოქნილი დიპლომატია რომ გააჩნდეს, რუსეთის სახით კონსტრუქციულ პარტნიორს გაიჩენდა და არამხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, არამედ ბევრი სხვა კუთხითაც მნიშვნელოვან სარგებელს ნახავდა!“

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**ანა ნაცვლიშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



**სტეფანჩუკმა** ორი რამ გვთხოვა, **საქართველომ იმსჯელოს ორმხრივ სანქციებზე** და მეორე, საქართველომ გადადგას ნაბიჯები, რომლებიც უკრაინამ უკვე გადადგა, **ეს რუსულ პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლას ეხება.**

„ახალი თაობა“

**ოლეგ ბასილაშვილი**
*მსახიობი*



არსებობდა ხალხი, რომელსაც სძულდა **სტალინი** და, ზოგადად, საბჭოთა წყობა, ამიტომაც სისტემამ შექმნა **გულაგი.** ახლა **გულაგი** საჭირო არ არის, ამ ხალხს **გულაგის** გარეშეც უყვარს ბელადი. **საშინელებაა მონობა ხელკეტის ქვეშ, მაგრამ უფრო დიდი საშინელებაა მონობა ხელკეტის გარეშე, ნებაყოფლობითი მონობა.**

„ახალი თაობა“

**დავით საყვარელიძე**
*უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე*



**შეერთებული შტატები არ ჩქარობს, რომ ეს ომი დაამთავროს** ორ კვირაში ან ერთ თვეში, ვინაიდან, **რაც მეტად ჩაეფლობა რუსეთი ამ ომში, მით უფრო მეტად აწყობს შეერთებულ შტატებს.**

„TV პირველი“

**მამუკა გიორგაძე**
*„სახალხო პარტიის“ ლიდერი*



საქართველოსთვის **პრორუსულ ჯგუფებზე** უფრო საშიში ის **რუსული აგენტურაა,** რომელიც **ყალბ დასავლურ დროშას აფრიალებს.**

„ახალი თაობა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



**ივანიშვილი** რუსეთს არ დაეხმარება და თავის ქონებას რისკის ქვეშ არ დააყენებს. **ევროკავშირში სწრაფად თუ შევალთ, ქვეყანა დაიცლება,** ეკონომიკურად გაძლიერებული უნდა შევიდეთ.

„ახალი თაობა“



# მაია ნიკოლეიშვილი: სხვა ქვეყნის ჭირისუფლობას სჯობს, ჩვენი ქვეყნის მესაზღვრეები ვიყოთ!

*— ხელისუფლება მართალს ამბობს, სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის წინაშე ვდგავართ! —* ***აცხადებს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი. და ამხილებს, ვინ დგას ამ საბედისწერო პროცესების უკან:***

— წინა ინტერვიუში ვთქვი — საქართველოში ცეცხლის გახსნა რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ომის ტოლფასი იქნება, რაც უკრაინას არაფერში დაეხმარება, მაგრამ მათთვის, ვინც უკრაინის ხელისუფლებას თავისი ინტერესებისთვის იყენებს, ძალიან მნიშვნელოვანია-მეთქი. ფაქტია — არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ომში ვერ ჩაითრიეს, ამიტომ შემდეგ ეტაპზე შეიძლება დივერსიულ ქმედებებზე გადავიდნენ ან ხელისუფლების შეცვლის გზით მოახდინონ მეორე ფრონტის გახსნა. პროცესში საკმაოდ სერიოზული ძალები არიან ჩართული. შემთხვევითი არ ყოფილა **გია დვალის** მოწოდებებიც.

**— გია დვალი რა შუაშია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან?**

— თავადაც ხომ ნახეთ, როგორი მოწოდებები გააკეთა?! შეიძლება, დიდი მეცნიერია, მაგრამ საქართველოს პოლიტიკაზე პრიმიტიულად მსჯელობს. არც ნაციონალების თავშეყრა და სააკაშვილის სასამართლო დარბაზიდან გაკეთებული მოწოდებებია შემთხვევითი. ბაკურიანის თემა, უბრალოდ, გახმაურდა, რეალურად კი, ისინი მუდმივ რეჟიმში განიხილავენ ამ საკითხს.

ამ შემთხვევაში ერთადერთი რამ მაკვირვებს —

**ნაციონალების რეჟიმმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ისე დამაბრალა, რომ ყველაზე ცუდ სიზმარშიც არ მიფიქრია ამაზე. სააკაშვილი კი სასამართლო პროცესზე კამერების წინ საუბრობს სახელმწიფოს გადატრიალებაზე და კაციშვილი ხმას არ იღებს.**

სასამართლო დარბაზი სახელმწიფო გადატრიალების მოწოდების ადგილად იქცა. ორივე საქმის მოსამართლეებს ძალიან დიდ პატივს ვცემ, თავისი საქმის პროფესიონალები არიან, მაგრამ ეს ყოვლად დაუშვებელია!

თემას როგორც კი ასცდება, სააკაშვილი უნდა გააჩუმონ. როგორ შეიძლება, პირდაპირ ეთერში, თანაც სასამართლო პროცესიდან ადამიანებს სახელმწიფო გადატრიალების გეგმა ასმენინონ?! **არცერთი ბრალდებული არ მეგულება, ვისაც ამის უფლებას მისცემდნენ, სააკაშვილი წითელი კოჭია, ამდენს რომ ალაპარაკებენ?!**

**— სხვათაშორის, ბოლო პროცესზე ჩვეული შემართებით ვერ ისაუბრა — ჯანმრთელობამ უმტყუნა...**

— იმისთვის საკმარისად კარგადაა, რომ სიბოროტე ჩაიდინოს. დღესაც მზად არის, ხალხს ტრავმა მიაყენოს, როგორც ამას 9 წლის განმავლობაში აკეთებდა. მას სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეუძლია. ახლაც თავის ნაციონალებთან ერთად იმ გეგმას ახმოვანებს, რაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიდან მოდის. ყველა მოქმედებას აქვს ლოგიკა, ყველა პოლიტტექნოლოგიას აქვს თავისი ჯაჭვი. ასეთი სცენარები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

**— ხელისუფლების შეცვლაზე არაერთხელ უსაუბრია სააკაშვილს, პარლამენტში შეჭრის მცდელობაც ყოფილა, თუმცა, როგორც ვხედავთ, ხელისუფლების ნაცვლად დღეს ციხეშია გამოკეტილი.**

— ამჯერად მე უფრო ცუდ რაღაცას ვგულისხმობ. შეიარაღებულ გადატრიალებაზე ვსაუბრობ, რომელიც შეიძლება ნაცებმა და მათმა დამხმარე გარე ძალებმა მოაწყონ საქართველოში! ხაზს ვუსვამ, ძალიან მაღალია სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების შეცვლის საფრთხე იმიტომ, რომ მათ ხელისუფლებაში მოსვლის სხვა რესურსი აღარ დარჩათ.



უმარტივესი სურათი ავიღოთ — გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობა კოჰაბიტაციისთვის გაღებული ხარკი იყო, სალომე ზურაბიშვილის — ევროპისთვის. სადაც ქალბატონი პრეზიდენტი ამბობს, პოლიტიკური შეხვედრების უფლება არ მომცეს და მაინც გავიპარეო, იქ ყველაფერი დამთავრებულია. არ ვიყავი სალომე ზურაბიშვილის მიმართ უარყოფითად განწყობილი, მაგრამ მისი საქციელი აღარაფერში ჯდება. **თავმოყვარე ადამიანი ამის შემდეგ ერთი დღეც არ გაჩერდებოდა პრეზიდენტად.**

ისე კი, საერთოდ, რაზე ვსაუბრობთ? **რუსულენოვან ადამიანებს მთელ მსოფლიოში პრობლემებს უქმნიან ეროვნული კუთვნილების გამო და არის თუ არა ეს ფაშიზმი 21-ე საუკუნეში?!** ამ სიტუაციაში კიდევ იტყვის ვინმე, როგორ შეიძლება სახელმწიფო გადატრიალება მოხდესო?! ჩვეულებრივად შეიძლება, თუ ჩვენი უშიშროების სამსახური არ დადგება მოწოდების სიმაღლეზე! დღეს საქართველოში ძალიან ბევრი უცხოელია შემოსული, თანაც, ძირითადად, ახალგაზრდები. ვიცით კი, ვინ ვინ არის? რატომ გამოვრიცხავთ, რომ ერთ დღესაც იარაღით ხელში გადატრიალებაში მიიღებენ მონაწილეობას?

**— ერთია ნაციონალების სურვილი, მეორეა — დაუშვებს თუ არა ქართველი ხალხი მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას?**

— არ დაგავიწყდეთ, რომ 9 წლის წინათ ბევრი ჩვენგანი ვირთხა ადეიშვილისა და მერაბიშვილის შიშით ხმას ვერ ვიღებდით. პირში წყალი გვქონდა ჩაგუბებული. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, კაცმა არ იცის, დღეს სად ვიქნებოდით. **შეიარაღებული გადატრიალების დროს სულ სხვა კანონი მოქმედებს. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გაანადგურონ.**

ერთნაირად განვიცდი მშვიდობიანი უკრაინელი და რუსი მოსახლეობის დაღუპვას. მაგრამ აქვე ერთ კითხვას ვსვამ:

**დავუშვათ, დამარცხდა რუსეთი, რამდენი დღე და საათი დარჩება ჩვენი ხელისუფლება სათავეში? ვინ მოვა მათ ნაცვლად? რა თქმა უნდა, იმავე საღამოს დაბრუნდებიან ნაციონალები.**

გარდა ამისა, წინ გვიდევს ყარსის ხელშეკრულება, რომელსაც, ფაქტობრივად, ვადა გასული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მათთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, როდესაც რუსეთის ფაქტორი მოიხსნება, როგორი იქნება თურქეთის დამოკიდებულება სომხეთისა და საქართველოს მიმართ?

პირდაპირ ვამბობ — არც ნაციონალური ფაშისტების დაბრუნება მინდა ხელისუფლებაში და არც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა. ჩემი ერთადერთი ინტერესია საქართველო და მისი მომავალი!

**— არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ხელისუფლების პირობებში დავკარგეთ დამოუკიდებლობა და ვიქეცით რუსეთის კოლონიად.**

— კი არ ფიქრობენ, ასე ამბობენ. ეს არის ჩვეულებრივი გებელსიადა, თითქმის ასი წლის წინანდელი. შენ უნდა დაასწრო სხვას და დააბრალო ის, რასაც თავად წარმოადგენ. ჩვეულებრივი პროპაგანდისტული ხერხია, რასაც, სამწუხაროდ, ბევრი გაუთვითცნობიერებელი ადამიანი აჰყვა. რა რუსეთი, რის რუსეთი, თუ ღმერთი გწამთ?! შეიძლება ბევრი რამ თქვა, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ რუსეთთან კეკლუცს ვერ დააბრალებ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ —

**ანგლოსაქსების გეგმაა რუსეთის დაშლა. ერთი მხრივ, ცხელი ომი მიდის მათ წინააღმდეგ, მეორე ხელით კი ევროპის დაჩოქებას ცდილობენ. ჩვენ მათ ამ მიზნის მისაღწევად დამხმარე ინსტრუმენტად ვჭირდებით!**

**— შესაძლოა, თქვენი ამ მოსაზრების შემდეგ ბევრმა თქვას, ჩვენს უბედურებაში ყოველთვის რუსეთის ხელი ერია, ახლა გახდა კაცობრიობის მსხვერპლიო?!**

— ყველაზე ცუდი, იცით, რა არის? ინფანტილიზმი, სხვისი დადანაშაულება საკუთარ შეცდომაში. ის ადამიანი თუ ქვეყანა, ვინც სხვას ადანაშაულებს თავის წარუმატებლობაში, პასუხისმგებლობას გაურბის. როცა ამბობ, 1990-ან წლებში რუსეთმა მოაწყო გადატრიალებაო, შენი ტვინი სად იყო მაშინ? რას ფიქრობდი, როცა აფხაზეთში სროლა დაიწყე?! რატომ არ ვამბობთ სიმართლეს, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც მსხვერპლი, არჩევის წუთიდან განწირული იყო?! ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ეს პროცესი მხოლოდ რუსეთიდან იყო მართული. მას მაშინ თავისი გაჭირვება ჰქონდა.

საქართველოში ყველა ქარხანა რომ გავერანდა, ჩვენ დავანგრიეთ თუ რუსეთმა? ჩვენ გავიტანეთ ჯართი თურქეთში თუ

> **„წინ გვიდევს ყარსის ხელშეკრულება, რომელსაც ფაქტობრივად, ვადა გასული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მათთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, როდესაც რუსეთის ფაქტორი მოიხსნება, როგორი იქნება თურქეთის დამოკიდებულება სომხეთისა და საქართველოს მიმართ?“**

პოლიტოლოგის თვალით



# რამაზ საყვარელიძე: მას შემდეგ, რაც უკრაინაში შეიჭრა და მოძმე ერს ბომბები დაუშინა, რა გასაკვირია, რომ კრიტიკულ სიტუაციაში პუტინს წითელ ღილაკზეც წაუცდეს ხელი?

***— მაინც სადამდე შეიძლება გაგრძელდეს დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირება უკრაინაში? — ამ შეკითხვით მივმართეთ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს, რომელმაც მომავლის არცთუ საიმედო პერსპექტივა დახატა:***

— ვფიქრობ, ეს დაპირისპირება დროში გაიწელება და მეტოქის სრულ გამოფიტვამდე გაგრძელდება. ამ შემთხვევაში უკრაინა ერთ-ერთი სერიოზული ბერკეტია დასავლეთისთვის, რომ რუსეთი დაშალოს და მისი აგრესია შეაჩეროს. თუ რუსეთის მთლიანობა შეირყევა, მერე უკვე სხვა ქვეყნებზე თავდასხმის არც სურვილი და არც უნარი აღარ ექნება. **ფაქტია, დასავლეთმა რუსეთს უპრეცედენტო ეკონომიკური ომი გამოუცხადა, რის ფონზეც მას ინტეგრაცია გაუჭირდება, საშუალება აღარ ექნება, რეგიონები შეინარჩუნოს. თვითმფრინავითაც კი ვერ იმოძრავებს, რადგან ტრანსპორტის შესარემონტებლად ტექნიკურ ნაწილებს უცხოეთიდან ვეღარ მიიღებს.** ამ პროცესში ბეწვის ხიდზე გადის დასავლეთი. რუსეთი ბირთვული ქვეყანაა და კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებს.

**— ანუ შეიძლება ბაიდენის ამერიკამ რუსეთი დაშალოს?**

— ჩემი ვარაუდით, რუსეთს მოუწევს დათმობაზე წასვლა, რადგან მისი სახელმწიფოებრიობა დადგება დარტყმის ქვეშ. კონკრეტულად ბაიდენის პერსონაში არ არის საქმე, თანაც, ეს ომი ტერიტორიულად ამერიკისთვის ძალიან შორსაა და ყველაზე ნაკლებად დაზარალებული თავად დარჩება. მიმდინარე პროცესები გაცილებით მძიმე გადასატანი იქნება ევროპისთვის, რომელიც ეკონომიკურად

## «ზელენსკი ძალიან

კვირგვინოსნები

თაკო ჩარკვიანი
„კანონი და სამართლიანობა“ ლიდერი



ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს: **თუ 500 000-კაციან პარტიას შეუძლია წყნარად უყუროს, როგორ კვდება მათი ლიდერი,** მაშინ თქვით, რომ პარტია არ ხართ — **გადავკეტოთ რუსთაველი და იქიდან აღარ გამოვიდეთ.**

„ინტერპრესნიუსი“

[illegible]
პოლიტოლოგი



აშშ-სა და დასავლეთს ერთი ინტერესი აქვთ, რაც **შეიძლება დიდხანს გაძლოს ზელენსკიმ უკრაინა-რუსეთის ომში, რათა რუსეთი დასუსტდეს ეკონომიკურად, სოციალურად, სამხედრო თვალსაზრისით და დაიჩოქოს აშშ-ის წინაშე.** რეალურად კი მოხდება ის, რომ **რუსეთი უკრაინას ჩამოაჭრის დონბასს, მიაყოლებს შავიზღვისპირეთს, ხარკოვს, ოდესას და სხვა ქალაქებს.**

„საერთო გაზეთი“

## პროგნოზები და დიაგნოზები

რუსეთმა? სააკაშვილის ნაცისტური რეჟიმი ვინ აირჩია საქართველოში — ჩვენ თუ რუსეთმა?! ყოველი მესამე კაცი პრობაციონერი რომ იყო, ამასაც რუსეთი აკეთებდა? მხოლოდ ერთი პრიზმიდან არ უნდა შევხედოთ მოვლენებს. ადვილია, სხვას გადააბრალო შენი უსუსურობა და სიზარმაცე. სამწუხაროდ, დღესაც არ გვაქვს იმის გამბედაობა, რომ სიმართლეს თვალი გავუსწოროთ.

აღარ არის იმის განხილვის დრო, უკრაინელი მოგვწონს, რუსი თუ ამერიკელი. სხვა ქვეყნის ჭირისუფლობას სჯობს, ჩვენი ქვეყნის მესაზღვრეები ვიყოთ! **როცა ქვეყანაში ამდენი უცხოელია შემოსული და გამოუცხადებელი მესამე მსოფლიო ომია, განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს.** თურმე, ჩვენი საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში ჩავიდა და ყველაფერი გაირკვა. როცა ყურადღებას მოადუნებ, სწორედ მაშინ გააკეთებენ თავის გასაკეთებელს. მათი ნდობა არ შეიძლება!

**— თქვენი აზრით, ამ ვითარებაში რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება? ფაქტია, რომ მათ ხელში არის გარკვეული ინფორმაცია, ირაკლი კობახიძემ საჯაროდ გააკეთა განცხადება ე.წ. შეთქმულების შესახებ.**



### „რატომ არ ვამბობთ სიმართლეს, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც მსხვერპლი, არჩევის წუთიდან განწირული იყო?!“

— ხელისუფლება მართალს ამბობს, როდესაც სახელმწიფო გადატრიალების საფრთხეებზე საუბრობს. საზოგადოების გონიერი ნაწილი უნდა დაფიქრდეს ამაზე.

რა დავაკელით ზელენსკის, რომ საქართველოდან ელჩი გაიწვია? მან თავისი ხალხი გაწირა, ჩვენ კი საკუთარ ქვეყანაზე, ხალხზე, შვილებსა და მომავალზე ვიფიქროთ. **არ არის საჭირო სხვისი გარდაცვლილის პანაშვიდებზე ჭირისუფლად ჯდომა.** სხვა ქვეყნის ომში ჩვენი ადგილი არ არის, მაშინ როცა, თავად ვიმყოფებით გამოუცხადებელ ომში. ნუ ვიდარდებთ, თუ ვერ გავუგებთ ჩვენ და ნაცების მეგობარი უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება ერთმანეთს. მთავარია, საქართველო იყოს კარგად!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## პოლიტოლოგის თვალით

სერიოზულად დაზარალდება. თუმცა, მეორე მხრივ, მსოფლიო უნიკალური ისტორიული მომენტის მომსწრეა — ასეთი გაერთიანებული და ერთსულოვანი ევროპა აქამდე არავის უნახავს.

**— ამ შემთხვევაში როგორც ფსიქოლოგს მინდა, გკითხოთ — ვინ არის ვოლოდიმირ ზელენსკი?**

— როგორც სპიკერი, შესაშური სითამამით მიმართავს მსოფლიო ლიდერებს და მოითხოვს მათგან დახმარებას, მაგრამ ზელენსკი ძალიან ჰგავს სააკაშვილს, უბრალოდ, მოქმედების უფრო დიდი არეალი აქვს. გარდა ამისა, ერთმანეთს დაემთხვა ზელენსკისა და მსოფლიოს ინტერესებიც.

**— და რა არის მსოფლიოს ინტერესი, ის რომ საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნას?**

— ზელენსკი ისევე, როგორც აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის ლიდერი, იმ შთაბეჭდილების ქვეშაა, რაც 2008 წელს შეიქმნა — თითქოს სააკაშვილი და მისი გუნდი რუსეთთან შეუპოვარი მებრძოლია. მათი აზრით, 2008 წელს ომი მცირე დროში იმიტომ დასრულდა, რომ რუსეთი ძალიან ძლიერი გახლდათ. **ავიწყდებათ, რომ 90-ან წლებში გაცილებით გამოუცდელმა ქართულმა ჯარმა წელიწადზე მეტხანს გაუწია რუსეთს წინააღმდეგობა.** და კიდევ:




**2008 წელს სამდღიანი ომი არ იქნებოდა, მხედართმთავრები ბრძოლის ველიდან რომ არ გაქცეულიყვნენ. როგორც ჩანს, ეს ხშირად უნდა შევახსენოთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს.**

ზელენსკი და მისი გუნდი ზედაპირული ნიშნებით მსჯელობენ. არ არიან პოლიტიკურად იმდენად გამოცდილი, რომ პრეტენზიები წაუყენონ საქართველოს ხელისუფლებას. კარგია, „ქართული ოცნება“ რომ არ აჰყვა მათ პოლემიკას.

**— ფიქრობთ, რეალურია საფრთხე, რომ პუტინმა წითელ ღილაკს ხელი დააჭიროს?**

— თუ ჩემს პროფესიას — ფსიქოლოგიას დავეყრდნობი, რუსეთის ლიდერის ხასიათიდან გამომდინარე, არაფერია გამორიცხული. მას შემდეგ, რაც უკრაინაში შეიჭრა და მოძმე ერს ბომბები დაუშინა, რა გასაკვირია, რომ კრიტიკულ სიტუაციაში პუტინს წითელ ღილაკზეც წაუცდეს ხელი? საკუთარი მიზნებისთვის შეუძლია, ყველა და ყველაფერი გაწიროს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# ჰგავს სააკაშვილს!»

## ჟურნალისტის თვალით

# ჯეფრი სილვერმანი:

# იყავით ფრთხილად, საქართველოში სისხლისღვრა არ მოხდეს!

***ხავერდოვანი რევოლუციების სპეციალისტთან, ამერიკელ პიტერ აკერმანთან ოპოზიციური ლიდერების შეხვედრის შემდეგ საქართველოში ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილე ჯეიმს აპატურაი ჩამოვიდა და დაანონსდა ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების ჩამოსვლაც.*** *„საქართველოს მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ყველას, ვინც კი უკრაინაში იბრძოდა, მათი ყველა ნაბიჯი იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია არეულობა“,* ***— აცხადებს ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი ჯეფრი სილვერმანი და საქართველოს მთავრობას აფრთხილებს:***

— **პიტერ აკერმანი** უცხოეთში მთავრობების დამხობის სპეციალისტია, არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრს ხელმძღვანელობს, მაგრამ სინამდვილეში ხალხს ასწავლის, როგორ დაამხონ ხელისუფლება. ხომ გსმენიათ ანდაზა: ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზა კეთილი განზრახვებითაა მოკირწყლული. **პრაქტიკულად, აკერმანი იმ საქმეს აკეთებს, რასაც საელჩოები ღიად და ხმამაღლა ვერ ამბობენ, ამიტომ აკერმანის მსგავსი პერსონები სწორედ ასეთ დროს გამოდიან ასპარეზზე.** ასე მოხდა უკრაინაში, ყირგიზეთში, სერბეთში და, გარკვეულწილად, ლიბანსა და კუბაში.

**— მოსალოდნელია რევოლუციური ტალღის აგორება?**

— აკერმანს სამუშაო მისცეს, რომ ნებისმიერი გზით საქართველოში ხელისუფლება შეცვალოს. სავარაუდოდ, ეს პროცესები ძალადობრივი გახდება, რადგან, ვისაც აკერმანი ეყრდნობა, ანუ სააკაშვილსა და მის უკან მდგომ ძალებს, ისინი ცივსისხლიანი მკვლელები არიან. იყავით ფრთხილად, საქართველოში სისხლისღვრა არ მოხდეს!

**— ხალხი უარს ამბობს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლაზე, მათ აქციებზე აღარ გადის...**

— შეიძლება, სხვა ჯგუფი მოძებნონ და არა ნაციონალური მოძრაობა, ბევრი ყალბი ოპოზიციური პარტიაა, რომელთა რიგებში კრიმინალებიც არიან. რაღაც მოულოდნელი მზადდება საქართველოსთვის. **ნაციონალურ მოძრაობას და მის ქართულ ბრიგადას უკრაინაში მამუკა მამულაშვილის მეთაურობით უკვე შემუშავებული აქვს ხელისუფლებაში მოსვლის სამოქმედო გეგმა და საქართველოს მთავრობის შეცვლას მისთვის ომის გამოცხადებით შეეცდებიან.** არ გამოვრიცხოთ პოლიტიკური მკვლელობები, ზოგიერთი პირი ზუსტად ამ მიზნით უკვე გაწვრთნილია.

**— აკერმანის შეხვედრა ოპოზიციასთან ამერიკის ელჩისთვის უცნობი იქნებოდა? საქართველოში ჩამოვიდა ჯეიმს აპატურაი, დაანონსდა სენატორებისა და კონგრესმენების ჩამოსვლა...**

— ოპოზიციასთან პიტერ აკერმანის შეხვედრის შესახებ **კელი დეგნანს** ეცოდინებოდა. პროცესები რთულდება და საქართველოს გარკვეული ვალდებულებები აქვს აღებული. მთელ ამ მოძრაობაში გასათვალისწინებელია ერთი რამ — **თუკი დასავლეთი იმ შედეგს ვერ მიიღებს, რასაც რუსეთ-უკრაინის ომით ელოდება, საქართველო, როგორც სარეზერვო საშუალება, მას აუცილებლად დასჭირდება.**

**— პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოში მეორე ფრონტი არ იქნება...**

— მთავრობამ მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა აიყვანოს ყველა ქართველი, ვინც კი უკრაინაში იბრძოდა, ვინც ახლა იბრძვის, ან ვინც ომში მონაწილეობს ფულის აღების მიზნით. ნაციონალური მოძრაობისთვის ეს ომი ხელისუფლებაში დაბრუნების ლამის ერთადერთი გზაა და რაც უფრო დაიძაბება სიტუაცია უკრაინაში, თანაც რუსეთის სასარგებლოდ, მით უფრო მალე შეეცდებიან საქართველოში მდგომარეობის არევას. ისინი ამას გააკეთებენ იმ რადიკალიზებული ქართველებით, რომლებიც სირიაში იბრძოდნენ და ასევე უცხოელი დაქირავებული მებრძოლებით.

**„მთავრობამ მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა აიყვანოს ყველა ქართველი, ვინც კი უკრაინაში იბრძოდა, ვინც ახლა იბრძვის და ვინც ამ ომში ფულის მიღების მიზნით მონაწილეობს!“**

**— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილისა და „ქართული ოცნების“ დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში საქართველოს ხელისუფლებისთვის დადებითი შედეგის მომტანი არ იქნება?**

— საქართველოს ხელისუფლება რაც უფრო დისტანცირებული იქნება უკრაინისა და ამ გიჟური კონფლიქტისაგან, მით უფრო უკეთესი იქნება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. **ეს ომი ამერიკას სჭირდება, რადგან ხუთ თვეში იქ შუალედური არჩევნებია და ყველა ხედავს ბაიდენის ეკონომიკური პოლიტიკის მარცხს.** ვინაიდან საშუალო ამერიკელი თავს კარგად არ გრძნობს და ბაიდენით უკმაყოფილოა, ყველაფერი მას კი არა, რუსეთს უნდა დაბრალდეს, რადგან ეს ქვეყანა დღეს მისთვის განტევების ვაცია. სიმართლე თუ გინდათ, სწორედ ამერიკამ გამოიწვია რუსეთის პროვოცირება ნატოს გაფართოებაზე. **ევროპისა და ღარიბი უკრაინის ხარჯზე ამერიკა ყველაზე დიდ სარგებელს მიიღებს. ამას გარდა, ეს ომი ემსახურება იარაღის გაყიდვას და რამდენიმე ბინძური ადამიანის გამდიდრებას.**



**— როგორ აისახება საქართველოზე რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები?**

— ნატო უკრაინასა და საქართველოს თავის წითელ ხაზს არ გადააკვეთინებს. ზელენსკიმ უკრაინაში პანდორას ყუთი გახსნა და შედეგებს თვალს ვადევნებთ. ისე არ მოიქცეს ხელისუფლება, რომ აქაც მოახდევინონ თავი ამ ყუთს და ქვეყანა დაკარგონ.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



**სად მოგროვდა ამდენი დეგენერატი:** გამოდის თვითმარქვია, მიშასდროინდელი, ვითომ დიპლომატი, ორი თვე უცხოეთში რომ იყო და ამბობს: **რუსეთს ორი კვირა დარჩა, პუტინს თავად რუსები მოკლავენო.** გაოცებას ვერ ვმალავ. რა თქმა უნდა, ეს სრული სისულელეა. **ამხელა სახელმწიფოს უცებ დამარცხება არ ხდება. თანაც, რუსეთის დაშლა თავად დასავლეთს არ აწყობს.**

ვერასოდეს ვერ შედგება სახელმწიფო, თუ მას არა აქვს მიუკერძოებელი, სამართლიანი სასამართლო. **„ოცნებას“ შეიძლება ეს სასამართლო ბედის ირონიასავით შემოუბრუნდეს, როგორც სააკაშვილს შემოუბრუნდა.** ამაზე უნდა დაფიქრდნენ.

„საერთო გაზეთი“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**მიშა სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაბედა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება საპატრიარქოს შიშით და რაღაც სხვა მოტივებით.** კიდევ კარგი, რომ მოგვიხერხდა, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკელებს, **ბიძინა ივანიშვილის** დაყოლიება და **ბიძინა ივანიშვილი** ამ თვალსაზრისით პოზიტიურად მოიქცა, როცა **მის „ქართულ ოცნებას“ ხელი გადაუგრიხა და ეს კანონი სულ გრიალ-გრიალით გავიდა.**

„ახალი თაობა“

**შოთა გლურჯიძე**
*მხატვარი*



ქართველების პოზიცია **რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელ ომში** მხოლოდ მომრიგებლური უნდა იყოს. **თავმოყვარეობის საკითხია, ზელენსკისთან რაიმე სახის კავშირის დამყარება მას შემდეგ, რაც მან საქართველოდან ელჩი დემონსტრაციულად გაიწვია.** განა, რა დავუშავეთ, სიკეთის მეტი რა გავუკეთეთ?! **ზელენსკის სახით უკრაინას უღირსი პრეზიდენტი ჰყავს, თუმცა, ხალხს არაფერი დაუშავებია და მას უნდა დავეხმაროთ.**

„საერთო გაზეთი“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი*



სამართლიანი არჩევნების შედეგები თუ იტყვის, რომ **„ქართული ოცნება“ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში,** მაშინ ჩვენ ვიტყვით — **დაე, დარჩეს და ვიყოთ ამ ჭაობში.**

„ახალი თაობა“



გოლგოთაზე ჯვარცმულ ქრისტეს, ვიდრე მისი სული სხეულს გაეყრებოდა, ეს სიტყვები აღმოხდა — „უფალო ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?“ არადა, ნუთუ მაცხოვარმაც კი საკუთარი თავი ღმერთისგან მიტოვებულად ჩათვალა? ვესაუბრებით სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ დავით ისაკაძეს:

„ფილარეტს უკან მოსაბრუნებლად ერთადერთი გზა გააჩნია – სინანული! თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი მას სასულიერო ხარისხი აღარ აღუდგება!“



## მამა დავითი (ისაკაძე):

# უკრაინაში ღმერთთან და ჭეშმარიტ ეკლესიასთან განხეთქილება გახდა ამ ქვეყნისთვის თავს დატეხილი სასჯელის მიზეზი!

— ქრისტე ერთდროულად სრული ღმერთიც გახლდათ და სრული ადამიანიც, ოღონდ — ცოდვის გარეშე! მას ზუსტად იმგვარად სტკიოდა, შიოდა და სწყუროდა, როგორც ნებისმიერ ჩვეულებრივ ადამიანს. ამას ვამბობ იმ მწვალებელი კონფესიების გასაგონად, რომლებიც იესო ქრისტეში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებენ! **ქრისტე მხოლოდ ღმერთი რომ ყოფილიყო, არც ჯვარცმის დროს დამახასიათებელი აუტანელი ტკივილი გატანჯავდა და არც ცრემლი მოერეოდა, როცა თავისი მეგობრის მართალი ლაზარეს გარდაცვალების შესახებ შეიტყობდა.** ამ შემთხვევაშიც, ჯვარცმისას, უფალმა იესო ქრისტემ თავისი ადამიანური ბუნება წარმოაჩინა.

**— მაგრამ, თუ ქრისტემ ჯვარცმის დროს მაინც გამოავლინა ადამიანური სისუსტე, ჩვენ, ჩვეულებრივმა ადამიანებმა, რაღა დავიჩივლოთ, როცა აუტანელი განსაცდელის წინაშე ვდგებით?**

— ვინც განსაცდელის დროს სულიერად და რწმენით ღმერთთან იქნება, ყველაფერს დაითმენს და გადაიტანს. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ჩვენი დიდებული მეფის **ვახტანგ გორგასლის** სიტყვები: ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს! არანაირი ყოყმანი და წინაღობა არ არსებობს მადლმოსილი ადამიანისთვის, თუ ქრისტეს გამო სიკვდილისთვის მზადყოფნას გამოთქვამს! ადამიანური ყველა სისუსტეც ქრისტეს სახელით დაიძლევა!

**— ამ შემთხვევაში ცნება „სიკვდილი“ როგორ გავიგოთ?**

— ცნება **„სიკვდილის“** პერიფრაზი არის **„გარდაცვალება“.** სიკვდილი — ხორცით და აღდგომა — სულით! **ხოლო შემდეგ, როცა მეორედ მოსვლა იქნება — ისევ ხორციელი აღდგომა!** ადამიანი მიწიერი ცხოვრებიდან გარდაიცვლება მეორე, მარადიული ცხოვრებისაკენ, რადგან სული არ კვდება, ის მხოლოდ სხეულს ეყრება. ამის შემდეგ მას ელის ჯერ პირადი სამსჯავრო, ხოლო შემდეგ,

**როცა ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამი დადგება, იქნება საყოველთაო სამსჯავრო, სადაც საბოლოო განაჩენი მიეგება ყველა სულს ხორციელ ცხოვრებაში ჩადენილ საქმეთა შესაბამისად.**

**— ეს რას ნიშნავს? საყოველთაო სამსჯავროზე შეიძლება უფალმა სხვაგვარად გადაწყვიტოს და ადამიანის სულისთვის მის მიერ გამოტანილი მსჯავრი შეცვალოს?**

— **ვინც ამქვეყნიდან მცირე, თუმცა, მოუნანიებელი ცოდვებით გავიდა, ლოცვებით შეიძლება ის ცოდვები აღეხოცოს და მეორე სამსჯავროზე გამართლდეს, ამოყვანილ იქნას ჯოჯოხეთიდან და ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს!** ოღონდ, ცათა სასუფეველს ვერასოდეს დაიმკვიდრებს ურწმუნო, ერეტიკოსი, ანუ ცრუ სწავლების მიმდევარი; სქიზმატი, ანუ ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფი ადამიანი და ასევე ის, ვინც ამქვეყნიდან გადის უმძიმესი და მოუნანიებელი ისეთი ცოდვებით, როგორიც არის, მაგალითად, კაცის კვლა, მრუშობა, ლოთობა, ნარკომანია.

**— კონკრეტულად თვითმკვლელობაზე რას იტყვით?**

— ადამიანს ღმერთმა ჩაჰბერა სული-ცხოველი, ანუ მისცა სიცოცხლე. მიზნად დაუსახა ამ სულის ცხონება, ხოლო, როდესაც ადამიანი ღმერთისგან ბოძებულ ამ სიცოცხლეს და სიცოცხლის მიზანს უპატიოდ ექცევა, ის ღვთის განგებისა და ნების წინააღმდეგ მიდის, ღვთის მიერ ბოძებულ სიცოცხლეს უკან უგდებს ღმერთს! როგორც წმინდა წერილი გვამცნობს, იმქვეყნად არსებობს როგორც ტანჯვის, ასევე ნეტარების სხვადასხვა ხარისხი. არის ადგილები, სადაც ტანჯვის ხარისხი უფრო მეტია, სხვაგან — შედარებით მსუბუქი. სულ სამი სხვადასხვა სახეობაა. ანალოგიურად არსებობს ნეტარების სამი სხვადასხვა საფეხურიც, მაგრამ, როდესაც იქნება უფლის საყოველთაო სამსჯავრო, ყველა ერთ განზომილებაში მოექცევა, ოღონდ ზოგი ღმერთთან — მარადიულ ნეტარებაში, სხვები კი — დაუსრულებელ, მარადიულ სატანჯველში!

**— სასუფეველში და ჯოჯოხეთში თუ არსებობს დროის ცნება?**

— **დრო არსებობს ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. ოღონდ, ვინც სასუფეველშია — მათი ადგილსამყოფელი აღარ შეიცვლება, ხოლო საყოველთაო სამსჯავროს შემდეგ დრო აღარ იარსებებს.**

**— წმინდა წერილში ქრისტე წინასწარმეტყველებს, რომ მისი მეორედ მოსვლის წინ იქნება ომები... მართლაც, უკვე მართლმადიდებელი ერებიც კი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ნუთუ უფალმა დაუშვა ასეთი სისხლისღვრა?**

— ისტორიას ერთმორწმუნეთა შორის ომების არაერთი შემთხვევა ახსოვს. როგორც წესი, ასეთი განსაცდელები ერებზე დაიშვება დიდი ცოდვების გამო. საქართველოსაც ჰქონია უამრავი მაგალითი, თუნდაც, მონღოლების შემოსევა, რამაც განვითარებული და უძლიერესი ქართული სახელმწიფო გაანადგურა. **თამარის** შემდეგ იყო **რუსუდანი** და **ლაშა-გიორგი,** რომლებიც არ ცხოვრობდნენ თამარისნაირი ღვთისმოსაობით. უფრო მეტიც — რუსუდანმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემოსვლას, შესაბამისად, ის გახდა საქართველოში ცრუ სწავლების შემოსვლის ხელშემწყობი, რაც, თავისთავად, ერის ყველაზე მთავარისგან — ცხონებისგან მოწყვეტას იწვევს. სასჯელიც ცრუ ფასეულობების, უზნეობისა და გარყვნილების საზოგადოებაში დამკვიდრებას მოსდევს და მერე მთელი ერი ისჯება.

**ანალოგიურად დაისაჯა ქართველი ერი იმის გამო, რომ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი იგუა, რომელიც პირდაპირ, ღიად ღმერთს ებრძოდა!** გავიხსენოთ თუნდაც **„თავისუფლების ინსტიტუტის“** პროგრამა — **„ადამიანი ღმერთის და სამშობლოს გარეშე!“** დღემდე იმავეს — უზნეობას, გარყვნილებას და ლგბტ იდეოლოგიას ქადაგებენ. ეს ხალხი ხელისუფლებაში მოვიდა და რაც დაგვემართა, ყველამ ვიცით! უბედურება ის არის, დღემდე ყველამ ჭკუა რომ ვერ ისწავლა და ისევ მათ უჭერს მხარს. ანალოგიური მოვლენა მოხდა უკრაინაშიც. ამას არ ვლაპარაკობ განკითხვის მიზნით, მხოლოდ



„ყველას გვინახავს, თუ რა პიკანტურ სცენებში მონაწილეობს უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი და იმ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. სწორედ ამ ჯგუფმა მოუტანა უკრაინას ის მძიმე განსაცდელი, რაშიც ახლა ეს ქვეყანა იმყოფება!“



# „ეს არის ორი ზესახელმწიფოს ომი, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს!“

გულისტკივილით ვუმზერ ერთმორწმუნე ერებს შორის გაჩაღებულ სისხლისღვრას, მაგრამ დაე, ყველაფერს თავისი სახელი ერქვას — **ეს ომი არ არის რუსეთ-უკრაინის ომი.**

**— მაშ, ვისი ომია?**

— **ეს არის ორი ზესახელმწიფოს — რუსეთისა და აშშ-ის ომი, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს!**

**უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდა ღმერთისგან განდგომილი ჯგუფი, რომელიც დედაეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფ ცრუ ეკლესიის მხარეს წარმოადგენს და, იმავდროულად, ლგბტ იდეოლოგიას უჭერს მხარს.**

ყველას გვინახავს, თუ რა პიკანტურ სცენებში მონაწილეობს უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი და იმ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. სწორედ ამ ჯგუფმა მოუტანა უკრაინას ის მძიმე განსაცდელი, რაშიც ახლა ეს ქვეყანა იმყოფება. ამას გარდა, **უკრაინის იმ ტერიტორიებზე, სადაც ნაცისტების ბატალიონები ძალმომრეობდნენ, აღმოაჩინეს არაერთი ფაქტი, რომლებიც წარმართული მისტერიების აღსრულებას ადასტურებენ.** ზოგიერთ ცნობილ სადამსჯელო ბატალიონში გაწევრიანების მსურველებს თავის სარწმუნოებაზე უარის თქმასაც კი აიძულებდნენ. **მათი რელიგია იყო წარმართული ოკულტიზმი, რაც დამახასიათებელი გახლდათ ჰიტლერული ფაშიზმისა და მათი სამსახურებისთვის!** ჰიტლერელებიც ხომ ეზოთერიზმით, ტიბეტური რელიგიითა და ოკულტური მისტერიებით იყვნენ გატაცებული... ბუნებრივია, რომ ღმერთისგან განდგომილობის გამო ადრე თუ გვიან სასჯელის ჟამიც დგება. ამიტომ ჩვენ, სამღვდელოება, პირველ რიგში, იმისთვის ვლოცულობთ, უკრაინას ღირსეული ხელისუფალი მოევლინოს, რომელიც ძმათამკვლელ ომს დაასრულებს.

**— რაში გამოიხატება უკრაინის ეკლესიის დედაეკლესიასთან განდგომა?**

— 1686 წელს მსოფლიო პატრიარქმა **დიონისე მეოთხემ** კონსტანტინოპოლის ადგილობრივი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილების თანახმად, უკრაინის ეკლესიის მართვის უფლება რუსეთის საპატრიარქოს მიანიჭა და, შესაბამისად, ეს ეკლესია რუსეთის იურისდიქციაში გადავიდა. ეს აღიარა და ცნო ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ და საუკუნეების განმავლობაში დავას არ იწვევდა. უკრაინის კანონიკურ ეკლესიას ხელმძღვანელობს **მიტროპოლიტი ონოფრე,** რომლის მღვდელმთავრების, სამღვდელოებისა და მრევლის აბსოლუტურ უმრავლესობას ეთნიკური უკრაინელები შეადგენენ და მათ არასოდეს დაუყენებიათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინაშე ავტოკეფალიის და ტომოსის მიღების საკითხი.

უკრაინის სქიზმატური ეკლესიის შექმნას ცდილობდა უკრაინის იმდროინდელი მარიონეტი, უნიათო პრეზიდენტი **პეტრო პოროშენკო,** უკრაინის რადა და უკრაინის მიტროპოლიასთან განხეთქილებაში მყოფი ორი დაჯგუფება, კერძოდ:

1. როგორც თავს უწოდებენ — ე.წ. კიევის საპატრიარქოს **„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“,** რომელიც 1992 წელს გამოეყო რუსეთის ეკლესიას. ამის გამო ამ დაჯგუფების მეთაურს, **მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოს** ჯერ მღვდელმსახურება აეკრძალა, ხოლო შემდეგ, რადგან სქიზმატური მოღვაწეობა გააგრძელა, ანათემასაც კი გადაეცა;

2. **„უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“,** რომელიც 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების ხელდასხმით შეიქმნა, მაგრამ შემდეგ ფაშისტურ გერმანიასთან კავშირების გამო საბჭოთა ხელისუფლებისგანვე იკრძალებოდა და ამის გამო თავის თავს **„კატაკომბური ეკლესია“** უწოდა. ამჟამად ამ დაჯგუფებას **ცრუ მიტროპოლიტი მაკარი მილეტიჩი** ხელმძღვანელობს.



**„ანალოგიურად დაისაჯა ქართველი ერი იმის გამო, რომ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი იგუა, რომელიც პირდაპირ, ღიად ღმერთს ებრძოდა! გავიხსენოთ თუნდაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ პროგრამა – „ადამიანი ღმერთის და სამშობლოს გარეშე!“**

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას სწორედ ამ ორ დაჯგუფებაზე დაყრდნობით ახორციელებდა, როცა მოაწყო „კრება“ და ცრუ **მიტროპოლიტი ეპიფანე** უკანონოდ აღიარებული ეკლესიის მეთაურად გამოარჩია, რაც, თავის მხრივ, საეკლესიო მოწყობის ყველა კანონს ეწინააღმდეგება.

აღსანიშნავია სხვა მნიშვნელოვანი გარემოებაც — 1997 წელს **მიტროპოლიტ ფილარეტის** ანათემა კანონიერად ცნო მრავალმა ადგილობრივმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჩათვლით! ამის შესახებ თავად **პატრიარქმა ბართლომეემ** 1999 წელს რუსეთის **პატრიარქ ალექსი მეორეს** გაუგზავნა წერილი, რომელშიც ფილარეტისთვის ხარისხის აყრასთან და ანათემირებასთან დაკავშირებით რუსეთის ეკლესიის ყველა კრებსით გადაწყვეტილებას დაეთანხმა!

მას შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თავის გადაწყვეტილებაში შესწორება არ შეუტანია, ანუ ისე გამოვიდა, რომ უკრაინის ეკლესიის „ჩამოყალიბებით“ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა საკუთარ ოფიციალურ პოზიციებსაც გადააბიჯა! **ფილარეტს უკან მოსაბრუნებლად ერთადერთი გზა გააჩნია — სინანული! თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი მას სასულიერო ხარისხი აღარ აღუდგება.** ბართლომეემ ამ გარემოდან გამოარჩია არასასულიერო პირი — **ეპიფანე,** რომელიც უკანონოდ შექმნილ „უკრაინის ეკლესიას“ სათავეში ჩაუყენა. თანაც, **კიევის მიტროპოლია არის რუსეთის ეკლესიის სივრცე და კონსტანტინოპოლის პატრიარქს ამ სივრცეში ჩარევის უფლება არ ჰქონდა!**

ეს უფლება გააჩნია მხოლოდ იმ ეკლესიას, რომელმაც თავის დროზე ფილარეტი ანათემას გადასცა! პირდაპირ, მაგრამ გულისტკივილით გეუბნებით — **უკრაინაში ღმერთთან და ჭეშმარიტ ეკლესიასთან განხეთქილება გახდა ამ ქვეყნისთვის თავს დატეხილი სასჯელის მიზეზი!**





**„ზოგიერთ ცნობილ სადამსჯელო ბატალიონში გაწევრიანების მსურველებს თავის სარწმუნოებაზე უარის თქმასაც კი აიძულებდნენ. მათი რელიგია იყო წარმართული ოკულტიზმი, რაც დამახასიათებელი გახლდათ ჰიტლერული ფაშიზმისა და მათი სამსახურებისთვის!“**

**— ასეთი ტრაგედიების დაწყება-დასრულება მიწაზე წყდება თუ ზეცაში?**

— ადამიანები ისჯებიან მიწაზე ჩადენილი არასწორი საქციელის გამო, თუმცა, ღმერთმა წინასწარ იცის, რა მოხდება მიწაზე და ელოდება ადამიანებისგან შესაბამის სწორ ნებას, რათა ურჩი ადამიანებისათვის ჭკუის სწავლება არ მოუხდეს. ისე კი,

**ყველა უბედურება იქიდან იწყება, როცა კაცი და ქალი თავის სახეს კარგავენ, ხელისუფლებაში ტრანსგენდერები მოდიან, ხოლო მამათმავლობისა და დედათმავლობის მისწრაფება ნორმად აღიქმება!**

აი, ახლაც, ძალიან მაინტერესებს, რა წერია იმ 400 კითხვაში, რაც ევროკავშირმა ჩვენს ქვეყანას გამოუგზავნა. არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ უცხო ქვეყნებში დიდ ფულს იხდიან, რათა ყმაწვილები ზნეობრივი კალაპოტიდან ამოვარდნენ.

**— ამ დროს რა უნდა იღონონ ერმა და მღვდელმსახურებმა?**

— მახსოვს, რუსთაველის კინოთეატრთან, სადაც „დავინჩის კოდი“ გადიოდა, წლების წინ მღვდელმსახურები შევიკრიბეთ დ ეს ფაქტი გავაპროტესტეთ. უფრო ახლო წარსულში ასევე კინოთეატრ „ამირანთან“ გავაპროტესტეთ მამათმავლური ფილმის პრეზენტაცია. ანალოგიურად მოიქცა **მამა პაისი ათონელი,** რომელიც ჯვრით ხელში წინ აღუდგა გარყვნილი ფილმის ჩვენებას. ასე უნდა მოიქცეს თითოეული ჩვენგანი და იქნებ უფალმა სოდომისა და გომორას მსგავსად, არ გაწიროს ის ქალაქი, ის საზოგადოება, სადაც ეს მოვლენა ხდება!

**ყოფილა უფრო დიდი განსაცდელებიც, მაგრამ გარყვნილება უკვე იმ ზღვარს აღწევს, როცა უნდა დავფიქრდეთ, ხომ არ დადგა უფლის მეორედ მოსვლის ჟამი.** მართლაც, მთელ მსოფლიოში ყველანაირი პრივილეგია ენიჭებათ გარყვნილ, მამათმავლობის და დედათმავლობის ცოდვით შეპყრობილ ადამიანებს, ხოლო იდევნებიან და ექსტრემისტებად ცხადდებიან ისინი, ვინც ამ ცოდვებს ეწინააღმდეგება. **რითი გადავირჩინოთ თავი? რა თქმა უნდა, უფლის მიმართ ლოცვით, აღსარების ხშირი ჩაბარებითა და ზიარებით!** ეკლესიას არ უნდა დავშორდეთ!

თუნდაც ახლახან ე.წ. პანდემიის თემაზე დაყრდნობით იყო ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრების მცდელობა, რაც მომავალშიც გაგრძელდება. ნახეთ, რა თქვეს ეპისკოპოსებისა და მღვდლების ნაწილმა? — ხატსა და ჯვარს ნუ ემთხვევით, ეკლესიაში პირბადის გარეშე ნუ შემოხვალთ, ზიარებას ნუ მიიღებთო... ზოგი უფრო შორს წავიდა — ეკლესიები დავკეტოთო! საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ ისინი ღმერთს? **ვაი მას, ვისგანაც მოდის საცდური! ის მეტად დაისჯება, ვიდრე ცოდვილი! — გვასწავლის წმინდა წერილი.** არადა, იმაზე მეტი ცოდვა არ არსებობს, ადამიანს ქრისტესთან მიახლებაში ხელი შეუშალო!

**— საქართველო გადაურჩება ამ ბატალიებს?**

— დიახ, საქართველო გადარჩება, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრია და სწორი, მართალი სარწმუნოების მატარებელთა სამშობლო! **ვინც ამ წიაღში იქნება, ყველა გადარჩება!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***



# გია კაჭარავა:

## სააკაშვილის საყვარელ სიტყვას გამოვიყენებ – ესენი ჩაირეცხებიან, თან იქ, სადაც ლექსებისა და მოთხრობების წერა უყვართ – ტუალეტში!

*თემის დასაწყისი მე-8 გვერდზე*

*„4 აპრილს გია დანელიას გარდაცვალებიდან სამი წელი შესრულდა, ხოლო 13 აპრილს სერგო ზაქარიაძის გარდაცვალებიდან — 51 წელი. ლაშა ბუღაძემ იფიქრა, ახლა ამათ აპრილში შევუტევო და სამარცხვინო პოსტი გამოაცხო“,* ***— ამბობს ცნობილი რეჟისორი გია კაჭარავა და ლაშა ბუღაძის მიერ საბჭოთა პერიოდში გადაღებული ფილმების — „ჯარისკაცის მამისა“ და „მიმინოს“ გმირთა შესახებ სოციალურ ქსელში გამოთქმულ შეფასებას ეხმაურება:***





— **გია ბუღაძემ** ფალოსი უნდა დახატოს და ზედ უნდა დააწეროს **„ჩემი შვილი“.** იმის ნაცვლად, რომ მამას შვილისთვის ფერწერა მაინც ესწავლებინა, ერთმანეთის ფურთხებაში არიან, სამარეს ითხრიან და შიგ წვებიან. **ლაშა ბუღაძის** მოდგმა ისე ჩაივლის, რომ წლების მერე აღარავის ემახსოვრება, თორემ **სერგო ზაქარიაძის, რეზო ჩხეიძის, სულიკო ჟღენტისა და გია დანელიას** ძვირფასი სახელები ისტორიაშია ჩაწერილი, მათ ფილმებს მომავალი თაობები ნახავენ და იამაყებენ. **ფედერიკო ფელინი** გია დანელიაზე ამბობდა, მის ფილმებზე ვისვენებ, მძღოლისა და მფრინავის ცხოვრების მარტივ ისტორიაზე ასეთი გენიალური ფილმი **„მიმინო“** როგორ გადაიღოო. **„ჯარისკაცის მამა“** მსოფლიომ შედევრად აღიარა, ამერიკელებს უნდოდათ მისი რიმეიქის გადაღება, **სერგო ზაქარიაძეს** ვარსკვლავს უწოდებდნენ და **სოფი ლორენი** მას კოცნას უგზავნიდა. ახლა ამ უხერხემლო ლაშა ბუღაძემ რაღაც რომ დაწერა და ყურადღების მიქცევას შეეცადა, სინამდვილეში ხალხის რისხვა და გინება დაიმსახურა. ეს იმ ამბავს ჰგავს, **ნიკა აგიაშვილს** პიკასო რომ არ მოსწონდა და პამფლეტი დაუწერეს — „აგიაშვილსა ნიკასო, არ ნაყვარება პიკასო, გადაირია პიკასო, რა დავუშავე ნიკასო?!“

**— ბატონო გია, თქვენ კარგად იცნობდით რეზო ჩხეიძეს, სერგო ზაქარიაძესა და გია დანელიას. რას იტყოდნენ ისინი ლაშა ბუღაძის შეფასებებზე?**

— **ლაშა ბუღაძის** შემხედვარეს გურამ დოჩანაშვილის ფრაზა მახსენდება — „მობრიყვო-მოყოჩაღო გამომეტყველება“. დიახ, ბუღაძეს მობრიყვო-მოყოჩაღო ფრაზების სროლით უნდა თავის დამკვიდრება, მაგრამ ქუჩაში ყველა ზურგს უკან მიაფურთხებს. არც **სერგო ზაქარიაძე,** არც **რეზო ჩხეიძე,** არც **სულიკო ჟღენტი** და არც **გია დანელია** პასუხის ღირსად არ ჩათვლიდნენ. **ბუღაძე ლიად უპირისპირდება ქვეყნის ტრადიციებს, ქართველ მამას და კაცს, რომელიც საშინელ ომში შვილის სანახავად წავიდა, თვითონაც იომა, გმირის მამა გახდა და გზა კაცურად გაიარა.** აი, ამას ებრძვის ლაშა ბუღაძე, რომელიც თავისი ლიბერასტული მიდგომებით ხან თამარ მეფეს ერჩის, ხან — ქართველ რეჟისორებს. იგი ერთი იმათგანია, საკუთარ დედებს რომ შეურაცხყოფენ და **„საიდუმლო სიროზებს“** წერენ. მაგათი „ეროვნული გმირის“ სააკაშვილის საყვარელ სიტყვას გამოვიყენებ **— ესენი ჩაირეცხებიან, თან იქ, სადაც ლექსებისა და მოთხრობების წერა უყვართ — ტუალეტში.**

**დაიმახსოვრონ ამ ლიბერასტებმა, საქართველოში ვერ იბატონებენ, ვერც ქართველი ჯარისკაცების მამებს მიაყენებენ შეურაცხყოფას, ვერც გეი-პარადს ჩაატარებენ. ხალხს იმ მდგომარეობამდე ნუ მიიყვანენ, რომ პანღურები ურტყან ქუჩაში!**

**იმედა კახიანი,** ***მსახიობი:*** — მამა-შვილი **გია და ლაშა ბუღაძეები** სულ გაგიჟდნენ? გენიალური მსახიობის **სერგო ზაქარიაძის** მიერ განსახიერებულ გმირს „მოცხოველო ქვეადამიანს შორის გაჩხერილი არსება“ როგორ უნდა უწოდო?! ეს არის ლაშა ბუღაძის მწერლობის მწვერვალი და ფიქრობს, რომ ამით საზოგადოების ყურადღებას მიიქცევს? **თუ თვლის, რომ დემოკრატიაა და რასაც უნდა, იმას იტყვის, ასე არ არის.**

ზოგიერთებმა საკუთარ დედაზე გამოთქვეს ეროტიკული აზრები, თვითონ ბუღაძემ თამარ მეფე შეურაცხყო — რამდენჯერმე წავიკითხე მისი „ნაღვაწი“ და ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა. ბოლოს და ბოლოს, თქვას, ვისზე და რაზეა გაბრაზებული, ვინ რა დაუშავა?!

*ესაუბრა* ***ქეთევან ხამიცაშვილი***

# იმედა კახიანი:

## მამა-შვილი ბუღაძეები სულ გაგიჟდნენ?







## „რამდენ კაცსაც ნაცები მიტინგებზე კრებენ, იმაზე მეტი ხალხი ჩემი სოფლის კლუბში „ზიტა და გიტას“ ჩვენებას ესწრებოდა!“

***ისტორიის დოქტორი და ქართველი ანალიტიკოსი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე დარწმუნებულია, რომ ათასი მცდელობის, სურვილისა და ქვეყნიდან გატაცებული ფულების წალმა-უკუღმა დარიგების მიუხედავად, სააკაშვილი და მისი სექტა საქართველოში სიტუაციას ვერ არევენ და გადატრიალებას ვერ მოაწყობენ:***

— **პიტერ აკერმანის** საქართველოში ჩამოსვლამ, როგორც ისტორიკოსს, 1917 წლის აპრილი გამახსენა, როცა ვლადიმერ ლენინი პეტროგრადში, ფინეთის სადგურზე ემიგრაციიდან ჩამოვიდა და თან უცხოეთში ნასწავლი და დატრენინგებული ადამიანების მთელი გუნდი ჩამოიყვანა, რომლებსაც რუსეთში გადატრიალება უნდა მოეწყოთ. ძალიან საინტერესოა ამ ჯგუფის ეთნიკური შემადგენლობა. მათ შორის ერთადერთი ქართველია — **მიხა ცხაკაია,** ხოლო დანარჩენი სუყველა ებრაელია. აი, ეს ხალხიც: **დავით სოკრატის ძე სულიაშვილი** სურამიდან; **ინესა თეოდორეს ასული არმანდი** მოსკოვიდან; **გიორგი ივანეს ძე საფაროვი** პეტროგრადიდან; **ვალენტინა სერგის ასული მორტოჩკინა** ლვოვიდან; **მოსე ხარიტონოვი** ბორისოვიდან; **ანა ევგენის ასული კონსტანტინოვიჩი** მოსკოვიდან; **გრიგოლ ალექსანდრეს ძე უსევიჩი** ჩერნიგოვსკიდან; **ელენე ფელიქსის ასული კონი** ვიტებსკიდან; **სარა ნაუმის ასული პავიცი** მოსკოვიდან; **მიხეილ გიორგის ძე ცხაკაია** სენაკიდან; **ოვსეი გერშონ არონის ძე რადომისლსკი** ელისავეტგრადიდან; **ზლატა ევნის ასული რადომისლსკაია; სტეფანე ოვსეის ძე რადომისლსკი; ზალმან ბერ ოშერის ძე რივკინი** ველიჟიდან; **ნადეჟდა მიხეილის ასული სლუსარევა; მიხაილ ვოლფის ძე გიბერმანი; შაია აბრამის ასული ზელიკოვი; იოანნ არნოლდ იოანის ძე ლინდე** ჰოლდინგენიდან; **გრიგორი იაკოვლევის ძე სოკოლნიკოვი** რომნადან; **ილია დავითის ძე მირინჰოფი** ვიტებსკიდან; **მარია ეფიმეის ასული მირინჰოფი** ვიტებსკიდან; **დავით მორდეხის ძე როზენბლუმი** ბორისოვოდან; **სიმონ გერშონის ძე პეინესონი** რიგადან; **ფანია ზოსიმეს ასული გრებელსკაია** ბერდიჩევიდან; **ბუნია ხებოვნის ასული პოგოვსკაია** რიკინადან; **მეერ კივოვი აიზენბუნდი** სლუცკიდან და **აბრაამ არცილის ძე სკოვნო** პეტროგრადიდან. აი, სწორედ ამ ხალხით დატვირთული მატარე-

## „კეზერაშვილიც ნამეტანი ჭკუით იყოს, ვინძლო, ქართველი ჯარისკაცების ცხედრებზე გამდიდრებული და ახალგამომცხვარი მილიარდერი სააკაშვილს გვერდით არ მიუჯდეს!“



## კვირგვინოსნები

**მიხეილ ცაგარელი**
*ასტროლოგი*



როცა **ბადრი პატარკაციშვილმა** მე თავის დროზე მომმართა და მითხრა, პოლიტიკაში შემოსვლა მინდაო, ვუთხარი, რომ არ შეიძლება და დაიღუპები-მეთქი, თან უცხოეთში. იმიტომ, რომ **მას შავი მთვარე ჰქონდა მშვილდოსანში.** პირველი, **მშვილდოსანი არის სააკაშვილის ნიშანი,** მეორე არის უცხოეთი და როგორც კი გამოაცხადა, შემოვდივარ პოლიტიკაშიო, უკვე ვიცოდი, რომ **მისი საქმე დამთავრებული იყო და ორ დღეში დამთავრდა კიდეც.**

„DAIJEST.PIA.GE“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა აცხადებს, **ჯერ ჩემი მოქალაქეების ინტერესებია მთავარი და შემდეგ ყველა სხვა ქვეყნის ინტერესები.** წითელი ნაჭერი რატომ უნდა უქნიო ხარს, როდესაც იცი, რომ შეიძლება იმ რქებზე წამოგაგოს და გაგგლიჯოს. ის, რომ **სადღაც ომი მიმდინარეობს და შენ უქნიო ხარს წითელი იმიტომ, რომ შენთანაც მოხდეს ეს ომი,** ეს მიუღებელია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



ნაციონალური მოძრაობისა და მისი მოკავშირეების მიზანია, **ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი როგორმე არ მოგვცეს** ამ მთავრობის პირობებში.

„რეზონანსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**დღეს საზოგადოებას არა აქვს ის არჩევანი,** რომელიც მას უნდა და ამის გამო ურჩევნია, რომ გაჩერდეს. **რა, ქოცი გაუშვას, ნაცი მოიყვანოს?!** ეს არ უნდა ამ საზოგადოებას!

„ახალი თაობა“

# ედიშერ გვენეტაძე:

# სასამართლოზე სააკაშვილის „ცუდად გახდომა“ ძალიან მაგონებს ლეგენდარული ბორის წიფურიას კინოგმირის ხიზანას „გულის წასვლას“, რომელსაც ქალებმა საოხრის წაჭრა დაუპირეს!





კადრები ფილმიდან „ზოგი ჭირი მარგებელია“

ბელი გამოვიდა 1917 წლის 9 აპრილს შვეიცარიიდან და გერმანიის გავლით შემოვიდა რუსეთში. ცნობისათვის: გერმანიიდან მატარებელს მოაცილებდნენ გერმანელი ოფიცრები...

**— ბატონო ედიშერ, თუ არ ვცდები, „დაპლომბილ ვაგონში“ თავმოყრილი ლენინი და მისი გუნდი, რომლის წევრებიც თქვენ ჩამოთვალეთ, თავის დროზე უინსტონ ჩერჩილმა შეადარა „შავ ჭირს“, რომელიც რუსეთში შევიდა...**

— დიახ, ეს მართლაც აღმოჩნდა „შავი ჭირი“, რომელმაც რუსეთის ისტორიაში დამანგრეველი როლი შეასრულა. სხვათაშორის, ჯერ კიდევ 1917 წლის იანვარში ლენინი, რომელიც ემიგრაციაში იმყოფებოდა და რუსეთში რევოლუციის მოწყობაზე ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდა, წერდა — **დღევანდელი ახალგაზრდობა რუსეთში რევოლუციას ვერ მოესწრებაო!** აი, ასეთ სიტუაციაში მოხდა სასწაული და რუსეთში მოულოდნელად მოხდა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელსაც არავინ ელოდა.

**რა „შავი ჭირიც“ 1917 წლის აპრილში ლენინისა და მისი აგენტურის სახით რუსეთში დასავლეთმა შეგზავნა, სწორედ ისეთი „შავი ჭირი“ შემოგვიგზავნეს ამ დღეებში საქართველოშიც, როცა ვინმე პიტერ აკერმანმა ბაკურიანში ეს მოღალატეები და სააკაშვილის „მეხუთე კოლონა“ შეკრიბა და საქართველოში მორიგი**



## რევოლუციის მოსაწყობად კვლავ „საიდუმლო სერობა“ გამართა.

მოგეხსენებათ, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებაში **ლევ ტროცკის** დამსახურება დიდია. **პიტერ აკერმანიც** ამ საქმეში გამოცდილი კაცია... ის სენატორ **ჯონ რიშთან** ერთად „ფერადი რევოლუციების“ მოწყობის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტია. მხოლოდ ტაქტიკა შეიცვალა, თორემ სტრატეგიულად, რაც ამ 105 წლის წინათ რუსეთში მოაწყვეს, სწორედ ის უნდათ მოაწყონ დღეს საქართველოში. ლენინს მაშინ მსხვილმა ბანკირებმა გადატრიალების მოსაწყობად დიდძალი ფული მისცეს... მან ფული უოლ-სტრიტიდანაც აიღო...

**— მაინც ვინ მისცა ლენინს ფული?**

— ლენინს გადატრიალების მოსაწყობად ფული მისცა გერმანიის კანცლერმა **თეობლან ფონ ბეტმან-ჰოლვეგმა,** რომელიც ფრანკფურტელ ბანკირთა ოჯახს ეკუთვნოდა და კანცლერად 1909 წელს დაინიშნა.

**— როგორც ნაცსექტანტმა ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, 200 ათასი პროტესტანტი ქუჩაში უნდა გამოვიდეს და დღევანდელი ხელისუფლება დაამთავროს. სად აქვს ნაცსექტას 200 ათასი კაცის მობილიზების უნარი და რესურსი?**

— ნაცმოძრაობას „კოჯრის ტყის სიზმრები“ აწვალებს. 200 ათას კაცს კი არა, ეს უდღეურები 200 კაცს ძლივს აგროვებენ. მასხარა **ლევან ხაბეიშვილის** გასაგონად ვიტყვი: **რამდენ კაცსაც ნაცები მიტინგებზე კრებენ, 70-ან წლებში იმაზე მეტი ხალხი ჩემი სოფლის კორმაღალის კლუბში ინდური კინოფილმის „ზიტა და გიტას“ ჩვენებას ესწრებოდა!**

**— სააკაშვილი სასამართლო პროცესზე მართლა ცუდად გახდა თუ თავი მოიმკვდარუნა?**

— ცხადია, სააკაშვილმა იაფერისტა! სინამდვილეში კაცი შუბლის ძარღვგაწყვეტილია და არაფერი აწუხებს — არც ავადმყოფობა და არც სინდის-ნამუსი! დიახ, სააკაშვილმა სასამართლო პროცესზე თავი მოიმკვდარუნა... სასამართლოზე სააკაშვილის „ცუდად გახდომა“ ძალიან მაგონებს ლეგენდარული ბორის წიფურიას კინოგმირის ხიზანას „გულის წასვლას“, რომელსაც ქალებმა „საოხრის“ წაჭრა დაუპირეს!

**— ე.ი. გადატრიალების საფრთხე არარეალურია?**

— სააკაშვილმა და კეზერაშვილმა რაც გინდა, ფულები დაარიგონ, რომელიც ქართველ ჯარისკაცებს მოჰპარეს და რაც გინდა, აკერმანები დაიქირაონ, მაინც ვერაფერს გააწყობენ! **ნაცების ფიურერს მოუწევს ექვსი წლით ციხის კედლების ხეხვა...** ის კი არა, კეზერაშვილიც ნამეტანი ჭკუით იყოს, ვინძლო, ქართველი ჯარისკაცების ცხედრებზე გამდიდრებული და ახალგამომცხვარი მილიარდერი, სააკაშვილს გვერდით არ მიუჯდეს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**„ლენინს გადატრიალების მოსაწყობად ფული მისცა გერმანიის კანცლერმა თეობლან ფონ ბეტმან-ჰოლვეგმა, რომელიც ფრანკფურტელ ბანკირთა ოჯახს ეკუთვნოდა და კანცლერად 1909 წელს დაინიშნა!“**



## კვირგვინოსნები

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნაცებმა 10 ათასამდე ადამიანს ბიზნესი წაართვეს. **კობა ნაყოფიამ,** რომელიც დღეს ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეა, 2005 წელს **კახა ბენდუქიძის** ხელშეწყობით მიისაკუთრა საქართველოს ეროვნული ზარაფხანა, რომლის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი სახელმწიფო იყო. **ჩვენ დღეს კოჰაბიტაციის შედეგებს ვიმკით.**

„ახალი თაობა“

**კახა გოგოლაშვილი**
*სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდის დირექტორი*



**კანდიდატი ქვეყნის სტატუსი თუ მოგვანიჭეს,** შემდეგ ამას მოჰყვება ევროკავშირის მიერ უფრო სერიოზული ანალიზი. სანამ მოლაპარაკება დაიწყება, **ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას მთლიანად შეამოწმებენ და ევროკავშირის კანონმდებლობას შეადარებენ.**

„რეზონანსი“

**მალხაზ დოლიძე**
*პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი*



მინდა, ყველამ იცოდეს, რომ **საქართველოში პური ყველაზე დაბალი ფასია.** მაისამდე ჩვენ პროდუქტს არ გავაძვირებთ. შემდეგ კი, თუ ტენდენცია კვლავ გაგრძელდა, **პურმა შეიძლება, 20 თეთრითაც კი მოიმატოს.** აქ უკვე ჯერი სახელმწიფოზეა, რა მექანიზმს ჩართავს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზურაბ ქადაგიძე**
*ექსპერტი*



როდესაც ისინი 9 აპრილს **გონჩარენკოს** პირდაპირ ეთერში რთავენ, ის ხდება დემოკრატიის მეტრი და, თურმე, ასეთმა პიროვნებებმა საქართველოს თითი უნდა უქნიონ, მის ბიოგრაფიასაც უნდა გადახედონ. **გონჩარენკო** იანუკოვიჩის პარტიაში დაფრთიანებული ახალგაზრდა პოლიტიკოსია, რომელიც **გეორგიევსკის ლენტით დარბოდა და უკრაინაში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას ითხოვდა.**

„ახალი თაობა“



# ლევან ოსიძე: ლეიბა ტროცკიმ ქალაქ ეკატერინბურგში იუდას დაუდგა ძეგლი!



## ლევ ტროცკი: ჭეშმარიტი ბოლშევიკი ისაა, რომელსაც ერთი მღვდელი მაინც ეყოლება მოკლული! თუ უფრო მეტი — მით უკეთესი!

***ტროცკიზმი, როგორც მეოცე საუკუნის ჭირი და სახადი, ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოში ფენიქსისებრ აღდგა და აღორძინდა. ლეიბა ბრონშტეინის პოლიტიკურ ნაბიჭვრებს, ანუ თანამედროვე ნეოტროცკისტებს*** *დღეს ყველგან იპოვით — მამუკა ხაზარაძის „უბორნიაში“, ჭუტელებისა და ნიკუტელების გაერთიანებულ საროსკიპოში, პარლამენტში და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით მთავრობაშიც კი! მაგალითად, იმ ტელეკანალიზაციებიდან, სადაც სააკაშვილისა და კეზერაშვილის მიერ მოპარული ფულებით ქეიფობენ თუ, ემზარ ჯგერენაიასი არ იყოს, „გეიფობენ“, ძირითადად სწორედ ტროცკისტები გვეკრიჭებიან!* ***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლევან ოსიძე იმ უბედურებასა და სისხლის მდინარეებზე მოგვითხრობს, რაც „სტალინურ რეპრესიებად“ მოინათლა, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკის სოციოპათიურ და სადომაზოხისტურ ვნებებს უკავშირდება:***

— როდესაც მეოცე საუკუნის 20-30-ანი წლების რუსეთისა და შემდგომში მისი სამართალმემკვიდრე საბჭოთა კავშირის შესახებ ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ოდიოზურ და სადისტური მიდრეკილების მქონე ფიგურას, როგორიცაა **სოციოპათი ლევ ტროცკი,** ანუ იგივე **ლეიბა ბრონშტეინი,** რომელიც თავისი სისასტიკითა და სისხლისმოყვარეობით ბევრად უსწრებს ლენინს, ჰიტლერს, ჰაინრიხ ჰიმლერსა და პოლ პოტს, რომელმაც კამპუჩიაში „წითელი ქიმერების“ ტერორისტული ბრიგადები დააარსა.

ლეიბა ბრონშტეინი დაიბადა 1879 წელს ხერსონში, სოფელ იანოვკასთან ახლოს. მას ბავშვობიდან იზიდავდა რადიკალური იდეები და სტუდენტობის პერიოდში აღფრთოვანებული იყო იაკობინური დიდი ტერორით საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, რომლიც მოიცავდა 1793 წლის 2 ივნისიდან 1794 წლის 27 ივლისამდე (ანუ იმავე 9 თერმიდორულ გადატრიალებამდე) პერიოდს. **ლევ ტროცკის** კარგი განათლება ჰქონდა მიღებული და ნახევარი მსოფლიო მოვლილი. დღეს უკვე ნათელია, თუ რატომ შეისწავლა მან სტუდენტობისას თემურ-ლენგისა და აცტეკების საქმიანობა...

ტროცკის ჰქონდა უდიდესი ინტერესი, აეთვისებინა მასობრივი სიკვდილის მანქანების მექანიზმი, რათა მოეხდინა მისი სრულყოფა და საჭიროების შემთხვევაში საბჭოთა იმპერიაში აემოქმედებინა ეს სიკვდილის ცელი. თუ ვინ იყო სინამდვილეში ტროცკი, ამის შესახებ ყველაზე ზუსტ წარმოდგენას მისივე სიტყვები გვიქმნის — *„თუ ჩვენ გვინდა, რომ რუსეთში ჭეშმარიტად რევოლუციამ გაიმარჯვოს, ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს იმპერიის მოსახლეობის 190 მილიონიდან 100 მილიონის დახოცვა და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ!“* ხოლო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ ლევ ტროცკი წერდა: *„თქვენ მიიღებთ საშინელ რევოლუციას“*, რაც, პრაქტიკულად, გაცხადდა კიდეც მის საქმიანობაში.

**— ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, ჩარეული იყვნენ თუ არა ლევ ტროცკის პიროვნების ჩამოყალიბება-დატრენინგებაში სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები?**

— უდავოდ! ამის დასტურია თუნდაც ის, რომ რუსეთის რევოლუციამდე ერთი წლით ადრე **ლეიბა ტროცკი** საფრანგეთიდან ესპანეთში გააძევეს. ოფიციალური ვერსიით, მან მონაწილეობა მიიღო ციმერვალდის კონფერენციაში, სინამდვილეში კი პარიზში გამომავალ რუსულ გაზეთ „ნაშე სლოვოში“ გამოაქვეყნა გამაღიზიანებელი სტატიები, რისთვისაც ესპანეთის პოლიციამ დააპატიმრა და თავისივე ხარჯით ჩასვა პირველი კლასის კამერაში, სადაც დღეში ნახევარ პესეტს იხდიდა. ტროცკი აქედან გადაიყვანეს ქალაქ კადისში, შემდეგ კი — ბარსელონაში. საბოლოოდ ის დასვეს ტრანსატლანტიკური კომპანიის გემ „მონსერატზე“ და ოჯახთან ერთად გაუშვეს ნიუ-იორკში, სადაც 1917 წლის 13 იანვარს ჩავიდა. ტროცკიმ ამერიკა 1917 წელსვე დატოვა და პეტროგრადში ბოლშევიკური რევოლუციის მოსაწყობად გამოემგზავრა.

**— ვინ მისცა მას პასპორტი რუსეთში დასაბრუნებლად?**

— მოგეხსენებათ, **უკრაინიდან გაგდებულ სააკაშვილს ზელენსკის ხელისუფლებამ პასპორტი ვლადიმერ პუტინის მითითებით დაუბრუნა! სწორედ ასე ლეიბა ტროცკიმ რუსეთში დაბრუნებისათვის საჭირო პასპორტი და 10 ათასი ამერიკული დოლარი, რომელიც მაშინ ძალიან დიდი ფული იყო, პრეზიდენტ ვუდრო ვილსონისგან მიიღო.** 1917 წლის 16 მარტს, რუსეთში მეფის ჩამოგდებიდან ერთი კვირის შემდეგ, ტროცკიმ „ახალი დროებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თავისი ნამდვილი ზრახვები გათქვა და განაცხადა: *„... კომიტეტი, რომელმაც დაიკავა მინისტრთა კაბინეტის ადგილი რუსეთში, არ წარმოადგენს რევოლუციონერთა ინტერესებსა და მიზნებს. რაც ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი დიდხანს არ გაგრძელდება და ადგილს დაუთმობენ ხალხს, რომელიც უფრო მეტი დარწმუნებით გაატარებს რუსეთში დემოკრატიზაციას!“* საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანები, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ რუსეთის დემოკრატიზაცია (რევოლუცია), ანუ მენშევიკები და ბოლშევიკები, გადასახლებული იყვნენ საზღვარგარეთ და, პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო მათი რუსეთში დაბრუნება.

**— რას იტყვით ლეიბა ტროცკის, როგორც „წითელი ტერორის“ ერთ-ერთი ორგანიზატორისა და მისი პრაქტიკაში განმახორციელებლის შესახებ?**

— 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ტროცკი ლენინის შემდეგ მეორე პირი გახდა, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა. მან გაამართლა დაპირება „საშინელი რევოლუციის“ თაობაზე და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პრაქტიკულად, დაიწყო თავისი მაზოხისტური იდეების განხორციელება, რომელსაც საერთო ტერმინი „წითელი ტერორი“ ეწოდა. ლევ ტროცკი არის ადამიანი, რომელმაც რუსეთში პირველად შექმნა **საკონცენტრაციო ბანაკი, ანუ ე.წ. „კონცლაგერი“.** ამისათვის სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიას მავთულხლართებით ღობავდნენ და ასობით ათას ადამიანს მასში საქონელივით ერეკებოდნენ. მოკვდინების სამი მეთოდი ჰქონდათ. პირველი იყო მასობრივი შიმშილობა, მაგრამ, თუ ხალხი აჯანყდებოდა, მაშინ უშვებდნენ გაზს. მესამე მეთოდი იყო ხალხის ტყვიამფრქვევებით დახვრეტა. ასეთი „კონცლაგერები“ არსებობდა ტამბოვის გუბერნიაში, ყუბანში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და ა.შ.

**— ვინც „კონცლაგერში“ არ მოხვდებოდა, იმას როგორ უსწორდებოდნენ?**

— იმდროინდელ ტროცკისეულ ნაწერებში ვხვდებით შემდეგი შინაარსის ფრაზებს — *„ტერორი, ტერორი, მასობრივი ტერორი... ეს ისაა, რაც ასე სჭირდება რევოლუციას გამარჯვებისათვის!“ „ჭეშმარიტი ბოლშევიკი ისაა, რომელსაც ერთი მღვდელი მაინც ეყოლება მოკლული, თუ უფრო მეტი — მით უკეთესი!“*

შეიძლება ითქვას, რომ ტროცკი ქრისტიანების მიმართ მასობრივი გენოციდის პოლიტიკის ავტორია. როგორც იმ მოვლენების მომსწრენი იხსენებენ, რუსეთში ისეთი დევნა და ხოცვა-ჟლეტა იყო, თითქოს ნერონის, დიოკლეტიანეს, ბათოხანის და თემურ-ლენგის დრო დაბრუნდაო!

ტროცკის სიკვდილით დასჯის მეთოდებიც „ორიგინალუ-






**„უკრაინიდან გაგდებულ სააკაშვილს ზელენსკის ხელისუფლებამ პასპორტი ვლადიმერ პუტინის მითითებით დაუბრუნა! სწორედ ასე ლეიბა ტროცკიმ რუსეთში დაბრუნებისათვის საჭირო პასპორტი და 10 ათასი ამერიკული დოლარი, რომელიც მაშინ ძალიან დიდი ფული იყო, პრეზიდენტ ვუდრო ვილსონისგან მიიღო!“**

## კვირგვინოსნები

**თამარ ივერი**
*სოპრანო*



ორი დღეა, მესმის, როგორ აცხადებენ — **ამერიკა სანქციებს კიდევ ამკაცრებს, არიქა, ახლა „სბერბანკი“ და „ალფაბანკიც“ შევაჩერეთო.** თქვე დალოცვილებო, **ეს თქვენი სანქციები ლურსმნების „გაიკები“ და „შურუპებია“, რომ ნელ-ნელა უჭერთ?** თავიდანვე ერთბაშად რატომ არ მიიღეთ, როგორი მკაცრი სანქციებიც იყო მისაღები?

„ალია“

**გია გაჩეჩილაძე (უცნობი)**
*მომღერალი, ტელეწამყვანი*



**აქ 26 მაისს ვინც ბუჩა მოაწყო, ის დანიშნეს დაზვერვის უფროსის მოადგილედ უკრაინაში და ყველაფერს განკარგავს.** იმ ხალხს, ვისაც ჩვენ ვეძებთ, თანამდებობებზე რომ ნიშნავს, ეს რა არის?! **ეს მტრული სახელმწიფო არ არის?!** მე ხალხსა და იმ მოსახლეობაზე, რომელიც ამ ყველაფერს შეწირულია, ლაპარაკი არ მაქვს. **ვისაც ამ ქვეყანაში ხალხი ადარდებს, ვისაც მშვიდობა უნდა და არა ომით გამდიდრება** და ფულის შოვნა, იმას ებრძვიან.

„ალია“

**ზურაბ აზარაშვილი**
*ჯანდაცვის მინისტრი*



კოვიდის დროს **კლინიკებს ექიმებისა და ექთნებისთვის დამატებით თანხას ვაძლევდით,** როგორც გაირკვა, ზოგან, **დანამატი პერსონალს არ ხმარდებოდა.**

„აიპრესი“

**გოდერძი ბუჩაშვილი**
*ჟურნალისტი*



ყველაზე დიდ უბედურებად **ოჯახის დანგრევა** მიმაჩნია.

„სარკე“

# „ჰიტლერი ტროცკის შემოქმედებას დიდ პატივს სცემდა და ყველას მოუწოდებდა, წაეკითხათ მისი ნაწერები!“





## „დასახვრეტ ადამიანთა სიების უდიდეს ნაწილზე ტროცკის ხელმოწერა ფიგურირებს!“

რად“ ჰქონდა მოფიქრებული. მაგალითად, **მონაზვნებსა და მოწყალების დებს, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ არმიებს ეხმარებოდნენ, დახვრეტით კი არ სჯიდნენ, არამედ ქვებს ჰკიდებდნენ მხრებზე და მერე წყალში აგდებდნენ. ხშირ შემთხვევაში ამას წინ უსწრებდა მათი მასობრივი გაუპატიურება და წამება.**

ასევე ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული ბერების, არისტოკრატიის წარმომადგენლებისა და ოფიცრების ხერხით შუაზე გაჭრა და მათი ნელ-ნელა დანაკუწება. ამისთვის სპეციალური ბრიგადებიც კი იყო შექმნილი... რაოდენ პარადოქსულადაც გინდა, მოგეჩვენოთ, **ლეიბა ტროცკიმ ქალაქ ეკატერინბურგში იუდას, როგორც „ლეგენდარულ ადამიანს“, ძეგლი დაუდგა და ამით ქრისტიანობისა და ქრისტიანების წინააღმდეგ მებრძოლის ნიღაბი საბოლოოდ ჩამოიხსნა!**

**— ძალზე ხშირად 1920-ანი წლების რეპრესიების მთავარ „შემოქმედად“ სტალინს ასახელებენ. ეს ბრალდება რამდენად სამართლიანია?**

— სტალინს თავისი შეცდომები და ცოდვები ეყოფა, მაგრამ მისი შედარება ლენინთან და ტროცკისთან ყოვლად დაუშვებელია! **სწორედ ლენინის, ტროცკისა და სვერდლოვის დაჟინებით გადაწყდა, რომ რომანოვების სამეფო ოჯახი განსაკუთრებული სისასტიკით ამოწყვიტეს.** ლენინს თავისი ძმის სისხლი უნდოდა აეღო, რომელიც 1882 წელს იმპერატორ **ალექსანდრე მეორის** წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში მონაწილეობის გამო დახვრიტეს. 1918 წლის ივლისში **ლენინის, ტროცკისა და სვერდლოვის გადაწყვეტილებით,** ჯერ იმპერატორ **ნიკოლოზ მეორესა და დედოფალ ალექსანდრას** აყურებინეს თავიანთი შვილების დახვრეტა. ბავშვებს ისე ესროდნენ, რომ მალე არ მომკვდარიყვნენ... მერე ბავშვები ხიშტებზე წამოაგეს და როცა ყველა ამოხოცეს, გვამებს მჟავა გადაასხეს და ერთ სამარეში ჩაყარეს...

**— როგორც ამბობენ, ტროცკი ხშირად პირადად აწამებდა ადამიანებს, რითიც ტკბობასა და სიამოვნებას განიცდიდა...**

— როგორც მასალებიდან ირკვევა, მთვრალი ტროცკი ხშირად მიდიოდა საკონცენტრაციო ბანაკებში და სადამსჯელო პროცესებს ესწრებოდა. თვითმხილველთა მტკიცებით, ადამიანთა ტყვიამფრქვევით მასობრივი დახოცვის მერე ტროცკი „სანახაობით“ ტკბებოდა და განსაკუთრებით სიამოვნებდა სისხლით სავსე მდინარეების ცქერა! **სხვათაშორის, არაერთი პატიმარი ხელს ადებდა ბაჩო ახალაიას, რომ მთვრალი მიდიოდა ციხე-კოლონიებში და პატიმრებს უმოწყალოდ სცემდა.** სტატისტიკური მონაცემებით, 1917-1925 წლებში ლენინისა და ტროცკის მიერ გაჩაღებულ „წითელ ტერორს“ 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დასახვრეტ ადამიანთა სიების უდიდეს ნაწილზე ტროცკის ხელმოწერა ფიგურირებს!

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორ შეფასებას მისცემთ ლენინ-ტროცკისეულ სადამსჯელო ღონისძიებებს?**

— რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად შევაფასებ! თუ დავესესხებით ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი ისეთი ცნობილი ადამიანების მოგონებებს, როგორებიც იყვნენ გენერალი **დენიკინი, ბარონი ვრანგელი და ფელდმარშალი მანერჰეიმი,** მაშინ *„ის, რაც გამოიარეს რუსეთის იმპერიის ხალხებმა ლენინი-ტროცკის ხელში, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ასე რომ, რამდენად უცნაურად გინდა, მოგეჩვენოთ, სტალინმა ბოლო რომ მოუღო ამათ, ნამდვილად დადებითი მოვლენა გახლდათ. აბსოლუტური ტოტალური დიქტატურა ჯობდა იმ ჯოჯოხეთს, რაც ტრიალებდა და რასაც დაატრიალებდა ტროცკი, რომ დარჩენილიყო“.*

**— რა ხასიათს ატარებდა სტალინისა და ტროცკის დაპირისპირება?**

— ტროცკი ეწინააღმდეგებოდა არამხოლოდ სტალინს, არამედ საბჭოთა კავშირს. ეს დაპირისპირება იყო ომი განადგურებამდე. სტალინს არ შეეძლო, ემიგრაციაში მყოფ ტროცკის მისდგომოდა, როგორც ფილოსოფიური ნაწარმოებების ავტორს, ვინაიდან ის საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მტერი იყო. 1927 წელს, როცა **ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და ძმანი მათნი** კომპარტიის ცეკადან გამოიყვანეს, ამაზე გაბოროტებულმა **ტროცკისტულ-ზინოვიევისტურმა ბლოკმა** და მათმა მომხრეებმა 7 ნოემბერს გამართეს სეპარატისტული სადღესასწაულო დემონსტრაცია, რომლის ფონზეც კრემლში უნდოდათ შეჭრა. ცხადია, მიზანს ვერ მიაღწიეს და ყველაფერი დამთავრდა სამოქალაქო ცემა-ტყეპით. მომხდარი ინციდენტის შესახებ იმსჯელა პოლიტბიურომ და გადაწყვიტა, ტროცკი გაესახლებინათ ალმა-ატაში. ამის შესატყობინებლად ტროცკი დაიბარეს პოლიტბიუროში. ლეიბამ იფიქრა, პოლიტიკური გარიგებისათვის მიძახიანო და შესვლისას პირდაპირ იკითხა:

— На какой платформе собираетесь вести переговоры?

— На платформе Казанского вокзала... соберите чемоданы и марш в Алма-Ату! — უპასუხა სტალინმა. ამაზე გამწარებული ტროცკი თავის მომხრეებთან ერთად საკუთარ რეზიდენციაში ჩაიკეტა, საიდანაც „ოგეპეუს“ სპეცრაზმმა ხელში ატატებული გამოიყვანა და ძალით ჩატენა მატარებლის ვაგონში. ამ ოპერაციის დროს ტროცკისტები ტაშს უკრავდნენ და „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ... დოკუმენტურად დადგენილია, რომ, როდესაც პირველი თავდასხმა ტროცკიზე უშედეგოდ განხორციელდა და ამის შესახებ სტალინს მოახსენეს, მან მოხსენებით ბარათს დაადო შემდეგი ხასიათის რეზოლუცია — *„ამხანაგო ლავროვ! თუ მეორე აქცია ტროცკის მიმართ ჩავარდება, ჩართეთ სამსახური, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. ტროცკი უნდა მოისპოს, რადაც უნდა დაგვიჯდეს!“* 1940 წლის 21 აგვისტოს სტალინმა ტროცკი იმქვეყნად გაისტუმრა, როცა „ნკვდ“-ს ესპანელმა აგენტმა **რამონ მერკადერმა** ტროცკის თავში ალპინისტის წერაყინი ჩაარტყა და სული გააცხებინა.

**— რას გვეტყვით თანამედროვე ქართველი ნეოტროცკისტების შესახებ, რომლებიც ამ ბოლო დროს საქართველოში ასე მომრავლდნენ და რა პერსპექტივა აქვთ მათ?**

— თუკი ტროცკი მიზნად ისახავდა, შეექმნა ოიდიპოსის სინდრომისაგან თავისუფალი ახალი ადამიანი, რომელიც არ აღიზრდებოდა ე.წ. „ოჯახურ კერაში“, სადაც დედა თავს ვალდებულად თვლიდა, მომსახურებოდა თავის შვილს მთელი სიცოცხლის მანძილზე, იგივე იდეოლოგიური ზეწოლა ნათლად გამოიკვეთა მიხეილ სააკაშვილის მიერ პოლიტიკური სადავეების ხელში აღების შემდეგ. **ამ ჯგუფმა გეგმაზომიერად განახორციელა აქტიური შეტევა ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქართული ცხოვრების წესზე.** სწორედ ამ მიზნით მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი და იუვენალური სამართალი, ხოლო მისი განხორციელება, ძირითადად, დაევალათ იმათ შთამომავლებს, რომელთა ახლო ნათესავებიც ჯერ ტროცკის და მერე სტალინის მიერ განხორციელებულ რეპრესიებს შეეწირნენ.

რაც შეეხება ნეოტროცკისტების მომავალს, საქართველოში მათ პერსპექტივა არ გააჩნიათ. იდეოლოგიური წნეხი ნებისმიერ ფაშიზმზე უარესია და ქართველი ერი მას ვერ აიტანს... სხვათაშორის, ადოლფ ჰიტლერის ბიოგრაფის **კონრად ჰეიდენის** აზრით, ჰიტლერი ტროცკის შემოქმედებას დიდ პატივს სცემდა და ყველას მოუწოდებდა, წაეკითხათ მისი ნაწერები!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***







## კვირგვინოსნები

**ირაკლი ხმალაძე**
*ექიმი*



დაახლოებით **ექვსი თვის განმავლობაში არცერთი შემთხვევა არ უნდა გამოვლინდეს,** შემდეგ კი პანდემია დასრულდება.

„რეზონანსი“

**გურამ ლომიძე**
*ანსამბლ „ქუჩის ბიჭების“ ყოფილი მომღერალი*



**ბევრს** შეშურდება, ისეთი ცხოვრება გამოვიარე. **ბევრი** რამ ვნახე, **ბევრი** შეცდომაც დავუშვი, მაგრამ არაფერს ვნანობ.

„სარკე“

**ნუცა კაციტაძე**
*მსახიობი, „ყოფილი მის თბილისი“*



**ჩემი შვილები პატარები რომ იყვნენ, ორივეს შუაში ვეწექი.** ეს მერჩივნა, ვიდრე **მე ვილაც კაცთან ვწოლილიყავი** და ჩემს შვილებს ენერვიულათ.

„თბილისელები“

**ქრისტი ყიფშიძე**
*მოდელი*



ვიცი, **რომ არასდროს დავრჩები ფულის გარეშე და მშიერი არ მოვკვდები,** ჩემი თავის იმედი მაქვს და სხვა არავისი, მაგრამ **„ჩალიჩა“ ქალი არ ვარ.**

„თბილისელები“

**ჯიმ ქერი**
*მსახიობი*



დავბერდი, მაგრამ **შეუცვლელი** და ისევ **სექსუალური** ვარ!

„სარკე“




# რას იგონებს მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი სტალინისა და ბერიას დაპირისპირების შესახებ?



***წინამდებარე საგაზეთო ინტერვიუში პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ ფარულ თუ ღია დაპირისპირებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც სტალინსა და ლავრენტი ბერიას შორის თითქმის ყოველთვის არსებობდა. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბელადი არავის ენდობოდა, რადგან უახლოესმა მეგობრებმა მას ბევრჯერ უღალატეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს. ამიტომ სტალინი საბჭოთა სპეცსამსახურებს ზედმიწევნით აკონტროლებდა. ბელადი პირადად კურატორობდა სამხედრო კონტრდაზვერვას, ანუ იმავე „სმერშს“ და მის საქმიანობაში ლავრენტი ბერიასაც კი არ ახედებდა:***

## სვიმონ მასხარაშვილი:

# სტალინს ჰქონდა მიზეზი, ლავრენტი ბერიას ბოლომდე არ მინდობოდა!

## „ბერიას რომ სტალინი მართლა მოეკლა, მაშინ ვერავინ ააყირავებდა!“

— კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ფაშისტური ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალ **ფრიდრიხ პაულიუსსა და იაკობ ჯუღაშვილთან** დაკავშირებული ისტორია მითია. არავითარი მსგავსი შეთავაზება — დატყვევებულ პაულიუსს თქვენს ვაჟში გაგიცვლითო! — სტალინისადმი ჰიტლერს არ გაუგზავნია. ეს არის თითიდან გამოწოვილი და ყურით მოთრეული ამბავი, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს!

**— ბატონო სვიმონ, ფაქტია, რომ ხალხს ეს ისტორია მოსწონს!**

— მოწონება ერთია, მაგრამ მსგავსი რამ ვერც მოხდებოდა, რადგან **პაულიუსს** ჰიტლერმა გენერალ-ფელდმარშლობა მიანიჭა კაპიტულაციამდე ერთი დღით ადრე, კერძოდ, 1943 წლის 30 იანვარს, ხოლო 31 იანვარს მეექვსე ფაშისტური არმიის სარდალი დანებდა. რადიოგრამაში, რომელიც ჰიტლერმა პაულიუსს 30 იანვარს, დატყვევებამდე ერთი დღით ადრე, გაუგზავნა, ფიურერი გარკვევით აცხადებდა — **მეექვსე არმიამ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და უკანასკნელ ტყვიამდე უნდა იბრძოლოს, გერმანიის ფელდმარშლები, როგორც წესი, ტყვედ არ ბარდებიანო!** სხვათაშორის, 1943 წლის 2 თებერვალს ჰიტლერმა გერმანიის რადიოში პირდაპირ და დაუფარავად გამოაცხადა — მეექვსე არმიის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპაო! შესაბამისად, ომის დამთავრებამდე გერმანიაში ყველა გერმანელს ეგონა, რომ პაულიუსის არმია თავიდან ბოლომდე განადგურებული იყო. სიმართლე გაირკვა მხოლოდ მაშინ, როცა პაულიუსის ჯარისკაცები და ოფიცრები, ათასობით კაცი, წლების შემდეგ საბჭოთა ტყვეობიდან გათავისუფლდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ. მოგეხსენებათ, დაახლოებით 330 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ირიცხებოდა პაულიუსის მეექვსე არმიაში, რომელიც სტალინგრადთან ტყვედ ჩავარდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამორიცხული იყო ჰიტლერს სტალინისთვის იმ ფელდმარშლის გაცვლა შეეთავაზებინა, რომელიც მთელი გერმანიისა და მსოფლიოს გასაგონად უკვე მიცვალებულად ჰყავდა გამოცხადებული!

**— ანუ ჰიტლერი, როცა გენერალ-ფელდმარშალ ფრიდრიხ პაულიუსს შეახსენებდა — გერმანელი ფელდმარშლები ტყვედ არ ბარდებიანო! — ამით პირდაპირ მიანიშნებდა, თავი მოიკალიო?**

— დიახ, სწორედ ასე იყო და იმიტომაც მიანიჭა დატყვევებამდე ერთი დღით ადრე ფელდმარშლობა, ანუ როცა პაულიუსი დანებდა, მას ფელდმარშლის სამხრეებიც კი არ ჰქონდა.

**— წინა ინტერვიუში ბრძანეთ, რომ სტალინს ჰიტლერის თვითმკვლელობის არასოდეს სჯეროდა. მაინც რას ამბობდა ბელადი ფიურერის სიკვდილზე?**

— სტალინი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარწმუნებული იყო, რომ დასავლეთი ჰიტლერს მალავდა! **ოფიციალური ინფორმაციით, ბერლინის ბუნკერში ჰიტლერმა 1945 წლის 30 აპრილს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რის შემდეგაც მისი გვამი გერმანელმა ჯარისკაცებმა დაწვეს.** საბჭოთა უშიშროების გენერალმა და სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთმა აქტივისტმა **ივანე სეროვმა** ჰიტლერის ბუნკერის ეზოში დანახშირებული გვამების ნაწილები სადღაც წაიღო და გააქრო.

**საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, საცავიდან გამოიტანეს იმ ყბის ძვალი, რომელიც ვითომდა ჰიტლერის სხეულისგან დარჩა და რომელიც თავის დროზე ფიურერის პირადმა დანტისტმაც „შეიცნო“. როგორც მახსოვს, 2011 წელს ამ ძვალს ჩაუტარეს გენეტიკური ანალიზი და გამოკვლევების მიხედვით დადგინდა, რომ სინამდვილეში ეს იყო 40 წლის ქალის ყბის ძვალი.**

**— საიდან დაადგინეს, რომ ყბის ძვალი ჰიტლერს არ ეკუთვნოდა, არსებული გენეტიკური მასალა რას შეადარეს?**

— მოგეხსენებათ, ჰიტლერის ძმის შვილიშვილები და **ევა ბრაუნის** ნათესავები დღესაც ამერიკაში ცხოვრობენ. სწორედ მათგან აიღეს **დნმ,** მაგრამ იმ ყბის ძვლის **დნმ**-ტესტი არცერთ მონაცემს არ დაემთხვა. ეს კი უტყუარად იმას ნიშნავს, რომ ფიურერის თვითმკვლელობის შესახებ არსებული ვერსია ყალბია და ადოლფ ჰიტლერმა, როგორც ჩანს, სულ სხვაგან და სხვა სიტუაციაში დაასრულა თავისი ცხოვრება.

ყველაზე უფრო გახმაურებული ვერსიის თანახმად, ჰიტლერი ლათინურ ამერიკაში გაიქცა და ფიურერის ბუნკერში გადაღებულ დოკუმენტურ კადრებში სინამდვილეში არა ჰიტლერი, არამედ მისი ორეული ფიგურირებს. სხვათაშორის, ჰიტლერის ბუნკერიდან ბოლო დღეებში ძალიან ბევრი ვინმეს კვალი გაქრა... ასე, მაგალითად, ყველამ იცოდა, რომ **ოტო სკორცენი** ცოცხალი იყო, მაგრამ ვერასოდეს დაიჭირეს. **მარტინ ბორმანი** ნოვოდევიჩის სასაფლაოზეა დაკრძალული, მაგრამ კაციშვილმა არ იცის, სინამდვილეში სად გაქრა კაცი, რომელიც ჰიტლერის პირადი მდივანი იყო და ფიურერი ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადს სწორედ მისგან იღებდა. მაგალითად, ფაშისტური სპეცსამსახურების თანამშრომელი **რაინჰარდ გელენი** თავის მემუარებში ამტკიცებს, რომ **მარტინ ბორმანი** საბჭოთა აგენტი იყო და მოსკოვში გაიქცა. სხვათაშორის, სტალინი ისე მოკვდა, შვეიცარიის ბანკებმა ფაშისტების ანგარიშები არ გახსნეს! დღემდე დახურულია მათი ანგარიშები და ვერ გაარკვევ, სად რა წავიდა და ვინ რას მოიხმარს. არადა, როცა დასჭირდათ, პუტინისა და მთელი მისი ოლიგარქების ანგარიშები მაშინვე დააყადაღეს და რუსი მილიარდერები ყველაფრის გარეშე დატოვეს!

არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ფაშისტურმა სპეცსამსახურებმა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ლათინურ ამერიკაში გადაინაცვლეს და იქ შექმნეს ნარკოკარტელები, რომელთა საიდუმლო საქმიანობასა და სტრუქტურებს ამერიკის სპეცსამსახურებმა დღემდე ვერაფერი მოუხერხეს. ასე, მაგალითად, ევროპაში ჰიტლერის განადგურების შემდეგ ძალიან ბევრი გერმანელი ოფიცერი და გავლენიანი პირი ჩამოვიდა არგენტინაში, სადაც უსერიოზულესი გერმანული ანკლავი შეიქმნა... მიჩნეულია, რომ **პაბლო ესკობარისა** და მსგავსი გავლენიანი ნარკობარონების უკან სინამდვილეში სწორედ ის ფაშისტური სპეცსამსახურები იდგნენ, რომელთა ლიდერებიც ლათინურ ამერიკაში გადაბარგდნენ.

**— ეს ვარაუდია!**



— ცხადია, ვარაუდია, მაგრამ, თუ აღმოსავლეთგერმანული სპეცსამსახურის „შტაზის“ საქმიანობით განვიხილავთ ამ თემას, მაშინ ვარაუდის ნაცვლად რეალობა შეგვრჩება ხელში. „შტაზი“ თავისი ეფექტურობით საბჭოთა „კაგებეს“ არაფრით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სულელმა ხრუშჩოვმა „კაგებე“, ფაქტობრივად, ორჯერ დაშალა და **ბერიას, მერკულოვის, კრუგლოვისა და აბაკუმოვის** კადრების ნაცვლად სპეცსამსახურები კომკავშირელებს ჩააბარა, „შტაზი“ დარჩა ერთადერთ საბჭოთა სპეცსამსახურად, რომელიც სტალინის მიერ შექმნილი იმპერიის ინტერესებს ერთგულად იცავდა.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ამ ბოლო ხანს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, 1969-1974 წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის **ვილი ბრანდტის** აპარატი უხვად იყო დაკომპლექტებული სწორედ „შტაზის“ აგენტებით. ის კი არა, თვით ვილი ბრანდტიც, როგორც ჩანს, სწორედ აღმოსავლეთგერმანული „შტაზის“ გავლენის აგენტი იყო. სწორედ ამ ფიქრისკენ გვიბიძგებს ის პოლიტიკური ნაბიჯები, რომელიც მან გადადგა. კერძოდ, ვილი ბრანდტმა ცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა რუსეთის მიერ — აღმოსავლეთ პრუსიის, ხოლო პოლონეთის მიერ — სხვა გერმანული მიწების მიერთება-ანექსიის ფაქტი. მოგეხსენებათ, არათუ აღმოსავლეთ პრუსიის, არამედ საბჭოთა კავშირის მიერ ე.წ. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მიერთების ფაქტსაც კი არავინ აღიარებდა და ეს საკითხი თვით პოტსდამის კონფერენციამაც ვერ გადაწყვიტა. ამიტომაც 70-ანი წლების დასაწყისში, როცა **ვილი ბრანდტმა** ეს ყველაფერი ცნო და **ლეონიდ ბრეჟნევს** დოკუმენტზე ხელი მოუწერა, მომხდარი ფაქტი საბჭოთა

## კვირგვინოსნები

**ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**
*სუმოისტი*



65 წლამდე სუმოში დარჩენას არ ვაპირებ, **საქართველოშიც ხომ უნდა ვიცხოვრო?!** 17 წელიწადია, აქეთ ვცხოვრობ, **იაპონია ჩემს მეორე სამშობლოდ იქცა და ძალიან მიყვარს,** მაგრამ სინამდვილეში ხომ საკუთარი ქვეყანაც მაქვს, ჩემს სამშობლოშიც მინდა ცხოვრება.

„კვირის პალიტრა“

**თემურ ლეჟავა**
*სოხუმელი მხატვარი*



სოხუმის ცენტრალურ ქუჩაზე ვცხოვრობდით. მახსოვს, **ყუმბარა ჩამოაგდეს და თავი რომ გადაგვერჩინა, შეძლებისდაგვარად ყველა სადღაც შევიმალეთ,** როცა გამოვედით, დამწვარი მანქანა და სამი დანახშირებული ადამიანი აღმოვაჩინეთ... **მაშინ ვიგრძენი ნამდვილი ომის სუნი,** რომელსაც ვერაფრით ვივიწყებ.

„კვირის პალიტრა“

**ოთო აბესაძე**
*ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტი*



**საწვავზე ფასი არ დაიკლებს.** ჩვენი ქვეყნის პრობლემა **ინფლაციაა და არა გაზრდილი ფასები.**

„ახალი თაობა“



# „ლავრენტი ბერიას ცოლი ნინა გეგეჭკორი სტალინს ხელებ-აპყრობილი წყევლიდა!“



ნინა გეგეჭკორი

დიპლომატიის ტრიუმფად შეფასდა. როგორც ირკვევა, „შტაზის“ გავლენა ამ საქმეში უდიდესი იყო. „შტაზი“ კი ამ დროს დაკომპლექტებული გახლდათ ყოფილი გესტაპოელებისგან. სწორედ „შტაზის“ მუშაობის შედეგი გახლდათ ისიც, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ბევრად უფრო ლოიალურად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, ვიდრე — ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და იუგოსლავია.

**— სტალინსა და ბერიას შორის ყოველთვის ჰარმონია სუფევდა თუ მათ ურთიერთობაში მძიმე ეპიზოდებიც იყო?**

— სტალინისა და ბერიას ურთიერთობაში მძიმე ეპიზოდები ნამდვილად იყო. საბჭოთა კავშირის შორეული ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი,** რომელიც სტალინს ძალიან უყვარდა, იგონებს ბელადის კაბინეტში მომხდარ ასეთ ფაქტს — *სტალინმა ბერიას შეხედა, მერე მოგვიტრიალდა და ყველას გვითხრა — შეხედეთ, როგორი თვალებით იხედება ეს გველი! ერთი წუთით ამის ნდობა არ შეიძლება, ქვეწარმავალივით უნდა გასრისოს კაცმა! ბერია ხმას არ იღებდა... სტალინის კაბინეტიდან რომ გამოვედით, ლავრენტი ბერია ვიაჩესლავ მოლოტოვთან მივიდა და შესჩივლა — სტალინი რას მერჩის, ჩემთან რა უნდაო?!*

**— ეს როდის მოხდა?**

— ეს მოხდა გაგანია ომის წლებში! რა დააშავა იმ კონკრეტულ შემთხვევაში **ბერიამ,** რომ სტალინის რისხვა დაიმსახურა, მარშალი **გოლოვანოვი** ამის შესახებ არაფერს ამბობს. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სტალინმა ლავრენტი ბერია უშიშროების სამსახურს ჩამოაშორა და სტრატეგიული პროექტების — ატომური და სარაკეტო სისტემების შექმნის კურატორობა დაავალა. ცხადია, საბჭოთა ძალოვანი უწყებები ბერიას გარეშე ძნელი წარმოსადგენია და მაშინაც კი, როცა იგი უშიშროების მინისტრი არ იყო, როგორც სტალინის, ანუ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს მაინც კურირებდა. სტალინმა 1945 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნა **სერგეი კრუგლოვი,** ხოლო უშიშროების სახალხო კომისარი გახდა **ვიქტორ აბაკუმოვი.** 1953 წლის მარტიდან, ანუ, როცა სტალინი გარდაიცვალა, **სერგეი კრუგლოვი და ივან სეროვი** ლავრენტი ბერიას მოადგილეები გახდნენ და ორივემ ლომის წილი ითამაშა მის განეიტრალებაში. ცნობისათვის, **კრუგლოვი** ყოველთვის **გიორგი მალენკოვის** კადრი იყო, ხოლო **აბაკუმოვი,** მიუხედავად იმისა, რომ მისი უშუალო უფროსი ბერია არასოდეს ყოფილა, ყოველმხრივ მტკიცდება, რომ მას უდიდეს პატივს სცემდა. ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც სტალინის კატეგორიული განკარგულებით ბერია ვერ აკონტროლებდა, გახლდათ **„სმერში“,** ანუ სამხედრო კონტრდაზვერვა. ამ უწყებას უშუალოდ ბელადი ხელმძღვანელობდა, ანუ სტალინს უშიშროების კონტროლი ბოლომდე ხელიდან არასოდეს გაუშვია. სწორედ **ვიქტორ აბაკუმოვი** იყო „სმერშის“ უფროსი და 1946 წელს სტალინმა აბაკუმოვი დანიშნა უშიშროების მინისტრად.

საერთოდ, სტალინი ძალოვან უწყებებს და, მით უფრო, სპეცსამსახურებს, სულ აკონტროლებდა. უკანასკნელი გამოკვლევებით აშკარად იკვეთება შემდეგი სურათი — **ივან სეროვიც და სერგეი კრუგლოვიც,** რომლებიც სხვადასხვა დროს ბერიას მოადგილეები იყვნენ, სტალინთან ბერიასგან დამოუკიდებლად ურთიერთობდნენ, ანუ სტალინი ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა.

**— რა იყო ამ ტოტალური უნდობლობისა და კონტროლის მიზეზი?**

— ამის მიზეზი იყო ის გზა, რომელიც სტალინმა გამოიარა. მოგეხსენებათ, ბელადმა 20-ან წლებში ბეწვის ხიდზე გაიარა და დახვრეტასაც ბევრჯერ გადაურჩა. რომ არა ტოტალური კონტროლი და უმკაცრესი ხელი, იმოდენა იმპერიის მართვა ყოვლად შეუძლებელი იყო. **დე გოლი** მართალი გახლდათ, როცა თქვა, — **საბჭოთა კავშირი იარსებებს მანამ, სანამ იცოცხლებს დიდი სტალინი!** არადა, სტალინს ბევრჯერ უღალატეს... განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვა მან **ბუდუ მდივნის** ღალატი, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარი იყო, მაგრამ, როცა სტალინს ძალიან გაუჭირდა, ლენინისა და ტროცკის მხარე დაიჭირა და მომავალ ბელადს განუდგა.

სტალინს უღალატეს **აბელ ენუქიძემ, ფილიპე მახარაძემ, ალექსანდრე სვანიძემ და სერგო ორჯონიკიძემ.** აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ **ბერიას, კრუგლოვის, სეროვის, აბაკუმოვისა** და სხვა „ჩეკისტი“ ლიდერების მიმართ მას იჭვნეული დამოკიდებულება ჰქონოდა? სტალინს ჰქონდა მიზეზი, ლავრენტი ბერიას ბოლომდე არ მინდობოდა!

**— მაინც რა იყო ამის მიზეზი?**

— მეტი მიზეზი რაღა უნდა ყოფილიყო, როცა ბერიას ულამაზესი ცოლის **ნინა გეგეჭკორის** ერთი ბიძა **ევგენი გეგეჭკორი** მენშევიკური საქართველოს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მეორე ბიძა **საშა გეგეჭკორი** — ცნობილი ბოლშევიკი და რევოლუციონერი. ერთიც და მეორეც სტალინს მიიჩნევდა დაუძინებელ მტრად...

მეორე და ყველაზე მთავარი — მთელ მაშინდელ საბჭოთა სადამსჯელო მანქანაში, როგორც უცხოელები აღნიშნავენ, ლავრენტი ბერია თავისი ჩაცმის სტილით, ქცევითა და მანერებით ნამდვილი ევროპელი იყო. ჩვენ ბერიას შესახებ ძირითადად ის წარმოდგენა გვაქვს, რომელიც 1953 წლის შემდეგ ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ დაამკვიდრეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. ჯერ ერთი, ბერიას ბავშვობიდან ჰქონდა მხედველობის ძალიან სერიოზული პრობლემა, რის გამოც ქუჩაში ლამაზ ქალს ასე ადვილად ვერ შეამჩნევდა და მანქანში ვერ ჩატენიდა, რა სისულელეებსაც მის შესახებ ავრცელებდნენ. მეორე — ის არ ყოფილა თავისი ნატურით ჯალათი! ლავრენტი ბერიას შესახებ ნაძირალა ხრუშჩოვმა უამრავი სიბინძურე გაავრცელა. ასე, მაგალითად, ბერიას მოსკოვის „ჩეკაში“ იმ ხალხის წამებასაც კი აბრალებენ, როცა თავად საქართველოში იყო და მოსკოვში საერთოდ არ მუშაობდა. ისიც ცნობილია, რომ ლავრენტი ბერიას ულამაზესი ცოლი **ნინა გეგეჭკორი** 50-ანი წლების დასაწყისში სტალინს ხელებაპყრობილი წყევლიდა! თუ რა იყო ამის მიზეზი, არ ვიცით...

**— ეს ყველაფერი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სტალინი მართლაც ბერიამ მოკლა?**

— არა, ეს გამორიცხულია! სტალინსა და ბერიას შორის კონფლიქტი არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ბელადი ლავრენტის დიდ ნიჭს ყოველთვის აფასებდა და ცდილობდა, ეს ფენომენალური შესაძლებლობების მქონე ადამიანი სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყენებინა. **ბერიას რომ სტალინი მართლა მოეკლა, მაშინ მას ვერავინ ააყირავებდა!** არადა, ბერია ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდა, რადგან დაკვირვებისა და კონტროლის ქვეშ იყო.

აბაკუმოვის მოადგილე **ივან სეროვი** სტალინთან წერილს წერილზე აგზავნიდა და ბელადს ატყობინებდა — **აბაკუმოვისთვის ბერია უზომოდ დიდი ავტორიტეტიაო!** სტალინის ინფორმაციის წყარო რომ მხოლოდ ბერია არ იყო და ბელადი სამხედრო კონტრდაზვერვიდან და პირადი საიდუმლო სამსახურიდან იღებდა ინფორმაციას, ეს კარგად გამოჩნდა 1949 წლის 29 აგვისტოს, როცა სემიპალატინსკის პოლიგონზე ატომური აფეთქება მოხდა. აფეთქებას ესწრებოდნენ **ბერია, ხარიტონი, კურჩატოვი, სერგო ბერია და კირილ შჩოლკოვი...** როგორც კი აფეთქებამ წარმატებით ჩაიარა, ბერია სპეციალურ ოთახში შევიდა, ყურმილს დასწვდა და სტალინს დაურეკა, რათა პირველს ეხარებინა წარმატებული ატომური აფეთქების შესახებ. სტალინმა ბერიას უსაყვედურა — **მაგიტომ გამაღვიძე? ეგ ხომ უკვე ვიცი!**

როგორც კურჩატოვი, ხარიტონი და იქ მყოფები იგონებენ, გაცეცხლებული ბერია დედის გინებით შემოვარდნილა ოთახში და დაუყვირია — **ვიღაცამ ისევ დამასწრო, სანამ გავედი და სამთავრობო ხაზით დავურეკე, სტალინმა უკვე ყველაფერი იცოდაო!** ანუ სტალინს ყველგან ჰყავდა თავისი ხალხი, რომლებიც ბელადს ბერიასგან დამოუკიდებლად აწვდიდნენ ინფორმაციას.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



ვიქტორ აბაკუმოვი



ვსევოლოდ მერკულოვი



სერგეი კრუგლოვი

**„გაცეცხლებული ბერია დედის გინებით შემოვარდნილა ოთახში და დაუყვირია – ვიღაცამ ისევ დამასწრო, სანამ გავედი და სამთავრობო ხაზით დავურეკე, სტალინმა უკვე ყველაფერი იცოდაო!“**

## კვირგვინოსნები

**თამუნა მუსერიძე**
*ტელეწამყვანი*



მიუხედავად იმისა, რომ **პირდაპირ მეუბნებოდნენ: ნაშვილები ხარო,** ისეთ სიყვარულს ვგრძნობდი მშობლებისა და ნათესავებისგან, რომ ეს არასდროს დამიჯერებია. ერთადერთი, რაც უცნაურად მახსენდება, ისაა, რომ **ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს იქ არ ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი.** ტერიტორიას ვგულისხმობ. მოუსვენრობის განცდა მქონდა, რომ ამ ადგილას არ უნდა მეცხოვრა.

„თბილისელები“

**გია ჯაჯანიძე**
*ფსიქოლოგი, ტელეწამყვანი*



**როცა სიმართლეს ამბობ, არ სჯერათ ან სძულდებით.**

„ახალი თაობა“

**ნანიკო ხაზარაძე**
*ტელეწამყვანი*



დავითვალე და **ტელევიზიაში მუშაობის ზუსტად 35-წლიანი სტაჟი მაქვს.** ამის მიუხედავად, ყველა ეთერის წინ ძალიან ვნერვიულობ.

„თბილისელები“

**ნუგზარ კვაშალი**
*მომღერალი*



**ახალგაზრდებისთვის შეიძლება, ცოტა გაუგებარი იყოს,** მაგრამ მე ჩემი გადმოსახედიდან გეტყვით, რომ **სიკვდილი არაფერია.**

„თბილისელები“

**მეგი გოგიტიძე**
*მომღერალი*



დიახ, **დიდი ხანია, დავდივარ რუსეთში, ვატარებ კონცერტებს და მყავს ფართო აუდიტორია.** ყველგან, ყოველთვის ვარ ქართველი მომღერალი, **წარმოვადგენ ჩემს სამშობლოს,** რომელიც არაფრისზე ნაკლებად არ მიყვარს.

„სარკე“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-17

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა „ვარდების რევოლუციაში“ კრემლის დახმარების კვალის წასაშლელად თავის მემუარებში აშკარად იცრუა — **თბილისში პუტინის პირადი ემისრის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ჩამოსვლის შესახებ მხოლოდ მეორე დილით გაიგეო (არადა, წინა ღამით ტელეკამერებით მასთან ერთად მივიდა რუსთაველის გამზირზე მომიტინგეებთან)** — ის იხსენებს, როგორ აწარმოებდნენ „რევოლუციონერები“ მოლაპარაკებებს მოსკოველ სტუმართან:

***„ივანოვთან ერთად ბურჯანაძესთან ავედი. „მეგობრებო, რაში გჭირდებათ ეს სისულელეები? დაგეძახათ ძველი მეგობრისთვის იგორ ივანოვისთვის და მე ყველაფერს მოვაგვარებდი“, — დაიწყო მან, — „ნინო, გინდა პარლამენტის თავმჯდომარედ დარჩენა? აუცილებლად იქნები! მეგობრებო, თქვენც გინდათ თანამდებობები? — თქვენც მიიღებთ. ეშმაკსაც წაუღია ეს დედა მ...ლი თანამდებობები*** *(ცენზურა მემუარისტისაა! — გ.გ.).* ***ბურჯანაძე აღშფოთდა, როგორ ბედავს ჩვენთან ასე ვულგარულად ლაპარაკს?“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 72).*

როგორც ჩანს, სააკაშვილს დაავიწყდა, რაც ორიოდე აბზაცის წინ თავად დაწერა, **იგორ ივანოვი** დედით ქართველი იყო და სუფთა ქართულით ლაპარაკობდაო! ანუ ბურჯანაძის აღშფოთება — **როგორ ბედავს ჩვენთან ასე ვულგარულად ლაპარაკსო** — ვერანაირად ვერ ჯდება ლოგიკაში, რადგან იგორ ივანოვი ამას უთარჯიმნოდაც მშვენივრად გაიგებდა!

თუმცა, სააკაშვილი აგრძელებს „ივანოვის დაყრუების“ ვერსიის განვითარებას:

***„მე მას*** *( ნინო ბურჯანაძეს — გ.გ.)* ***მხარი გავკარი: „გაჩუმდი, ახლა ამის დრო არ არის, ვერ ხედავ, ადამიანი ნასვამია? მთავარია, რომ წყნარად წავიდეს და თავი დაგვანებოს“*** *(იქვე, გვ. 72).*

ესეც აშკარად არალოგიკურია: თუ სააკაშვილს იმის სურვილი კლავდა, ოღონდ წავიდეს ეს ივანოვი და თავი დაგვანებოსო, განა თავად არ ამბობდა ცოტა ხნის წინ — მე თვითონ ავიყვანე ივანოვი ბურჯანაძესთანო?! რომელი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი ბურჯანაძე იყო, რომ იგორ ივანოვი მასთან აუდიენციის გარეშე ვერ დაელაპარაკებოდა „რევოლუციის“ ბელად სააკაშვილს?! ანუ ეს **„ოღონდ წავიდეს და თავი დაგვანებოს“** სააკაშვილის მორიგი ვირეშმაკობაა!

**„მოკლედ“**, — გვეუბნება ივანოვი, — **„მეგობრებო, თქვენ გული არ გაიტეხოთ, ძალიან დავიღალე, დავისვენებ და თქვენთან დაკავშირებით ყველაფერს მოვაგვარებ“** — აი, ასე ამთავრებს ამ ამბავს მემუარისტი! ანუ ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს „დაღლილ-დაქანცული“ **იგორ ივანოვი** ამის სათქმელად ეახლა ნინო ბურჯანაძეს?!

სააკაშვილი იხსენებს „ვარდების რევოლუციის“ ბოლო დღეს, როდესაც შევარდნაძის დაცვის უფროსმა შეხვედრა სთხოვა:

***„შევარდნაძის დაცვის უფროსმა სულხან პაპაშვილმა შეხვედრა მთხოვა. მითხრა: „მოხუცს წასვლა უნდა, დაანებეთ თავი. მოდი, ყველაფერი მშვიდობიანად გადავწყვიტოთ“. ვუპასუხე — „კარგი, ვნახოთ. ის მეუბნება: „მასთან რეზიდენციაში მიდით“*** *(იქვე, გვ. 73).*

ვითომ **სულხან პაპაშვილის** მიერ ნათქვამი ეს **„მოხუცი“**, დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის თვითშემოქმედებაა — შევარდნაძის დაუძლურებულ, ხანში შესულ მმართველად წარმოსაჩენად!

მემუარისტი იმასაც იხსენებს, რომ შევარდნაძის რეზიდენციაში მისვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა **ნინო ბურჯანაძის** მეუღლე **ბადრი ბიწაძე**:

***„ბურჯანაძის ქმარმა — ის სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე იყო — გვითხრა, რომ ეს ხაფანგი იყო, ჩვენ იქ ყველას დაგვაპატიმრებდნენ და დაგვხვრეტდნენ. ამიტომ ბურჯანაძე არ წამოვიდოდა“*** *(იქვე, გვ. 73).*

დიახ, სააკაშვილი პირდაპირ ასე წერს: **ბადრი ბიწაძე, რომელიც მაშინ შევარდნაძის მთავრობის მაღალჩინოსანი და ძალოვანი სტრუქტურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, თურმე, ამტკიცებდა, რომ შევარდნაძის რეზიდენციაში „რევოლუციონერებს“** (მათ შორის, მის ცოლსაც!) **დააპატიმრებდნენ და დახვრეტდნენ!** ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: მემუარისტს სურს, რაც შეიძლება დრამატულად წარმოაჩინოს, რამდენად მამაცი იყო, ამხელა „სასიკვდილო საფრთხის“ მიუხედავად!

სააკაშვილი იმასაც იხსენებს, ამ დროს საიდანღაც როგორ გამოჩნდა **იგორ ივანოვი**:

***„საღამოს 9 სთ-ზე საიდანღაც იგორ ივანოვი გამოჩნდა. ის უკვე სრულიად ფხიზელი იყო. დილანდელი ძველბიჭობის კვალიც კი აღარ ეტყობოდა. ის ოფიციალური და მკაცრი იყო.***

***ივანოვმა გვითხრა, რომ ჩვენთან ერთად წამოვიდოდა. „იგორ, თქვენ ხომ გესმით, რომ ის გადადგომას აპირებს, თქვენთვის უხერხული იქნება“, — შეკამათა ჟვანია. ივანოვმა კი: რა გადადგომა? ვინ მოგცათ ნება? ის არსად მიდის. ჩვენ ასე არ მოვილაპარაკეთ. მივდივართ და იქ დავილაპარაკებთ. მორჩა! მე თქვენთან ერთად მოვდივარ! ივანოვი ჟვანიას მანქანაში ჩაჯდა (მე წინაში ვიჯექი) და ჩვენ წავედით“*** *(იქვე, გვ. 73).*

მემუარისტი ისე აბურდულ-დაბურდულად გადმოსცემს ამ ამბებს, რომ ბავშვიც კი მიხვდება, რატომ აკეთებს ამას: მისი მიზანია, „ვარდების რევოლუციის“ რეალურ ისტორიას თავი და ბოლო ვერავინ გაუგოს!

თუ **ბადრი ბიწაძე** აფრთხილებდა, „რევოლუციონერებს“ შევარდნაძის რეზიდენციაში დაგაპატიმრებენ და დაგხვრეტენ, მაშინ როგორღა ეუბნებოდა ჟვანია ივანოვს, შევარდნაძე გადადგომას აპირებს და შენთვის ამის მოსმენა უხერხული იქნებაო!

ანდა, ეს როგორ გავიგოთ, როდესაც სააკაშვილი გვიმტკიცებს, **იგორ ივანოვმა** კატეგორიულად, ულტიმატუმური ფორმით წაგვაყენა თავისი მოთხოვნა — თქვენ ვინ მოგცათ შევარდნაძის გადაყენების უფლება და გამოქვა და ჟვანიას მანქანაში ჩაჯდაო?! რა, ივანოვი „რევოლუციონერებთან“ ტროლეიბუსით მივიდა და თავისი მანქანა არ ჰყავდა კრემლის მაღალჩინოსანს შესაბამისი ოფიციალური დაცვითურთ?!

ამის შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, რა მოხდა შევარდნაძის კრწანისის რეზიდენციაში:

***„შევედით. ივანოვმა რაღაცის ბუტბუტი დაიწყო. შევარდნაძე კი ეუბნება: „მომისმინე! მეზობელ ოთახში დამელოდე, ახლა შენი თავი არ მაქვს“. ის დაემორჩილა და გავიდა. როდესაც შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, ივანოვი მისი თანაშემწე, მოგვიანებით, აპარატის უფროსი და მოადგილე გახდა. ამიტომაც შევარდნაძე მას „ზემოდან უყურებდა“*** *(იქვე, გვ. 74).*

ანუ სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ შევარდნაძემ მათი თანდასწრებით, ასე, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, დაამცირა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი! აქაოდა, ადრე ივანოვი შევარდნაძის თანაშემწე იყო და ამიტომაც უყურებდა „ზემოდანო“!

შევარდნაძე 2003 წლის 22 ნოემბრის საღამოს იყო პატარა საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც უკვე არათუ ქუჩაში მისი გადადგომის მოთხოვნით გამოსული ათიათასობით დემონსტრანტები, არამედ მისი მთავრობის წევრებიც კი აღარ ემორჩილებოდნენ! იგორ ივანოვი კი იყო ბირთვული ზესახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც პირადად პრეზიდენტ პუტინის საგანგებო დავალებით იყო თბილისში მოვლინებული! ჰოდა, **ახლა თავად განსაჯეთ, როგორ „გააგდო თავისი კაბინეტიდან შევარდნაძემ ივანოვი, მომწყდი აქედან, შენი თავი არ მაქვსო!** იმ შევარდნაძემ, რომელსაც თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, მათ შორის (და, ალბათ, უპირველეს ყოვლისა), რუსეთის მხრიდან საკუთარი უსაფრთხოების გარანტიები სასიცოცხლოდ სჭირდებოდა!

და როგორც სააკაშვილი ურცხვად გვიმტკიცებს, თუ შევარდნაძეს ბირთვული ზესახელმწიფოს — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თავი არ ჰქონდა, საერთოდ, მის გარეშეც უპრობლემოდ შეხვდებოდა კრწანისის რეზიდენციაში მიწვეულ „რევოლუციურ ტრიოს“! არადა, მოვლენათა განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ **იგორ ივანოვი კრწანისის რეზიდენციაში „ჩანგალზე კი არ მისულა“, არამედ იქ შემდგარი შეხვედრის მთავარი გარანტორი გახლდათ და შევარდნაძე თავის ოპონენტებთან მარტო მხოლოდ მას შემდეგ დატოვა, რაც, ასე ვთქვათ, ერთად ყველაფერზე საბოლოოდ შეთანხმდნენ და ბეჭედიც დასვეს!**

ამის შემდეგ მემუარისტი იხსენებს, რა ილაპარაკეს **იგორ ივანოვის** გარეშე დარჩენილებმა:

***„შევარდნაძეს ვუთხარი, რომ ჩვენი მოთხოვნა მისი გადადგომის თაობაზე ძალაშია. მან მითხრა, რომ წავიდოდა. ჟვანია, ეტყობა, სიტუაცია რომ განემუხტა, დაჰპირდა, რომ მასთან ხშირად ივლიდა რჩევებისათვის. შევარდნაძე კი მოგვიბრუნდა და გვითხრა: „თუ ერთ-ორ თვეს აქტიურ პოლიტიკაში არ ვიქნები, ვერაფერ ხეირიანს ვერ გირჩევთ. ჩემთან სიარული საჭირო არ არის“. მოულოდნელად ოთახში ივანოვი შემოიჭრა და გაიძახოდა, რომ ჩვენ ასეთ რამეზე არ მოგვილაპარაკებია, მაგრამ ჩვენ უკვე მიღებული გვქონდა შევარდნაძის გადადგომა“*** *(იქვე, გვ. 74).*

მოკლედ, ამ მოლა ნასრედინის ზღაპრებს პირდაპირ ასე ჰქვია: **რუსეთი სააკაშვილის „ვარდების რევოლუციით“ გახელისუფლებაში არაფერ შუაშია!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



ბადრი ბიწაძე

## 10 მიხეილ სააკაშვილი: ბადრი ბიწაძე გვეუბნებოდა, რომ კრწანისის რეზიდენციაში მისულებს დაგვაპატიმრებდნენ და დაგვხვრეტდნენ!



# რა უნდა ვიცოდეთ კატექოლამინების შესახებ?






## კახა საბახტარიშვილი:

## ბავშვები, რომლებსაც ხშირად შევაქებთ, სიმაღლეშიც სწრაფად იზრდებიან და უკეთ მოქცევისა და კარგად სწავლის სურვილსაც ამჟღავნებენ!

***კატექოლამინები ის ნივთიერებებია, რომლის შესახებაც ყველა ლაპარაკობს, მაგრამ ბევრმა არაფერი იცის. ცნობილი ჰომეოპათის, ექიმ კახა საბახტარიშვილის განმარტებით, კატექოლამინები ნეირომედიატორებია, რომლებიც არტერიულ წნევას, ძილს, სიხარულს, სევდასა და, ზოგადად, ემოციებს მართავენ! ქართველი მეცნიერის განმარტებით, ექსტრემალების გარკვეული ნაწილი, მიუხედავად მათი შესანიშნავი ფიზიკური ფორმისა, ინფარქტით ან ინსულტით იღუპებიან, რასაც თავისი მიზეზი აქვს:***

— ექსტრემალური სპორტით გატაცებულები ხშირად აღნიშნავენ, რომ სისხლში დიდი რაოდენობით ადრენალინის გამოყოფის შედეგად დიდ სიამოვნებას განიცდიან. დარწმუნებული ვარ, ასეთი ექსტრემალების 90 პროცენტმა ადრენალინის წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ სინამდვილეში არაფერი იცის. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ნარკომანებზეც... **როცა მათ ეკითხებიან, თუ რატომ იღებენ ამ საშიშ შხამს, ნარკოდამოკიდებული ადამიანები ერთმნიშვნელოვნად პასუხობენ, რომ ისინი უდიდეს სიამოვნებას განიცდიან! მაგრამ თითქმის არავინ არაფერი იცის იმ დამღუპველი პროცესების შესახებ, რაც ამგვარ „სიამოვნებას“ თან სდევს.** არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ სურვილის მიუხედავად, სწავლისა და მუშაობის მოტივაცია არა აქვთ. საქმე ის გახლავთ, რომ **ადრენალინი, ნორადრენალინი და დოფამინი** ის ნივთიერებებია, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს ემოციებს, მოტივაციებსა და რეაქციებს სიხარულზე, აგრესიასა და შიშზე. ორგანიზმში გამომუშავებულ ზემოხსენებულ ნივთიერებებს კატექოლამინები ეწოდება. მათი ფუნქცია ენდოკრინული ჯირკვლების გააქტიურებასა და თავის ტვინის სტიმულაციაში გამოიხატება.

**— ბატონო კახა, კატექოლამინებს მხოლოდ ეს ფუნქცია აქვთ?**

— მარტივად რომ ვთქვათ, კატექოლამინები ქიმიური შუამავალია სხვადასხვა უჯრედებს შორის. აქედან გამომდინარე, კატექოლამინებს მეორენაირად ნეირომედიატორებსაც უწოდებენ. კატექოლამინების ჯგუფიდან ერთ-ერთი ძირითადი ნეირომედიატორი **დოფამინია,** რომელიც თავის ტვინში გამომუშავდება და გავლენას ახდენს ძილზე, იმუნურ სისტემაზე, ემოციებზე... დოფამინი თავის ტვინის ბუნებრივი ნარკოტიკია, რომელიც სწავლისა და ფიზიკური შრომის სტიმულაციას განაპირობებს. სწორედ დოფამინთან არის დაკავშირებული კმაყოფილების შეგრძნება, როცა რაიმე სასარგებლოსა და სასიკეთოს გაგვაკეთებთ ანდა დანაყრებისა და სექსის შემდეგ სიამოვნებას განვიცდით. **დოფამინის** გამოყოფას ძალიან ააქტიურებს ნარკოტიკული ნივთიერებების — **ამფეტამინისა და კოკაინის** მიღება. მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა ადამიანი ნარკოტიკებზე დამოკიდებული ხდება, ამის გამო დოფამინი ზედმეტად გამოიყოფა და ტვინი იმდენად სწრაფად და აქტიურად მუშაობს, ნარკომანს სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები ეწყება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა შიზოფრენიის ერთ-ერთი ფორმა.

დოფამინის ნაკლებობამ შესაძლოა, პარკინსონის სინდრომი გამოიწვიოს... სწორედ ამაზეა დაფუძნებული პარკინსონის სინდრომის მკურნალობაში სამედიცინო მიზნით **კანაბისის,** ანუ **მარიხუანის** გამოყენება. ცხადია, ეს ყველაფერი ექიმის ზუსტი დანიშნულებით უნდა მოხდეს... ასე რომ, ე.წ. პლანის მოწევა ჯანმრთელობისთვის დამანგრეველია!

დოფამინი ასტიმულირებს ზრდის ჰორმონის გამომუშავებასაც. ამიტომ **ბავშვები, რომლებსაც ხშირად შევაქებთ, სიმაღლეშიც სწრაფად იზრდებიან და უკეთ მოქცევისა და კარგად სწავლის სურვილსაც ამჟღავნებენ!** მარტივად თუ ვიტყვით, დოფამინი ბედნიერების, სიხარულის, კმაყოფილებისა და მოტივაციის კატექოლამინია!

**— მართალია თუ არა, რომ სისხლში ადრენალინის დონე პირდაპირ უკავშირდება წნევის ცვალებადობას?**

— ადრენალინი „შიშის ჰორმონია“, რომელიც თირკმელზედა ჯირკვალში **კორტიზოლთან** ერთად გამომუშავდება.

**ადრენალინი გამოიყოფა ძლიერი გაბრაზების ან აღგზნების დროს. ადრენალინი აძლიერებს ყურადღებას, გულისცემის სიხშირეს და მაღლა სწევს არტერიულ წნევას...**

ეს ორგანიზმისთვის სასარგებლოა, როცა კრიტიკული და რთული სიტუაციების დროს ჩქარი და ადეკვატური გადაწყვეტილებაა მისაღები! მაგრამ, თუ ადრენალინის გამოყოფა დიდხანს გაგრძელდა, მაშინ მაღალი წნევის გამო დაზიანდება თირკმლები, გული და ეს ყველაფერი შესაძლოა, სავალალოდ დასრულდეს! სწორედ ამის მიზეზია ის, რომ ექსტრემალების გარკვეული ნაწილი, მიუხედავად მათი შესანიშნავი ფიზიკური ფორმისა, ინფარქტით ან ინსულტით იღუპებიან. როდესაც ორგანიზმში ადრენალინის დონე მცირეა, ასეთი ადამიანი დეპრესიული და აპათიურია და არავითარი მოტივაცია მას არ გააჩნია!

**— რაც შეეხება ნორადრენალინს, როგორია ეს კატექოლამინი და რა არის მისი ფუნქცია?**

— **ნორადრენალინს** სხვანაირად „აღგზნების ჰორმონსაც“ უწოდებენ. ის განაპირობებს ენერგიის მოზღვავებას, ამცირებს შიშის გრძნობას და ზრდის აგრესიას. ამავე დროს ნორადრენალინი აჩქარებს გულისცემას და არტერიულ წნევასაც მაღლა სწევს. **ლუდომანები,** ანუ თამაშდამოკიდებული ადამიანები, **ნორადრენალინის** მაღალი დონით გამოირჩევიან, რაც მათი ანალიტიკური შესაძლებლობის დაქვეითებას განაპირობებს. ნორადრენალინის მაღალი შემცველობის გამო ლუდომანების ტვინი სასურველს რეალობად მიიჩნევს და მათ წაგების შიში გამქრალი აქვთ. თამაშდამოკიდებული ადამიანების განკურნება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მიმაჩნია, რომ ლუდომანების განსაკურნებლად ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული მეთოდი მათ სისხლში ნორადრენალინის დონის ნორმაში მოყვანაა. ამას საგანგებო კვლევები სჭირდება, რაც, დარწმუნებული ვარ, არავითარ შემთხვევაში არ იქნება წახალისებული, რადგან სათამაშო ბიზნესი და მაფია, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოს მართავს!

**— როგორც თქვით, კატექოლამინები — ადრენალინი, ნორადრენალინი და კორტიზოლი წნევის მატებას იწვევენ! ხომ არ არის ამ ფაქტთან დაკავშირებული ისიც, რომ მშიერი ადამიანის წნევა ხშირად მაღალია?**

— შიმშილი ორგანიზმისთვის სტრესია. სტრესის დროს კი, როგორც აღვნიშნეთ, სტრესის კატექოლამინები — ადრენალინი, ნორადრენალინი და კორტიზოლი სისხლში დიდი რაოდენობით გამოიყოფა. ცხადია, ასეთ დროს წნევის მატება ბუნებრივი პროცესია! გამოსავალი ერთია — ან საკვები უნდა მივიღოთ, ანდა, რაც გინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, საღეჭი რეზინა დავღეჭოთ! დადგენილია, რომ, როცა ღეჭვის დროს სახის კუნთები მოძრაობაში მოდის, სისხლში კატექოლამინების — ადრენალინის, ნორადრენალინისა და კორტიზოლის დონე ეცემა. ამის მეცნიერული ახსნა მარტივია — ღეჭვის დროს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევა იზრდება, თავის ტვინის ნაწილი — ჰიპოკამფი, რომელიც ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზეა პასუხისმგებელი, უკეთ მარაგდება საკვებითა და ჟანგბადით და, ცხადია, სტრესის ჰორმონების — ადრენალინის, ნორადრენალინისა და კორტიზოლის რაოდენობა მცირდება. ჩვენ ერთ-ერთ ინტერვიუში საღეჭი რეზინის სასარგებლო თვისებებზე ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ იქვე აღვნიშნეთ, რომ მენთოლიანი საღეჭი რეზინა ჯანმრთელობისთვის ძალიან სახიფათოა...





### „შიმშილი ორგანიზმისთვის სტრესია. ამ დროს ნორადრენალინი და კორტიზოლი სისხლში დიდი რაოდენობით გამოიყოფა და წნევაც იმატებს!“

**— არტერიული წნევა ისეთი ვერაგი რამეა, მხოლოდ შიმშილის დროს კი არა, გადაძღომის დროსაც მატულობს!**

— გადაძღომის დროს წნევის მატების მიზეზი არა კატექოლამინები, არამედ დიდი რაოდენობით საკვების მიღების შედეგად გულმკერდისა და მუცლის ღრუს გამყოფი დიაფრაგმის მაღლა დგომაა.

**გადაძღომის დროს ფილტვებს გაშლა უჭირს, ადამიანი ქოშინებს, საჭირო რაოდენობის ჟანგბადის მისაწოდებლად გული ინტენსიურად მუშაობს და, ცხადია, წნევაც მაღლა იწევს!**

ამიტომ გადაძღომის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ წამოვწვეთ და მინიმუმ, ერთი საათის განმავლობაში მაინც ფეხით ვიაროთ!



### „გადაძღომის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ წამოვწვეთ და მინიმუმ, ერთი საათის განმავლობაში მაინც ფეხით ვიაროთ!“

*ესაუბრა*
***ლიტო ჩუბინიძე***

| ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი | პანიკით გამოწვეული შიში | იტალიური ფიჭვი | ზოდიაქოს ნიშანი | ბრტყლად შემწვარი პარია | რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი | თავქარიანი, ცერცეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქალის სამოსი | ბალტიისპირელი ბალერონი | სახის ნაწილი | ქურციკი | უმაღლესი საზოგადოება | უმაღლესი ხარისხის ბროლი | იტალიელი კომპოზიტორი |

# სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის ძველებური იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9) და მათგან 9-ში უკვე ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი უჯრის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 1 | | 2 | | 6 | | |
| 6 | 9 | | 1 | | 5 | | 4 | 3 |
| 5 | | 2 | 6 | | 4 | 1 | | |
| 3 | 1 | | | | 8 | 7 | 2 | |
| | | | 3 | 4 | 7 | | 1 | 5 |
| 7 | | 4 | 2 | 5 | | 9 | 3 | |
| | 5 | 9 | | 3 | 2 | 4 | | |
| | | 3 | | 1 | 9 | | 7 | 2 |
| 2 | | 7 | 5 | 8 | | 3 | 9 | |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | 6 | | | 5 | | 2 |
| 2 | 6 | 5 | | | 3 | 4 | | |
| | 1 | | 9 | 5 | | 6 | | |
| | 7 | | | 6 | 8 | | 4 | |
| 6 | | | | | 9 | | 7 | 3 |
| | 4 | 3 | | 2 | | 8 | | 6 |
| 4 | 2 | 6 | | | | | 9 | 8 |
| 1 | | 9 | 2 | | 7 | | | 4 |
| | | | | 9 | 6 | 1 | 2 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 5 | | | |
| | | | | 3 | | 9 | 5 | |
| | 9 | | | 2 | 6 | | | 3 |
| | 5 | | | 6 | 2 | | | 9 |
| | | | 3 | | | 2 | 7 | |
| 3 | | 2 | | | | 1 | | |
| | | | 2 | | | 5 | 9 | 4 |
| | 3 | | 5 | 4 | 9 | | | |
| 9 | 4 | 5 | | | | | | 1 |



თარაზულად: 1. ბოსტნეულის მავნებელი მწერი, მახრა; 6. დაღესტნელი „მთის არწივი“; 9. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 10. ზღაპარი — „... მზეთუნახავი“; 11. საკვები ცხიმი; 12. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 13. აბუ ალი იბნ სინა..; 17. ნამდვილად არსებული ნივთი; 18. უკრაინის პარლამენტის სახელწოდება; 20. მოძრავი ცირკი; 21. რომელიღაც ადამიანი; 24. ლაბისებრი საწვავი პროდუქტი; 25. ჭეჭილის ტალღისებრი რხევა ნიავისგან; 26. სამხრეთამერიკული სირაქლემა.

შვეულად: 1. ტექნიკური კულტურა; 2. გვერდი კომპიუტერში; 3. ღობეზე გადასაბიჯი ადგილი იმერეთში; 4. ცირკის მოედანი; 5. სამოზაიკე მინა; 6. კოლუმბიელი მომღერალი ქალი; 7. სამხედრო წოდებულება გენერლის ზევით; 8. რომელიმე ენის სიტყვათა ერთობლიობა; 14. იტალიელი ექსფეხბურთელი; 15. სანთელი; 16. ქიმიური ელემენტი, „გასანათებელი“ გაზი; 18. მიმდინარეობა მუსიკაში; 19. ბატკნის მოგების დრო; 21. რომელი ადამიანი? 22. ქართული ღ-ს სახელი; 23. მატყუარა.

| სამის რიგობითი რიცხვითი სახელი | სარკმლებიანი ოთხთვალა ეტლი | სოფელი აფხაზეთში | რკინიგზის ყრილი | მდინარე ბელარუსში | ერთგვარი ინანთეული | ბოჭკოვანი მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|
| კათოლიკური წირვა | გოლკიპერი | ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა | იაპონური ტექნიკის ფირმა | კინოს მოქცელებული სახელი | მდინარე აფრიკაში | მსახიობი ... ონიანი | ვივიენ ... |

თარაზულად: 1. კოლუმბიელი მწერალი; 6. გარეული ფრინველი; 9. მდინარე ტანზანიაში; 10. მწკრივში დაწყობა სიმაღლის მიხედვით; 11. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 12. სოფელი ზესტაფონის რაიონში; 13. მიწის თხილი, ანუ; 17. სიკვდილისწინა მდგომარეობა; 21. ნუსხა, ჩამონათვალი; 23. ფეთქებადი ნივთიერება; 24. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონისტი; 25. ჩინელი მევიოლინე ქალი; 26. მდინარე აშშ-ში; 30. ავსული სპარსულ მითოსში; 35. ქალაქი ჩინეთში; 36. ინდიელთა ტომის ბელადი; 37. დეკორატიული მარადმწვანე ბუჩქი; 38. ყავის ჯიში; 42. მხატვრის სამუშაო ოთახი; 46. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ტომი; 48. ძველებური ესპანური ხომალდი; 49. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 50. სტივენსონის რომანი „რობ ...“; 51. მაიმუნის სახეობა; 52. დეკორატიული ბალახოვანი მცენარე.

შვეულად: 1. გერმანული ფული ევრომდე; 2. რეგულარული შემოსავალი ქონებიდან; 3. ტრიბუნის თანაშემწე ძველ რომში; 4. ზამბახი, ანუ; 5. საპალტოე ქსოვილი; 6. მწერი; 7. ხომალდის ტვირთი; 8. ფინანსური დაწესებულება; 14. მდინარე გერმანიაში; 15. მდინარე აღმოს. საქართველოში; 16. პოლონეთის პარლამენტი; 18. მდინარე ინდოეთში; 19. ტბა აფრიკაში; 20. უდანაშაულობის საბუთი; 21. საკრავზე გაბმული მავთული; 22.სოლო სიმღერა ოპერაში; 26. ავადმყოფური დამოკიდებულება რაიმეზე; 27. ... კლაუსი; 28. ცეცხლგამძლე კარადა; 29. მუსიკალური გამის პირველი საფეხური; 31. ქლიავის არაყი; 32. ფრანგი კომპოზიტორი; 33. ირმის, შვლის ნაშიერი; 34. სახალხო პოეტი შოტლანდიაში; 39. ქალაქი საფრანგეთში; 40. ცურვის სტილი; 41. ბიბლიური პერსონაჟი; 43. დიდი საკონდიტრო ნაწარმი; 44. ციტრუსი; 45. პროფესიონალი მონადირე; 46. ინდოელი ქალის კაბა; 47. გაერთიანება, კავშირი.



1. სახელგანთქმული დელფოს სამისნო მდებარეობა —
ა. ფოკიდაში; ბ. თრაკიაში; გ. ითაკაში; დ. სპარტაში.

2. კონკისტადორი არ იყო —
ა. დე ბალბოა; ბ. დე ლორკა; გ. ვასკო ნუნიე; დ. დიეგო ველასკესი.

3. ვისტი არის —
ა. ვაჭრობის ფორმა; ბ. საცირკო თამაში; გ. ბანქოს თამაში; დ. სპორტის სახეობა.

4. 1889 წელს ყარაგანდელი პატიმრები —
ა. მასობრივად დახოცეს; ბ. შიშვლები გაროზგეს; გ. გაათავისუფლეს; დ. აიძულეს, ეჭამათ საჭმელი.

5. ბლომანჟეს დასამზადებლად აუცილებელია —
ა. რძე; ბ. ფქვილი; გ. მარგარინი; დ. ლიმონი.

6. ბიადპაუნდს ყველაზე უკეთ განვითარებული აქვს —
ა. მხედველობა; ბ. ყნოსვა; გ. სმენა; დ. გემოვნება.



7. გუსტავ ფლობერს არ ეკუთვნის —
ა. „მადამ ბოვარი“; ბ. „სალამბო“; გ. „იროდიადა“; დ. „კაპიტანი მოჩვენება“.

8. ედსონ არანტის დე ნასიმენტო ნამდვილი გვარ-სახელია —
ა. ჯეიმზ ირვინის; ბ. პელესი; გ. ბიორდის; დ. გარინჩასი.

9. პროტექციას სიკეთედ თვლიან —
ა. საქართველოში; ბ. ამერიკაში; გ. იტალიაში; დ. რუსეთში.

10. იტალიაში პრეზიდენტის არჩევის ინსტიტუტი შემოიღეს —
ა. 1945; ბ. 1948; გ. 1950; დ. 1953.

11. აქილევსი და აგამემნონი წაიჩხუბნენ —
ა. ბრისეიდას გამო; ბ. ელენეს გამო; გ. კასანდრას გამო; დ. პენელოპეს გამო.



12. ჟურნალ „პლეიბოის“ გამომცემელია —
ა. გვინეტ პელტროუ; ბ. ჰიუ ჰეფნერი; გ. ჯონ ტრავოლტა; დ. ბრუს ანისტონი.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდების პასუხები:**

1. კაბალიეპანიკაპინიამორიელიტაბაკარადონიცეტი 2. მესამეკარეტატამიშივაკისინემანილოსიონისელი

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

1. ა; 2. ბ; 3. გ; 4. დ; 5. ა; 6. ბ; 7. დ; 8. ბ; 9. გ; 10. ბ; 11. ა; 12. ბ.

თარაზულად: 1. მარკესი; 6. კაკაბი; 9. რუაჰა; 10. რანჟირი; 11. ლორენი; 12. სვირი; 13. არაქისი; 17. აგონია; 21. სია; 23. დინამიტი; 24. რენუარი; 25. მეი; 26. მისისიპი; 30. არიმანი; 35. ნანკინი; 36. კასიკი; 37. მირტი; 38. არაბიკა; 42. ატელიე; 46. სიუ; 48. კარაველა; 49. ნარგილე; 50. როი; 51. მირიკინი; 52. აბილილი.

შვეულად: 1. მარკა; 2. რენტა; 3. ედილი; 4. ირისი; 5. რატინი; 6. კალია; 7. კარგო; 8. ბანკი; 14. რაინი; 15. ქსანი; 16. სეიმი; 18. განგი; 19. ნიასა; 20. ალიბი; 21. სიმი; 22. არია; 26. მანია; 27. სანტა; 28. სეიფი; 29. პრიმა; 31. რაკია; 32. მასნე; 33. ნუკრი; 34. ბარდი; 39. რუანი; 40. ბრასი; 41. კაენი; 43. ტორტი; 44. ლაიმი; 45. ეგერი; 46. სარი; 47. უნია.

თარაზულად: 1. ბოსტანა; 6. შამილი; 9. რამპა; 10. მძინარე; 11. კარაქი; 12. ნოლტი; 13. ავიცენა; 17. რეალია; 18. რადა; 20. შაპიტო; 21. ვიღაც; 24. ნაპალმი; 25. ბიბინი; 26. ნანდუ.

შვეულად: 1. ბამბა; 2. საიტი; 3. ალაგე; 4. არენა; 5. სმალტა; 6. შაკირა; 7. მარშალი; 8. ლექსიკა; 14. ვიალი; 15. ცვილი; 16. ნეონი; 18. რეპი; 19. დოლი; 21. ვინ; 22. ღან; 23. ცრუ.

რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 2 | 7 | 5 | 9 | 3 | 6 | 8 |
| 9 | 3 | 6 | 8 | 1 | 2 | 5 | 4 | 7 |
| 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 7 | 9 | 3 | 5 | 8 | 1 | 4 | 2 | 6 |
| 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 6 | 7 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 8 | 4 | 2 | 7 | 9 | 3 | 5 |
| 3 | 6 | 4 | 9 | 7 | 8 | 1 | 5 | 2 |
| 8 | 7 | 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 9 | 4 |
| 2 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 8 | 7 | 3 |

საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 8 | 6 | 1 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 2 | 6 | 5 | 8 | 7 | 3 | 4 | 1 | 9 |
| 3 | 1 | 4 | 9 | 5 | 2 | 6 | 8 | 7 |
| 5 | 7 | 2 | 3 | 6 | 8 | 9 | 4 | 1 |
| 6 | 8 | 1 | 5 | 4 | 9 | 2 | 7 | 3 |
| 9 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 | 5 | 6 |
| 4 | 2 | 6 | 1 | 3 | 5 | 7 | 9 | 8 |
| 1 | 5 | 9 | 2 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 |
| 8 | 3 | 7 | 4 | 9 | 6 | 1 | 2 | 5 |

მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 1 | 8 | 2 | 3 | 6 | 5 | 9 |
| 6 | 9 | 8 | 1 | 7 | 5 | 2 | 4 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 6 | 9 | 4 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 1 | 5 | 9 | 6 | 8 | 7 | 2 | 4 |
| 9 | 2 | 6 | 3 | 4 | 7 | 8 | 1 | 5 |
| 7 | 8 | 4 | 2 | 5 | 1 | 9 | 3 | 6 |
| 1 | 5 | 9 | 7 | 3 | 2 | 4 | 6 | 8 |
| 8 | 6 | 3 | 4 | 1 | 9 | 5 | 7 | 2 |
| 2 | 4 | 7 | 5 | 8 | 6 | 3 | 9 | 1 |

# გუბაზ მეგრელიძე:

# სანდრო ახმეტელის საქმეზე სერგო ამაღლობელი მოწმედ იყო დასახელებული და მას ახმეტელი უარყოფითად უნდა დაეხასიათებინა!

*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **გუბაზ მეგრელიძე** აგრძელებს საუბარს თეატრალური კრიტიკოსისა და დრამატურგის, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრისა და მოსკოვის მცირე თეატრის ყოფილი დირექტორის **სერგო ამაღლობელის** მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ, რომელსაც ბოლო დაკითხვა შინსახკომში 1937 წლის 20 ნოემბერს მოუწყვეს:*


შალვა ელიავა


პეტრე ოცხელი


გიორგი ჟორდანია

— შინსახკომი ცდილობდა, **სერგო ამაღლობელისაგან** რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეღოთ იურისტ **გიორგი ჟორდანიაზე,** რეჟისორ **ვახტანგ აბაშიძესა** და მხატვარ **პეტრე ოცხელზე.** ამაღლობელს ბრალად სდებდნენ — სამივე მათგანი კონტრრევოლუციურ საქმიანობაში შენ ჩაითრიეო, მაგრამ იგი კატეგორიულად უარყოფდა — არც კონტრრევოლუციონერი ვარ და არც ეს ადამიანები ჩამითრევია რაიმე საქმიანობაშიო!

**— რა ურთიერთობა ჰქონდა ამაღლობელს ზემოხსენებულ პირებთან?**

— მან დაკითხვაზე განაცხადა, რომ იურისტი **გიორგი ჟორდანია** 1926-1927 წლებში თბილისში გაიცნო, როცა იგი ჯერ სახალხო კომისართა საბჭოს იურისტ-კონსულტად მუშაობდა, შემდეგ კი იმავე თანამდებობაზე — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ამაღლობელის ინფორმაციით, 1934 წლის ბოლოს თუ 1935 წლის დასაწყისში ჟორდანია მას **სანდრო ახმეტელის** საქმეზე შეუთანხმდა — მოწმედ დაგასახელე და გამოგიძახებენო. **ამაღლობელი დათანხმდა — ჩემი იმედი გქონდეს, ახმეტელს უარყოფითად დავახასიათებო.** მიაქციეთ ყურადღება თარიღს — 1934 წელს ახმეტელი არც რუსთაველის თეატრიდან იყო გათავისუფლებული და არც დაპატიმრებული გახლდათ, წარმატებით დგამდა სპექტაკლებს, მაგრამ კარგად ჩანს, რომ მის საწინააღმდეგოდ საქმის მასალებზე უკვე მუშაობდნენ.

**— მოსკოვის მცირე თეატრში გიორგი ჟორდანია სერგო ამაღლობელთან მუშაობდა?**

— **ამაღლობელის** რეკომენდაციით, 1935 წლის დასაწყისში **გიორგი ჟორდანია** მცირე თეატრის საკოლმეურნეო ფილიალის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. ეს ფილიალი ვორონეჟის რაიონის სოფელ ზემეტჩინოში მდებარეობდა. ამაღლობელმა გამომძიებელს აუხსნა — ჟორდანია ამ თანამდებობაზე იმიტომ დავნიშნე, რომ სხვა ხელოვანი მოსკოვიდან სოფელში სამუშაოდ არ მიდიოდაო. საქმე იმაშია, რომ ეს დაკითხვა ფორმალობას წარმოადგენდა და როგორც ამაღლობელის, ისე ჟორდანიას ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო — **მათ ცოცხალს არ დატოვებდნენ, რადგან როგორც ჟორდანია, ისე ამაღლობელი თავადთა წრიდან იყვნენ,** თან ჟორდანია მენშევიკურ მთავრობასთან იყო ნამუშევარი და საქართველოს გასაბჭოებით უკმაყოფილო რამდენიმე თვე საზღვარგარეთ ცხოვრობდა, დაბრუნდა 1921 წელს. რაღაც პერიოდი დაპატიმრებულიც იყო კონტრრევოლუციური მუშაობისთვის. განაჩენის გამოტანამდე ბევრი არ უფიქრიათ და **გიორგი ჟორდანია დახვრიტეს 1937 წლის 2 დეკემბერს.**

**— სერგო ამაღლობელმა პეტრე ოცხელსა და ვახტანგ აბაშიძეზე რა განაცხადა?**

— ამაღლობელმა ჩვენებაში მიუთითა — **პეტრე ოცხელს** 1928 წლიდან ვიცნობ, მარჯანიშვილის თეატრის მხატვარი იყო, მასთან მხოლოდ თეატრზე ვლაპარაკობდი, აპოლიტიკური ადამიანი იყოო. ამაღლობელსა და ოცხელს მოსკოვში გადასვლის მერეც მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ მათ მაინც კონტრრევოლუციურ მუშაობაში დასდეს ბრალი. ოცხელი ვაჭრის ოჯახიდან იყო, რასაც შინსახკომი აუცილებლად „გაითვალისწინებდა". რაც შეეხება **ვახტანგ აბაშიძეს,** ისიც თავადთა წრეს ეკუთვნოდა და სიცოცხლეს არც მას შეუნარჩუნებდნენ. ისევე, როგორც ოცხელს, ამაღლობელი აბაშიძესაც 1928 წლიდან იცნობდა, ერთად მუშაობდნენ სპექტაკლებზე, არავითარი — პოლიტიკა. **პეტრე ოცხელი დახვრიტეს 1937 წლის 2 დეკემბერს 30 წლის ასაკში, ასევე ვახტანგ აბაშიძე — 40 წლის 1937 წლის 2 დეკემბერს.**

**— ვინ აწარმოა სერგო ამაღლობელის დაკითხვა?**

— სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტმა **ოსიპოვმა** და სახელმწიფო უშიშროების სერჟანტმა **ატაშიანმა.** საბრალდებო დასკვნა დაამტკიცა საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მე-2 რანგის კომისარმა **სერგო გოგლიძემ.** ამაღლობელი დაადანაშაულეს კონტრრევოლუციურ-დივერსიული ორგანიზაციის ცენტრის წევრობაში — **გიორგი ყურულოვის** (ყურულაშვილის) დავალებით მოსკოვში ტერორისტული ორგანიზაცია შექმნა და მასთან ერთად ამ ორგანიზაციაში **ჟორდანია, აბაშიძე და ოცხელი** მუშაობდნენო! ოთხივე მათგანი დახვრიტეს, მაგრამ არცერთს დანაშაული არ უღიარებია, **ამაღლობელმა** კატეგორიულად არ დაადასტურა **ჟორდანიას, აბაშიძისა და ოცხელის** წევრობა კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირები თავის ჩვენებაში „მხილებული" ჰყავდა იმ დროისათვის უკვე დახვრეტილ **სანდრო ახმეტელს.**




სერგო ამაღლობელი


სანდრო ახმეტელი

**— კიდევ რაში ადანაშაულებდნენ სერგო ამაღლობელს?**

— მისგან ითხოვდნენ ინფორმაციას საელჩოებში გამართულ შეხვედრებზე, ასევე ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის თავმჯდომარის მოადგილე **ლიდა გასვიანსა** და რევოლუციონერ **კარლ რადეკზე.** ამაღლობელმა განაცხადა — ლიდა გასვიანთან პირადი ნაცნობობა მაკავშირებდა, 1925 წელს გავიცანიო და ისიც აღნიშნა, რომ 1929 წელს ის და **ალექსანდრე დუდუჩავა** გასვიანს სახლში ესტუმრნენ, შეხვედრა კი ინტიმური ხასიათის იყო. ამაღლობელის ამ დაკითხვის დროს **ლიდა გასვიანი** უკვე დახვრეტილი იყო — განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1937 წლის 26 ივნისს.

რაც შეეხება **კარლ რადეკს,** ამაღლობელმა განაცხადა, რომ თეატრში ის „ოტელოს" წარმოდგენისას გაიცნო და მასთან პოლიტიკური საქმიანობა არ წამოუწყია. იმ დროისათვის რადეკი უკვე დაპატიმრებული იყო, დივერსიული საქმიანობის გამო მისჯილი ჰქონდა 10 წელი. 2009 წელს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე — **„სტალინის ავტოგრაფები"** — ერთ-ერთ ნამუშევარს, სადაც გამოსახული იყო საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი კარლ რადეკი, წარწერა ჰქონდა: **„უღალი ნაძირალა რადეკი. ქარის წინააღმდეგ რომ არ მოეშარდა, გაბოროტებული რომ არ ყოფილიყო, ახლა ცოცხალი იქნებოდა".** გამოფენის ორგანიზატორების თქმით, ეს სიტყვები სტალინს ეკუთვნოდა, რომელიც რადეკს არ სწყალობდა. კარლ რადეკი შეეწირა რეპრესიებს, მოკლულ იქნა 1939 წლის 19 მაისს.

**— სერგო ამაღლობელმა დაკითხვებზე ანტისაბჭოთა მუშაობაში ვინ დაადანაშაულა?**

— ამაღლობელი ბრალდებებს უარყოფდა, მაგრამ არავინ დაუდანაშაულებია. **აბელ ენუქიძეზე** პირდაპირ ჰკითხეს, მაგ **ხალხის მტერთან** რა ურთიერთობა გქონდათო, მაგრამ ამაღლობელმა უარყო, რომ ენუქიძე **ხალხის მტერი** იყო. გამომძიებელი დაინტერესებული იყო ასევე **ამაღლობელისა** და **შალვა ელიავას** ურთიერთობით, თუმცა, ამაღლობელმა აქაც შორს დაიჭირა თავი — ელიავა თეატრში გავიცანი, მთხოვა, ყურადღება მიმექცია ერთი გოგონასთვის, რომელსაც თეატრის ტექნიკუმში უნდოდა სწავლაო! **ამაღლობელის, ენუქიძისა და ელიავას** დაკითხვა თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა. **აბელ ენუქიძე** 1937 წლის 30 ოქტომბერს დახვრიტეს, **შალვა ელიავა** — 1937 წლის 3 დეკემბერს. თან, წარმოიდგინეთ, ენუქიძეს მიღებული ჰქონდა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენი. ასე რომ, **ხალხს ჯერ აჯილდოებდნენ, მერე ხვრეტდნენ,** ასეთი იყო სისტემა. ბოლოს **სერგო ამაღლობელიც** დახვრიტეს — 1938 წლის 13 თებერვალს, არადა, 4 წლის წინათ, 1934 წელს, მონაწილეობა მიაღებინეს რომის საერთაშორისო თეატრალურ კონგრესში, 1935 წელს სამხატვრო თეატრში დადგეს მისი პიესა „კარგი ცხოვრება", **ორი წელი ტაშს უკრავდნენ, მერე დააპატიმრეს და დახვრიტეს.** ასეთი ცინიზმით ეკიდებოდნენ ადამიანების ბედსა და ცხოვრებას.


აბელ ენუქიძე


ლიდა გასვიანი


ვახტანგ აბაშიძე


კარლ რადეკი

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

### – გთავაზობთ ერთი პატარა სტატიის ტექსტს. მაინტერესებს თქვენი აზრი მის შესახებ.

**„რწმენის საკითხი მარტო სულიერი კი არა, ეკონომიკური კატეგორიაა. რაც უფრო რელიგიურია ერი, მით უფრო მდიდარიცაა. ასეთ ორიგინალურ დასკვნამდე მივიდნენ სენტ-ლუისის ფედერალური სარეზერვო ბანკის მკვლევარები, როდესაც ერთმანეთს შეადარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2003 წლის მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ, ორგანიზაცია Transparency International-ის ანგარიში მსოფლიო კორუფციის შესახებ და World Values Survey-ს მსოფლიოს ხალხების სულიერი ფასეულობებისადმი მიძღვნილი მიმოხილვები. აღმოჩნდა, რომ აშშ-ის (რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მიხედვით) მოქალაქეთა 71 პროცენტს ჯოჯოხეთის არსებობა სწამს. ასეთივე რწმენა აღენიშნება ირლანდიელთა 53 პროცენტს (ყოველ ირლანდიელზე თითქმის იმდენი შემოსავალი მოდის, რამდენიც აშშ-ში). ჯოჯოხეთის რწმენა კორუფციის შემცირებას და ერის კეთილდღეობის ზრდას უწყობს ხელს, — ასკვნიან მიმოხილვის ავტორები. მოკლედ, მორწმუნეობა ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით უფრო პერსპექტიულია, ვიდრე პირიქით. სიმდიდრე სამაგალითო ქცევის სანაცვლოდ მოპოვებული სიტკბოებაა.**

**რა გაეწყობა, სიმპათიური სურათია, თუმცა — მხოლოდ გონებაჭვრეტითი. სისხლხორცეული მატერიალისტები კეთილდღეობის გამოცანის ძიებას ბიბლიაში კი არა, საბაზრო ურთიერთობის, დემოკრატიის და, რაც მთავარია, სასამართლო სისტემის განვითარების დონეში ამჯობინებენ.**

**როგორც წესი, ჩინოვნიკებს მექრთამეობისაგან თავის შეკავებას საიქიოში მოსალოდნელი სასჯელი კი არა, ამქვეყნიური სასჯელის გარდუვალობა აიძულებს.**

**რაც შეეხება მაღალ რელიგიურობას, აქ უფრო ისტორიული ტრადიციაა „დამნაშავე“. მაგალითად, იაპონიაში ათეისტების რაოდენობა სულაც არ არის რუსეთზე ნაკლები; ამ დროს კეთილდღეობის დონე გაცილებით მაღალია, ხოლო კორუმპირებულობა — დაბალი.**

**სხვათაშორის, დიდად ღვთისმოშიშ რუსეთის იმპერიაში მექრთამეობა ყვაოდა, ხოლო ყველაზე უარესი დროება მას ათეისტური, მაგრამ ანგარიშსწორებას მოწყურებული საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაუდგა.**

**ასეა თუ ისე, მართალი აღმოჩნდა ვერაგი ენაკვიმატი ნიკოლო მაკიაველი, როცა განაცხადა, რომ ჯოჯოხეთში სურს მოხვედრა და არა სამოთხეში. აქაოდა, იქ პაპებისა და მეფეების საზოგადოებით დავტკბები, სამოთხეში კი ლატაკები, ბერები და მოციქულები სახლობენო...“**

შესაცვლელად და დასაძლევად ენერგიას აღარ დახარჯავს. რამდენადაც უფრო ძლიერ შეიზღუდავს ის თავს ახალი ამოცანების გადაჭრის მცდელობაში, იმდენად გარდაუვალად მცირდება მისი ენერგეტიკული პოტენციალი, მაშასადამე, იმუნიტეტი სუსტდება და ბედი გადაგვარდება.

როდესაც მეკითხებიან, როელ აღთქმაში გადმოცემული ათი მცნება. თუ ჩავუფიქრდებით, ყველა მათგანი ღმერთთან ერთიანობის გაძლიერებაზე, ესე იგი, სულში სიყვარულის გამრავლებასა და ენერგიის მძლავრ გაცემაზეა მიმართული.

**ვინ ხელყოფს სხვისას? ის, ვისაც საკუთარის შოვნა ეზარება. ვის შურს? მას, ვინც შინაგანად წართმევისთვის არის** ის, ქვეცნობიერად მას გამუდმებით სჩადის. ადამიანი, რომელიც მზად არის, მოიპაროს, ქვეცნობიერად მუდმივად ქურდობს. და თუ საქციელი მოხმარებაზეა მიმართული, გაცემის, განვითარების, შექმნის შესაძლებლობა გარდაუვალად სუსტდება.

დასავლეთში სხვისი საკუთრებისადმი პატივისცემამ, როუფრო გვიან დაადგა. **იუდაიზმი** და **ქრისტიანობა** მეორე ადამიანის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემაზე საუბრობენ. სამი ათას ხუთასი წლის წინ ებრაელები გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მონებს ათავისუფლებდნენ. რუსეთში ას ორმოცდაათი წლის წინ ჯერ კიდევ არსებობდა მონობა ბატონყმობის სახით და ყმებს არავინ ათავისუფლებდა. კანონი ამას არ მოითხოვდა. ახლა წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც პირნათლად იცავს ათიდან ცხრა მცნებას, მაგრამ, ამავე დროს, გამუდმებით ქურდობს. თქვენი აზრით, ის დანარჩენი ცხრა მცნების შესრულებას შეძლებს? ფორმით — შესაძლებელია, მაგრამ არსით — არასოდეს.

**თუკი ადამიანი ცხრაჯერ**



# სერგეი ლაზარევი

# კარმის

დასაწყისი იხ.2021 წლის „ა-დ“ №23-52, 2022 წლის „ა-დ“ №3-17



**ვინ ხელყოფს სხვისას? ის, ვისაც საკუთარის შოვნა ეზარება. ვის შურს? მას, ვინც შინაგანად წართმევისთვის არის განწყობილი და არა საკუთარის შექმნისათვის. რატომ უნდა ვცეთ პატივი მშობლებს? პატივისცემა, პირველ რიგში, მათზე ზრუნვას გულისხმობს. რა საჭიროა კვირაში ერთი დღე დასვენება? რათა გაცემული ენერგია მატერიალურ ასპექტს არ მიეჯაჭვოს, რადგან ამას დეგრადაციისკენ მივყავართ!**

**ადიდებს უფალს, ერთხელ კი შეაჩვენებს და უარყოფს მას, საეჭვოა, ღვთაებრივის შეცნობა შეძლოს. თუ ადამიანმა ცხრას მიუტევა, ერთს კი ვერა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისმა სულმა პატიება ვერ ისწავლა. მეფის რუსეთში მართლმადიდებლური აღმსარებლობა უფრო წეს-ჩვეულებათა ფორმალურ შესრულებასთან იყო დაკავშირებული.** რელიგია კი პირველ რიგში სიყვარულსა და ზნეობრიობაზე უნდა ზრუნავდეს და მხოლოდ შემდეგ — პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. **თუ რელიგიამ ადამიანს ასწავლა უფლის სიყვარული, როგორც უზენაესი ბედნიერება, ასწავლა, არ შურდეს, არ მოიპაროს, არ მოკლას, უყვარდეს და იზრუნოს, ასეთი ადამიანი, უბრალოდ, ვერ შეძლებს ქურდობას, ღალატსა და მოტყუებას — ამის გაკეთების საშუალებას მისი ენერგეტიკა არ მისცემს.**

იაპონიაში ზნეობრიობა ყოველთვის ძალზე მაღალი იყო. უფროსებისადმი პატივისცემა, სურვილების შეკავება, გამუდმებული შრომა — ეს ყველაფერი მძიმე პირობებში გადასარჩენად იყო საჭირო. ადამიანს ქურდობისაგან რელიგია კი არ განარიდებს, არამედ სულში არსებული სიყვარული და ენერგიის გაცემის ჩვევა. სხვა საქმეა, რომ რელიგია სიყვარულის შეგრძნებაში, სამყაროს კანონების ამსახველი ზნეობრივი ცნებების ჩამოყალიბებაში ეხმარება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რუსეთში რელიგია განადგურდა, მაგრამ სრული ერთიანობის შეგრძნება გაძლიერდა. არსებობდა საერთო მიზანი, რომელიც ყველა ხალხს აერთიანებდა. იყო მორალური კოდექსი, თუმცა კი, ხარვეზიანი. იყო იდეოლოგია, რომელიც ქურდობას კრძალავდა. გავიდა რამდენიმე ათწლეული — ადამიანები დარწმუნდნენ,

— მიმაჩნია, რომ **ცნება „ცივილიზაცია“ წარმოუდგენელია „კულტურისა“ და „რელიგიის“ ცნებების გარეშე.** კულტურისა და ზნეობის გარეშე არსებობა მხოლოდ პირველყოფილ საზოგადოებას შეუძლია. რაც უფრო მაღალია ცივილიზაციის დონე, მით უფრო სახიფათოა ასეთი საზოგადოებისთვის კულტურისა და ზნეობრიობის არარსებობა. ცივილიზაცია ავტომობილია, ხოლო კულტურა, ზნეობრიობა და რელიგია — მძღოლი. დღეს ყველაზე საშიშია უზარმაზარი უფსკრული ტექნიკურ პროგრესსა და ზნეობრივ ფასეულობებს შორის. მსოფლიოს ყველა რელიგია გვასწავლის, რომ ქურდობა ცოდვაა. ყველასათვის ცნობილია ფრაზა: **„უშრომელი ფული ადამიანს რყვნის“.** ისმის კითხვა — რატომ? რა ემართება ამ დროს ადამიანს, მის სულს?

ამერიკაში გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველას, ვინც ლატარიაში მოიგო, შემდგომში ბედმა უმტყუნა. რატომ? ალბათ, შემდეგი მოხდა. მუშაობა, არსებობისთვის აუცილებელი ფულის მოპოვება ადამიანს ენერგიის გაცემას აიძულებს. რაც მეტ ენერგიას გასცემს ადამიანი, მით მეტი სიყვარული უნდა ჰქონდეს სულში და მით მეტად მიისწრაფვოდეს ღმერთისაკენ. თუ ადამიანი არ მუშაობდა, ფული კი მაინც მიიღო, მისი სული ენერგიას აღარ გასცემს. იწყება სულის, მერე კი ბედის დეგრადაცია. **უშრომელი ფული იმიტომ კლავს, რომ ამ დროს ადამიანის ენერგეტიკული პოტენციალი ირღვევა.**

ამასწინათ წავიკითხე, თითქოს მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ წუწუნები და მტირალები ნაკლებ ხანს ცოცხლობენ და უფრო ხშირად ავადმყოფობენ. რატომ? თუ ადამიანი სიტუაციით მუდმივად უკმაყოფილოა, ეს იმას ნიშნავს, რომ მის გორ იშოვონ ხეირიანი სამსახური და რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მუშაობა წარმატებით მიდიოდეს, მარტივად ვუპასუხებ: **მიეჩვიეთ გაცილებით მეტის გაცემას, ვიდრე მოიხმართ. ნუ დაუკავშირებთ თქვენს ძალისხმევას, მასთან ერთად კი ენერგიასა და სიყვარულს ხელფასს.** ხელფასი ყოველთვის უნდა ჩამორჩებოდეს შესრულებულ სამუშაოს. თავისი საქმის ნებისმიერი ენთუზიასტი — ეს არის ადამიანი, რომლისთვისაც ძიება, ენერგიის გაცემა მიღებულ ანაზღაურებაზე განუზომლად მნიშვნელოვანია. მთელმა ქვეყნიერებამ იცის ძვ-

**განწყობილი და არა საკუთარის შექმნისათვის. რატომ უნდა ვცეთ პატივი მშობლებს? პატივისცემა, პირველ რიგში, მათზე ზრუნვას გულისხმობს. რა საჭიროა კვირაში ერთი დღე დასვენება? რათა გაცემული ენერგია მატერიალურ ასპექტს არ მიეჯაჭვოს, რადგან ამას დეგრადაციისკენ მივყავართ.** ჩვენს ენერგიას იქით მივმართავთ, რაზეც ვფიქრობთ და რისკენაც ვისწრაფვით. და თუ უფლისაკენ მივისწრაფვით, საკუთარ სხეულს ვივიწყებთ და მაშინ ენერგიას ჩვენი სული იღებს. ადამიანი, რომელიც გმირობის ჩადენისთვის მზად არმელიც **იუდაიზმისა** და **ქრისტიანობის** მორალით არის განმტკიცებული, მაღალეფექტიანი ეკონომიკის შექმნის საშუალება მისცა. **იუდაიზმში** მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მცნებები საკუთარი მონის მიმართაც კი პატივისცემით მოპყრობის და გარკვეული ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გათავისუფლების შესახებ. მომხმარებლობას ესეც ამუხრუჭებდა.

**რა შემთხვევაში კლავს ერთი ადამიანი მეორეს? მიზეზი იგივეა — მომხმარებლობა.** მომხმარებელი საკუთარი სურვილების მონაა. ამ სურვილების ასრულების გულისთვის ის მზად არის, მოიპაროს, მოატყუოს, ბოლოს და ბოლოს, მოკლას. და **იუდაიზმის** მცნებები მეორე ადამიანის მოკვლისათვის სიკვდილს გულისხმობდა. **სასჯელი ადეკვატური და გარდაუვალი უნდა იყოს. თუ ის ჩადენილ დანაშაულზე უფრო სუსტი იქნება, ადამიანს ვერ შეაჩერებს და მას ახალი დანაშაულებისკენ უბიძგებს.** ამ მცნებების ცოდნა ყოველ ადამიანს ქვეცნობიერად ყოველ წამს ახსენებდა თავს: **არა კაც ჰკლა, არ იქურდო, არ შეგშურდეს, იზრუნე.** და შეკავებული ცხოველური სურვილი წამის ყოველ მეასედში ადამიანურად და ღვთაებრივად გარდაიქმნებოდა.

რუსეთი ამ გზას გაცილებით

## კვირგვინოსნები

**დოდო ხუციშვილი**
*თეატრმცოდნე*



**საცივს იმდენი ნიგვზით ვაკეთებ,** ძველი ფეხსაცმელი რომ ჩადო შიგ, მაინც გემრიელი გამოვა! **საკუთარი თავისთვის ზუსტად ისე უნდა გაიწყო სუფრა, როგორც სტუმრებისთვის აწყობ,** ვერცხლის დანა-ჩანგლით უნდა მიირთვა და წყალი ბროლის ჭიქიდან უნდა დალიო.

„სარკე“

**ნინო კასრაძე**
*მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი*



**პლასტიკური ჩარევები და ბოტოქსები** არ მჭირდება. ჩემს ასაკში თეატრში უნდა შევასრულო ჩემივე ასაკის ქალის როლი, პატარა გოგოს მე ვეღარ ვითამაშებ, ამიტომ **მინდა, შესაბამისად გამოვიყურებოდე და ჩემმა სახემ ემოციების გამოხატვა შეძლოს.**

„სარკე“

**გიგი დედალამაზიშვილი**
*მუსიკოსი, ჯგუფ „მგზავრების“ წევრი*



**გვქონდა შემოთავაზება, ჩვენი სიმღერის ტექსტები თარგმნილიყო რუსულ და უკრაინულ ენებზე,** რომ მსმენელისთვის უფრო გასაგები ყოფილიყო. ამას შეიძლება ფინანსურად მეტი შემოსავალი მოეტანა, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვით. **ჩვენ ვმღერით მხოლოდ ქართულ ენაზე და ზუსტად ეს არის ჩვენთვის საამაყო.**

„სარკე“

**ბარბარე სამხარაძე**
*„ნიჭიერის“ გამარჯვებული, მომღერალი*



6 წელი გავიდა, რაც გავიმარჯვე, გამარჯვებიდან **6-ჯერ არ მიმღერია ლაგოდეხში და, ზოგადად, კახეთში.** ყოველ წელს ჩადიან აწ უკვე ჩემი მეგობრები და ატარებენ კონცერტებს. **საწყენია, როცა შენს რეგიონში მეათასეხარისხოვანი ხარ,** წარმატების დროს კი ყველა ამაყად გიბრალებს, რომ მისი კუთხიდან ხარ.

„ახალი თაობა“

რომ კომუნიზმი შეუძლებელია. ერთიანობის შეგრძნება გაქრა, მორალური კოდექსი განუხორციელებელი აღმოჩნდა. და დაიწყო უზარმაზარი მასშტაბების ქურდობა. ციხეები გაივსო, ხალხი კი პარვას განაგრძობდა. და ვერანაირმა მკაცრმა სასჯელმა ეს პროცესი ვერ შეაჩერა.

წარმოვიდგინოთ ჩინოვნიკი. საკუთარი და ოჯახის ინტერესები მისთვის მუდამ სახელმწიფოს ინტერესებზე მნიშვნელოვანი იქნება. მაშასადამე, ის საწყისშივე კორუფციისთვის, ანუ საკუთარი ინტერესების სასიკეთოდ სახელმწიფო ინტერესების შელახვისათვის არის განწყობილი. დასკვნა? პირველი: ვაღიაროთ და მივიღოთ მისი უფლება საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობაზე. მეორე: ისეთი პირობები შევუქმნათ, როდესაც მისი საკუთარი ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს არ შელახავს. რა არის ამისათვის საჭირო? წახალისებისა და დასჯის სწორი სისტემა. **ჩინოვნიკმა უნდა იცოდეს, რომ მისი დაუდევრობა, გამყიდველობა ან პირდაპირი დანაშაული ადეკვატურ და გარდაუვალ სასჯელს გამოიწვევს.** ეს შესაძლებელია მკაცრი აღრიცხვიანობის, მუდმივი კონტროლის, სასჯელისათვის თავის არიდების შეუძლებლობის დროს. ამასთან, რა თქმა უნდა, ჩინოვნიკს ნორმალური ხელფასი უნდა ჰქონდეს.

**იმისათვის, რომ ჩინოვნიკმა სათანადოდ იმუშაოს, ჩემი აზრით, მხოლოდ სამი ფაქტორია საჭირო: ადეკვატური და გარდაუვალი სასჯელი, საღი წახალისება და ქვეყანაში ყველა ადამიანის გამაერთიანებელი იდეოლოგიის არსებობა, რელიგიური მსოფლმხედველობისა და ზნეობრივი საფუძვლების განვითარება.** ზნეობრიობა ერთდროულად წახალისების სისტემაც არის და დასჯისაც. თუ ჩინოვნიკი სახელმწიფოს გადარჩენისთვის მუშაობს და მისი ძალისხმევა მიღებულ ხელფასს მრავალჯერ აჭარბებს, ამით ის საკუთარ სულსაც იხსნის და შთამომავალთა სულებსაც.

დღეს რუსეთში იდეოლოგია არ არსებობს. აქ არც ზნეობრიობაა. რუსეთში ახლაღა ყალიბდება ჯანსაღი ეკონომიკა. სახელმწიფო თანამედროვე ჩინოვნიკს ზნეობრივ პრიორიტეტებს ვერ სთავაზობს. სახელმწიფო პასუხისმგებელ ჩინოვნიკებს ნორმალური ხელფასით ვერ უზრუნველყოფს. სახელმწიფოს არ შეუძლია სამართლიანი და გარდაუვალი სასჯელის უზრუნველყოფა. მაშასადამე, ჩინოვნიკს ისღა დარჩენია, პირადი საკითხები სახელმწიფო სავარძლის დახმარებით მოაგვაროს.

**ადამიანთა დიდი ჯგუფების ხანგრძლივი და აქტიური გმობა დროთა განმავლობაში უმძიმეს დაავადებებს იწვევს.** საზოგადოებაზე განაწყენება ქვეცნობიერებაში გაცილებით უფრო ღრმად აღწევს, ვიდრე მეზობელზე გაბრაზება. ამიტომ ვცდილობ, დავამტკიცო, რომ **ეკონომიკასა და პოლიტიკაში უმაღლესი თვალსაზრისით დამნაშავეები არ არსებობენ.** სიყვარულის უკმარისობა, განუვითარებელი აზროვნება და მსოფლმხედველობა ქმნიან იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარებას დამნაშავეების ძებნით ვცდილობთ. ეს კი სიძულვილის, გმობისა და სიყვარულის უარყოფის მუდმივი საბაბია. შესაძლოა, მიამიტი ვარ, იქნებ ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებშიც ცუდად ვერკვევი, მაგრამ **თუ მკითხველი საზოგადოებისა და ცალკეული ჩინოვნიკების გაკიცხვას დაძლევს, ეს სულის გაწმენდასა და სწორი მსოფლმხედველობის განვითარებაში გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. ჰარმონიული საზოგადოების შექმნას კი სწორედ ეს სჭირდება.**



# დიაგნოსტიკა

**– შეგვიძლია თუ არა, ვივარაუდოთ, რომ ღვთაებრივი სიყვარული ადამიანური ემოციაა (ადამიანური ფასეულობა), ოღონდ უფრო მაღალი რანგის და ფაქიზი დონისა, რომლის ფარგლებს ჯერ ვერავინ გასცდა? თუ ეს შესაძლებელია, ესე იგი, სიყვარულის გრძნობაზე ისე შეიძლება მოჭიდება, როგორც საშუალებაზე და არა როგორც მიზანზე! ანუ გამოდის, სიყვარულის გრძნობაც მიჯაჭვაა?**

— ადამიანურ სიყვარულში ყოველთვის არსებობს ღვთაებრივი სიყვარული, მაგრამ ის არ მჟღავნდება, შიგნით ღრმადაა ჩამალული. ადამიანური სიყვარული დროზე, სივრცეზე, გარემომცველ სამყაროზეა დამოკიდებული. ის გვარის გაგრძელებაზე, მაშასადამე, ურთიერთობებზე, სექსუალურ ცხოვრებაზეა მიბმული. ამიტომ მის ზედაპირულ ასპექტებს შეიძლება მივეჯაჭვოთ. ამას ყველა რელიგია ამბობს. **მაგალითად, ბჰაგავათ-გიტაში ნათქვამია, რომ ნებისმიერი ჯაჭვის გაწყვეტა შეიძლება, მაგრამ შვილებთან, ცოლთან და ნათესავებთან დამაკავშირებელი ჯაჭვი ხშირად ყველაზე ძნელად წყდება.**

რამდენადაც ადამიანი ცხოველია და ყოველთვის ასეთად დარჩება, რამდენადაც ის არა მარტო პლანეტაზე და სამყაროში სიცოცხლის აღმოცენების, არამედ თავად სამყაროს წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მატარებელია, სანამ უფალთან დაბრუნდება, გამუდმებით მოუწევს თავისი ცხოველური საწყისის დაძლევა და მისი ადამიანურად, შემდეგ კი ღვთაებრივად გარდაქმნა.

**რაც უფრო ნაკლებად არის სიყვარული დამოკიდებული მატერიალურ, სულიერ და გრძნობად ასპექტებზე, მით უფრო მეტად აბედნიერებს ადამიანს.** რამდენადაც მზად ვართ, უანგაროდ, ყოველგვარი უკუგებისა და მოთხოვნების გარეშე ვისწრაფოდეთ შემოქმედისადმი სიყვარულის გრძნობაში მასთან გაერთიანებას, იმდენად უფრო გაგვიადვილდება ვნებიანი, ცხოველური საწყისის ადამიანურად გარდაქმნა, მომხმარებლობის გაცემად გადაქცევა. იბადება კითხვა: როგორ განვსაზღვროთ, სიყვარულის გრძნობას განვიცდით თუ ეს ადამიანი, უბრალოდ, გვიზიდავს? პასუხი მარტივია. ამის განსაზღვრას ის შეძლებს, ვისაც სიყვარულის უნარი აქვს. ხოლო **იმისათვის, რომ სიყვარული ვისწავლოთ, მთელი ჩვენი ნება, ყველა სურვილი და აზრი, მთელი ენერგია პერიოდულად შემოქმედისადმი სიყვარულზე უნდა იქნეს კონცენტრირებული.** და როგორც ძველ აღთქმაში ითქვა, შემდეგ კი ახალში განმეორდა: „შეიყვარე უფალი შენი გულითა შენითა, სულითა შენითა და გონებითა შენითა“.

**– ათი წელია, თქვენს შრომებს ვკითხულობ. რა არის ადამიანის მთავარი ფუნქცია ღვთაებრივი სიყვარულის გრძნობასთან დაკავშირებით – მისი შენარჩუნება თუ გამოცდა? გამრავლება (გენერირება) თუ დაგროვება? ჩემთვის ეს ოთხი სხვადასხვა მსოფლმხედველობაა.**

— როდესაც სიყვარულის გრძნობა ჩვენს სულს მხოლოდ ეხება, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ის კიდევ ერთხელ განვიცადოთ. თუ სულს სიყვარულის უნარი ჯერ არა აქვს, მისი მთავარი მიზანი ამ გრძნობის განცდაა. ამისათვის კი საჭიროა, ვიცოდეთ მიტევება, თავშეკავება, ზრუნვა, ვისწავლოთ სამყაროს მთელი მისი ნაკლოვანებებით მიღება, თავის არიდება იმისათვის, რაც სულს ვნებს. როდესაც ამ გრძნობას მრავალჯერ განიცდით, მისი შენარჩუნება, ანუ რაც შეიძლება ხშირად განცდა უნდა ისწავლოთ. როცა ისწავლით, როგორ არ მოკლათ და არ უარყოთ სიყვარული, მისი გამრავლება, დაგროვება მოგინდებათ. როდესაც ის მყარი და მასშტაბური გახდება, საჭირო იქნება მისი განუწყვეტლივ გაცემა. ეს ყველაფერი ერთი და იგივეა, ოღონდ სხვადასხვა ეტაპზე. **სიყვარული, ენერგია, ზრუნვა განუწყვეტლივ უნდა გავცეთ. უფალს ის გამუდმებით და განუსაზღვრელად უნდა ვუძღვნათ, რადგან ის ყოველთვის შეივსება.** ხოლო ადამიანური თვალსაზრისით გაცემა იმით განისაზღვრება, რამდენად ძლიერია ჩვენი კონტაქტი ღმერთთან, ანუ რამდენად ყველაფრისაგან დამოუკიდებელია ჩვენი სიყვარული და რამდენად შეუძლია უწყვეტად არსებობა.



**– სიყვარული ემოციაა თუ ენერგიის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ადამიანის ემოციებისაგან დამოუკიდებლად არსებობს?**

— დროის ფარგლებს მიღმა სიყვარული ღვთაებრივია. დროის დასაწყისში სიყვარული ინფორმაციაა. შემდეგ — ენერგია, რომელიც მატერიას წარმოშობს. ემოცია პირველ რიგში დროს უკავშირდება. მასში არის ინფორმაცია, არის ენერგია და ჩანასახოვანი მატერია. ადამიანის ყველა ემოცია სიცოცხლის შენარჩუნებასა და გაგრძელებაზე დაიყვანება. ისინი ზედაპირულ, დროებით პროცესებს უკავშირდება. სიყვარულის გრძნობაში დრო შეკუმშული, დაპრესილია. რაც უფრო ძლიერია ეს გრძნობა და რაც ნაკლებად არის დამოკიდებული გარემომცველ სამყაროზე, მით მეტად არის მასში შეკუმშული დრო, სივრცე, ნივთიერება და ენერგია. **ღვთაებრივ სიყვარულში მთელი სამყარო ერთ წერტილშია მოქცეული,** და იქ არ არსებობს სხვაობა მატერიას, სივრცეს, ენერგიას, დროსა და ინფორმაციას შორის. **ცოცხალი არსების სიყვარულის განვითარება მისი სიყვარულის უნარის განვითარებაა,** რაც საბოლოო ჯამში აბსოლუტურ ღვთაებრივ სიყვარულთან აახლოებს.

**სამყარო ღმერთისაგან წარმოიშობა, ღმერთისაკენ მიილტვის და ღმერთში ბრუნდება.**



## კვირგვინოსნები

**თაკო ჭანუყვაძე**
*მსახიობი*



**სამზარეულოში ბზრიალი არ მიყვარს.** არ ვამბობ, რომ დრო არ მრჩება ამისთვის, თუმცა, უბრალოდ, არ მიყვარს და არ ვაკეთებ. **ჩემს მეუღლეს ეს არასდროს გაუპროტესტებია, კარგი ბიჭია.** „თბილისელები“

**ეკა ჩხეიძე**
*მსახიობი*



არ მესმის იმ ქალების, რომლებიც **რქებს საკუთარი ხელით იდგამენ.** როდესაც ქმარი მეუღლის მთავარ მოვალეობად ქმრის მომსახურებას მიიჩნევს, **სურვილი მიჩნდება, ასეთ კაცებს კისერი მოვუგრიხო.** „კვირის პალიტრა“

**გოგოლა კალანდაძე**
*მსახიობი*



მე ვიყავი **მიშისტი,** ამის თქმის **არც მრცხვენია, არც მეშინია,** ამ კაცმა რეალურად გვაცხოვრა და ვერ დავინახეთ. „ალია“

**ჯულიანა ბარბ-ნარი**
*მოცეკვავე*



**ბავშვობიდან ვგრძნობ, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული.** „სარკე“

**ლელა წერეთელი**
*მუსიკოსი*



მამა მეუბნებოდა, **კარგ მომღერლობას და ცუდ ადამიანობას, კარგი ადამიანობა სჯობს,** ამ ცხოვრებაში სახელზე კარგი არაფერიაო. „თბილისელები“

**ნუცა კაკანაძე**
*მსახიობი*



მე ვინც მიყვარდა, **დავშორდი.** ორი ადამიანი მიყვარდა ძალიან და ორივეს ჩემი სიჯიუტის გამო **დავშორდი.** „თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგია და შინაგანი სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნება

*— პირად ნათალურ რუკაზე მთვარის რომელ ზოდიაქოში ან ასტროლოგიურ სახლში განლაგების შემთხვევაშია ადამიანისათვის შინაგანი წონასწორობის აღდგენისა და სიმშვიდის მოსაპოვებლად წამლის ტოლფასი შრომის პროცესი და სხვა ადამიანებზე თუ ცხოველებზე ზრუნვა? ვის ესაჭიროება ამ მიზნით გვერდით მუდამ ერთგული პარტნიორი? ვის თრგუნავს მარტოობა და უბრუნებს სიმშვიდესა და უსაფრთხოების შეგრძნებას ირგვლივ გარემოს გალამაზება, გარდერობის განახლება და საზოგადოებაში ყოფნა? ჰოროსკოპში მთვარის რომელ ზოდიაქოში ან ასტროლოგიურ სახლში განლაგებისას ეუფლება ადამიანს შეგრძნება, თითქოს გარშემო არარეალური, ფანტასტიკური სამყაროა? ვის არ აშინებს ცვლილებები, კრიზისი კი უფრო მეტად აძლიერებს და ახალი ქმედებებისკენ უბიძგებს? ვისთვის არის სასურველი ირგვლივ არსებული გარემოს წმენდა და დრომოჭმული კავშირებისა და ნივთებისგან გათავისუფლება? შინაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლად ვის ევალება, ადამიანებს გაუზიაროს ცოდნა, გამოცდილება, დაეხმაროს და რჩევები უხვად დაარიგოს? ვისთვის არის განსაკუთრებით განკურნებადი ძალის შემცველი მოგზაურობა, ახლის შეცნობა, სულიერი პრაქტიკა, ლოცვა და მედიტაცია? ვის შინაგან მდგომარეობაზე იმოქმედებს პოზიტიურად ავტორიტეტის მოპოვება და პოპულარობა? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* მიხეილ ცაგარელი *გვესაუბრება.*

## 25 აპრილი -1 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
შესაძლოა, ამ პერიოდმა არასასიამოვნო შეგრძნება დაგიტოვოთ. ბევრი რამ გაურკვეველი იქნება. თქვენი გეგმის განსახორციელებლად ახალი თანამოაზრენი დაგჭირდებათ და ყოველი ნაბიჯი ზუსტად უნდა გათვალოთ. გამჭრიახობა დაგეხმარებათ ინტელექტუალურ საქმიანობაში. მოგზაურობა არ არის რეკომენდებული. ოჯახში მიმდინარე მოვლენების გამო საწადლის მიღწევა რთული იქნება. ფინანსური საკითხი საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას დაძაბავს.

**კურო** (21.04-20.05)
მიზნის მისაღწევად არახელსაყრელი პერიოდია, რამეთუ პარტნიორები არ დაგეხმარებიან და მოქმედება დამოუკიდებლად მოგიწევთ. შესაძლოა, ახლობელთა პრობლემურ ანდა კონფლიქტურ სიტუაციაში გარკვევა მოგიწიოთ. ფინანსური მდგომარეობა სტაბილური არ იქნება, რის გამოც ხარჯების კონტროლი მოგიწევთ. მგზავრობა — დამღლელი, ხოლო უცნობებთან კონტაქტი გამაღიზიანებელი იქნება. ეს კვირა ჯობს, დაუთმოთ დასვენებას და ყოფითი პრობლემების გადაწყვეტას.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ახალ საქმეში და ფინანსურ საკითხში შესაძლოა, წინსვლა დროებით შეფერხდეს. ახალი საქმიანი კავშირის დამყარებაც არ არის რეკომენდებული. ზედმეტად ნუ იოცნებებთ, მხოლოდ რეალური გეგმები დაისახეთ. ეს კვირა კარგია მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის. სასიყვარულო პარტნიორის მიმართ თქვენი დამოკიდებულება შეიცვლება. შესაძლოა, ყოველივე ძველის დანგრევა და ახალი კავშირის დამყარება მოისურვოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ნუ გარისკავთ და ინტუიციას მეტად ენდეთ. ახალ საქმეში ახალი ტექნოლოგიები გამოიყენეთ. საქმიან პარტნიორთან, ახლობელთან ან ოჯახის წევრთან კამათს ცუდი შედეგი მოჰყვება. აგრესიისგან დაცლის მიზნით რეკომენდებულია ფიზიკური ვარჯიში. სასიყვარულო ურთიერთობა კი შესაძლოა, ეჭვიანობის ნიადაგზე დაიძაბოს. მოგზაურობისას შესაძლოა, არაერთმნიშვნელოვანი ფაქტების მომსწრე გახდეთ. ჯანმრთელობის საკითხს ყურადღების მიღმა ნუ დატოვებთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ყველა საქმეს მეთოდურად და სიფრთხილით მიუდექით. შესაძლოა, მოგიწიოთ საკუთარი ინტერესისა და სურვილის დაცვა, რადგან ძველი კონკურენტები გამოჩნდებიან, რომლებიც გარკვეულ წინააღმდეგობებს შექმნიან. ავანტიურასა და ინტრიგებს მოერიდეთ, რამეთუ დეტალებში გარკვევა გაგიჭირდებათ. ახალი სამსახურის მოძიებისა და უცხოეთში მოგზაურობისთვის არახელსაყრელი პერიოდია. ჯობს, ეს კვირა სახლის საქმესა და დასვენებას დაუთმოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
არაერთგვაროვანი პერიოდია, ამიტომ წვრილმანების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. ფინანსურ საკითხთა მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას ითხოვს. გართობისა და დასვენებისთვის ბევრი ფული დაგჭირდებათ, მაგრამ ეცადეთ, არ ინერვიულოთ, რათა ორგანიზმს არ ავნოთ. გადაადგილებების დროს სიფრთხილე გამოიჩინეთ. გადაწყვეტილებების მიღებისას დიდხანს ნუ იყოყმანებთ, რათა გაუგებრობამ თქვენს ნერვულ სისტემას ზიანი არ მიაყენოს.

## 25 აპრილი -1 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მიზნის მისაღწევად ბევრი შრომაა საჭირო, მაგრამ შეეცადეთ, გონება ზედმეტად არ გადაღალოთ. პარტნიორებთან ერთად შესაძლოა, სერიოზული წინააღმდეგობების გადალახვა მოგიწიოთ. იმპულსური მოქმედების შემთხვევაში, გარემოებაზე დამოკიდებული გახდებით. საქმე სწრაფ მოგებას ვერ მოგიტანთ, ამიტომ ყურადღება ხანგრძლივ პროექტზე გაამახვილეთ. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ, რათა ხიფათს თავი არიდოთ. ჯანმრთელობასა და სწორ კვებას მეტი ყურადღება დაუთმეთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
შემოქმედებას, გართობასა და ახლობლებთან ურთიერთობას ბევრ დროს დაუთმობთ. წარმატების მისაღწევად მოერიდეთ ფინანსურ გარიგებას, რისკსა და აზარტულ თამაშებს. სამსახურს პირადი მიზნებისთვის ნუ გამოიყენებთ. ოჯახურ და სასიყვარულო კავშირს დიდ პრობლემას შეუქმნის ეჭვიანობა და მომთხოვნელობა. შორეული მოგზაურობა ამ პერიოდში არ არის მიზანშეწონილი.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მიმდინარე მოვლენები დიდწილად თქვენს მსოფლმხედველობას შეცვლის. როგორც პირად, ისე საქმიან ურთიერთობაში, შესაძლოა, არაკეთილსინდისიერებასა და სიცრუეს შეეჯახოთ, რაც კონფლიქტის მიზეზი გახდება. მშობლის ზედმეტი ყურადღება, შესაძლოა, გამაღიზიანებელიც გახდეს. შორეულ მოგზაურობასა და ენერგიის უმიზნოდ ხარჯვას მოერიდეთ. გზებზე გადაადგილებისას განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა არ დაშავდეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თქვენი ცხოვრებისეული შეხედულებების ტრანსფორმაცია მოხდება. შესაძლოა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა საკითხმა უფრო მეტად დაგაინტერესოთ. თქვენი საქმიანობა არსებულ ფინანსურ მდგომარეობას გაგიმყარებთ. სასიკეთოა განათლების მიღება, კონტაქტების დამყარება, პარტნიორებთან ურთიერთობის გაუმჯობესება და ასევე ოჯახში მშვიდი გარემოს დამკვიდრება. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად მოერიდეთ შორეულ მოგზაურობასა და ხალხმრავალ ადგილებს.

**მერწყული** (20.01-18.02)
საეჭვო პროექტებისგან თავი შეიკავეთ. გარისკვისა და ძალისმიერი ქმედებებისთვის არახელსაყრელი დროა. ასევე უმჯობესია, უარი თქვათ ახალი საქმის დაწყებაზე, კრედიტისა და ვალის აღებაზე. კრიტიკული სიტუაციების რაოდენობა გაიზრდება, ამიტომ ეცადეთ, ემოციურად მდგრადი იყოთ. ფიზიკური ამტანობის დაქვეითების შემთხვევაში დროულად მიმართეთ ექიმს და ხშირად დაისვენეთ. პირადი და სასიყვარულო ურთიერთობებისას მეტი თავშეკავება გამოავლინეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
ილუზიებს მოერიდეთ და პირად თუ საქმიან საკითხებში მეტი პრაქტიკულობა გამოავლინეთ. პირადმა ან სხვისმა უსიამოვნებებმა, შესაძლოა, წონასწორობა დაგირღვიოთ. სასურველია, ნებისმიერი ურთიერთობისას უფრო გულგახსნილი იყოთ, რათა ცვლილებამ მხოლოდ დადებითი შედეგი მოიტანოს. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ. მოგზაურობისას ბევრ ადამიანს გაიცნობთ. ახალი ინფორმაციები და მშვენიერი საჩუქრები ყოფას გაგიხალისებთ.

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ პირად ჰოროსკოპში მთვარის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში ან ასტროლოგიურ სახლში განლაგებისას ადამიანს რა დაუბრუნებს უსაფრთხოების შეგრძნებას და მოუხსნის შინაგან დაძაბულობას?**

— **6. თუ მთვარე ადამიანის პირად ჰოროსკოპში განლაგებულია ქალწულის ზოდიაქოში ან მეექვსე ასტროლოგიურ სახლში, შინაგანი სიმშვიდის დასაბრუნებლად საკმარისი იქნება, რაიმე საქმე აკეთოს, სხვა ადამიანს ემსახუროს, დაეხმაროს, უმკურნალოს** (თუ სამედიცინო სფეროში მოღვაწეობს). ნიშანდობლივია, რომ ეს ადამიანი საკმაოდ ემოციურია და გარემოებათა ზეგავლენას ადვილად ექვემდებარება, თუმცა, საკმარისია, გაიხსენოს მოვალეობა, რაიმე ვალდებულება და საქმე, რომელიც არ დაუსრულებია, რომ უმალ დაავიწყდება, რაც აღელვებდა და სამუშაო პროცესში სრულფასოვნად ჩაერთვება. **ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანს სამუშაო არამხოლოდ შინაგან კმაყოფილებას გაუძლიერებს ანდა შემოსავალსა და პატივისცემას მოუტანს, არამედ წამლის ფუნქციას შეასრულებს და ერთგვარი თერაპია იქნება.** გარდა ამისა, ამგვარი ასტროლოგიური მონაცემის მქონე ადამიანს შინაგანი წონასწორობისა და სიმშვიდის მოპოვებაში დიდ დახმარებას გაუწევენ ცხოველები. მათზე ზრუნვა მას პრობლემებს დაავიწყებს და ბედნიერებას მიანიჭებს ცხოველისგან ერთგულების გამოხატვა, მაცოცხლებელ სტიმულს მიაწვდის, ამიტომ კარგი იქნება, თუკი სახლში ერთი ან რამდენიმე შინაური ცხოველი ეყოლება.

**7. პირად ჰოროსკოპში მთვარის სასწორის ზოდიაქოს ნიშანში ან მეშვიდე ასტროლოგიურ სახლში განლაგების შემთხვევაში, შინაგანი სიმშვიდისა და იდილიისათვის ამ ადამიანს აუცილებლად პარტნიორი ესაჭიროება, რომელიც იარსებებს არა აბსტრაქტულად, განყენებულად, არამედ მასთან ერთად იცხოვრებს, გვერდით დაუდგება და ჭირსა თუ ლხინს გაიზიარებს.** თუ ამგვარი თანამოაზრე პარტნიორი ბუნებაში არ არსებობს, მაშინ მას შინაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლად და ჰარმონიულობისთვის დასჭირდება ესთეტიკურობა, ირგვლივ გარემოსა და საკუთარი თავის გალამაზება, ახალი სამოსის შეძენა და გარდერობის შეცვლა. გარდა ამისა, ამგვარი ადამიანი ხშირად უნდა იმყოფებოდეს საზოგადოების გარემოცვაში, სხვადასხვა წრის ადამიანებს უნდა ხვდებოდეს. ნიშანდობლივია, რომ მარტოობა მას ძალიან დათრგუნავს და შინაგან მდგომარეობას უფრო მეტად დაუმძიმებს. საჭირო მომენტში კარგ დახმარებას გაუწევენ მეგობრები და ნაცნობები, რომლებიც არ დაიზარებენ მასთან ურთიერთობას, საუბარს ანდა პარტნიორობას გაუწევენ სხვადასხვა ადგილის მონახულებისას თუ ვიზიტების დროს.

**8. პირად ჰოროსკოპში ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშანში ან მერვე ასტროლოგიურ სახლში მთვარის განლაგების შემთხვევაში კი ადამიანს შინაგანი სიმშვიდის დარღვევისას, შესაძლოა, ისეთი შეგრძნება დაეუფლოს, თითქოს ირგვლივ ხდება რაღაც სრულიად ფანტასტიკური, სიურრეალისტური რამ. თუმცა, თუ იგი ცოტა ხნით მაინც საკუთარ თავს ჩაუკვირდება, აღმოაჩენს, რომ ამგვარი მდგომარეობა თითქოს ოდნავს მოსწონს კიდეც.** ნიშანდობლივია, რომ ამაღელვებელი ცვლილებების შეგრძნება მასში შფოთვას გამოიწვევს. თუმცა, ძლიერი ინტუიციის წყალობით, წინასწარ გრძნობს მომავალ ცვლილებებს, მრავალფეროვანი მოვლენების სიახლოვეს. მას ძალიან მოსწონს სიმშვიდე და ჩვეული ცხოვრების წესი, მაგრამ სიახლის, მოვლენათა ორომტრიალის მოლოდინი, ერთდროულად შინაგან წონასწორობასაც ურღვევს და ინტერესსაც უღვიძებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა ადამიანმა სხვებზე უკეთესად იცის, რომ ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, გარკვეული ცვლილებების გარეშე შეუძლებელია. ამიტომაც ცვლილებების ნაკლებად ეშინია. კრიზისი კი მას უფრო მეტად გააძლიერებს და ახალი ქმედებებისთვის ძალას მისცემს. **ასეთმა ადამიანმა, იმისთვის, რომ თავი უფრო ენერგიულად იგრძნოს, სამყაროს უნდა მიენდოს, შიში დათრგუნოს და სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედოს. სწორედ ასეთ დროს ავლენს იგი ყველაზე უკეთ თავის შესაძლებლობასა და უნარს.** რაც უფრო მეტად ჩაებმება ცხოვრების ფერხულში და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივ პროცესში, მით უფრო თავდაჯერებულად და კომფორტულად იგრძნობს თავს. სასურველია, ასევე მან პერიოდულად ირგვლივ არსებული გარემო გაწმინდოს და გათავისუფლდეს საეჭვო ადამიანებისგან, დრომოჭმული ნივთებისგან, არაფრის მომცემი ურთიერთობებისგან, გამოუსადეგარი ჩვევებისა და მიჯაჭვულობებისგან. მან უნდა შეძლოს და განაახლოს ყველაფერი, რაც ამას საჭიროებს. ასეთ შემთხვევაში შინაგანად გაცილებით მშვიდად და კომფორტულად იქნება.

**9. ადამიანს, რომელსაც პირად ჰოროსკოპში მთვარე განლაგებული აქვს მშვილდოსნის ზოდიაქოში ან მეცხრე ასტროლოგიურ სახლში, შინაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლად ევალება, სამყაროს გაუნაწილოს ყველაფერი, რაც მენტალური თვალსაზრისით გააჩნია, ანუ ადამიანებს გაუნაწილოს ცოდნა, გამოცდილება, რჩევები უხვად დაარიგოს და დაეხმაროს მათ, ვინც ამას ითხოვს. სწორედ ამ გზით შეძლებს სულიერი წონასწორობის მიღწევას.** გარდა ამისა, პოზიტიურ შედეგს მოუტანს დამატებითი ცოდნის მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების, ახლის შეცნობის, ინფორმაციის მიღებისა და დაგროვების პროცესი. კარგია, როდესაც ამგვარ ადამიანს აქვს სადმე გამგზავრების, ახლის ნახვის, ახალ-ახალი ადამიანების, კულტურის, რელიგიის გაცნობის საშუალება, მაგრამ, თუ ამის საშუალება არ გააჩნია, მაშინ დადებით შედეგს მოუტანს ვირტუალური ტურები სხვადასხვა მუზეუმში, სხვადასხვა ადგილის 3D პანორამების დათვალიერება, საინტერესო წიგნის კითხვა და დოკუმენტური ფილმების ყურება. ყოველივე ეს მის შინაგან სამყაროზე, გონებაზე, მენტალურ ბუნებაზე მეტად დადებითად აისახება. მისთვის განსაკუთრებით დადებითი და განკურნებადი ძალის მქონეა სულიერი პრაქტიკა, იოგა, ლოცვა, მედიტაცია, რელიგიურ საკითხებში ჩაღრმავება. კიდევ ერთი რამ, რაც ყოველთვის პოზიტიურად იმოქმედებს მის შინაგან მდგომარეობაზე, არის მაღალი ავტორიტეტი და პოპულარობა.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**25,29,30 აპრილი და 1 მაისი**

**30 აპრილი – ახალმთვარეობა და მზის დაბნელება (23.42);**
**16 მაისი – სავსემთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 25 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.06 საათზე, ჩადის 18.52 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.16) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 02.52 საათზე, ჩადის 13.02 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 05.17 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.33 საათიდან 14.16 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ჯანმრთელობას გაუფრთხილდით! ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, ამიტომ ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. ზედმეტი ემოციები და აგრესიულობაც დაიოკეთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ახალ ტექნოლოგიებთან ურთიერთობისთვის, რეფომატორული საქმიანობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, უძრავი ქონების შესაძენად, სახლის მშენებლობისთვის, რემონტისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლური სასმლის, ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმის წარმოება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ახალი ფეხსაცმლის შეძენა ან ჩაცმა. შესაძლებელია ნდობით აღსავსე კავშირის დამყარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ფეხის კუნთები, ტერფები. **ქვები:** საფირონი, ძოწი, აკვამარინი, მარგალიტი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 26 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.05 საათზე, ჩადის 18.54 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 03.21 საათზე, ჩადის 14.13 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 05.29 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შესაძლებელია ძველი პრობლემის ახლებურად გადაწყვეტა. სასიკეთოა და ეფექტური კუჭ-ნაწლავისა და ლიმფური სისტემის მკურნალობა, ბალახზე ფეხშიშველი სიარული. მოჭარბებული სექსუალური ენერგიის გამო ეცადეთ, ემოციები დაიოკოთ. პარტნიორთან მოსალოდნელია კამათი საერთო გეგმასთან დაკავშირებით. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, ქველმოქმედებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, საზოგადოების წინაშე გამოსვლისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ალკოჰოლური სასმელებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმის წარმოება, სესხის აღება ან გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 27 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.03 საათზე, ჩადის 18.55 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.11) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 03.45 საათზე, ჩადის 15.21 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 05.38 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.36 საათიდან 20.11 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ინტუიციას დაეყრდენით. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ, უფრო მეტად სხვებს მოუსმინეთ. შეყვარებულის მიმართ მეტი ყურადღება გამოავლინეთ. კარგი დღეა ძველი და უსარგებლო ნივთებისგან გასათავისუფლებლად, შემოქმედებისთვის, სპონსორის მოძიებისთვის, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქველმოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, კონტრაქტის დასადებად. არ არის სასურველი თვალების გადაღლა, სესხის აღება ან გაცემა, ახალი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება, საიდუმლო საქმის წარმოება, წესების დარღვევა, ახალი ფეხსაცმლის ჩაცმა ან ყიდვა, თავის დაბანა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა, თავი, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, მარჯანი, ამეთვისტო, გიშერი. **საღამოს** — ლალი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 28 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.02 საათზე, ჩადის 18.56 საათზე. **მთვარე ვერძის** ზოდიაქოშია. ამოდის 04.08 საათზე, ჩადის 16.27 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 05.46 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები: სასიკეთოა ლოცვა და მედიტაცია.** პარტნიორულ ურთიერთობაში იმატებს ურთიერთპრეტენზიები, განაწყენება, ეჭვიანობა, ინტერესთა შეჯახება, კამათი. დღეს ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. კარგი დღეა მგზავრობისთვის, მოგზაურობისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ეფექტურია თირკმლების, შარდის ბუშტის მკურნალობა. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას, პროვოკაციებს. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, წესების დარღვევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ფირუზი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 29 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.01 საათზე, ჩადის 18.57 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 17.33 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 05.54 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები**: ხვალინდელი **მზის დაბნელების** წინადღეს ჯობს, მოვერიდოთ სულიერ და ფიზიკურ გადაღლას, სარისკო ქმედებას, ზედმეტად ენერგიის დახარჯვას, ახალი საქმის დაწყებას. დღეს დიდი კოსმოსური ენერგიების მმართველი პლანეტა **პლუტონი** რეტროგრადული ხდება (5 ოქტომბრამდე), რაც გაზრდის აურის დაბინძურების, თვალისცემის ალბათობას. მგრძნობიარე ადამიანები უნდა მოერიდონ ხალხის მასაში ყოფნას, მიწისქვეშა კომუნიკაციებს (მეტროს, მღვიმეს, გამოქვაბულს), ექსტრასენსულ მკურნალობას. სასიკეთოა მედიტაცია, იოგის სისტემით ვარჯიში. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, შარდის ბუშტისა და თირკმლების მკურნალობისთვის. არ არის სასურველი სიჯიუტე, სულსწრაფობა, აგრესიულობა, კამათი, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, წესების დარღვევა, პლასტიკური ოპერაცია, სტომატოლოგიური პროცედურები, თვალების გადაღლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, გიშერი, წითელი იასპი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 30 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.59 საათზე, ჩადის 18.58 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.42) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.51 საათზე, ჩადის 18.38 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 06.03 საათზე. **ახალმთვარეობაა, პიკი** — 23.28 საათზე, **მზის დაბნელება, პიკი** — 23.42 საათზე, მთვარის პირველი დღე და ფაზა იწყება 23.28 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალმთვარეობა და **მზის დაბნელებაა,** რაც ხელს შეუწყობს ფინანსების სფეროში ხარისხობრივ ცვლილებებს. დღეს მზისა და მთვარის ენერგიათა შეერთება, მათ შორის, პლანეტა **ურანთან** და **აღმავალ კარმულ კვანძთან,** განაპირობებს ცდუნებებს, შეცდომებს, სიჯიუტეს, ტრავმებს, ავარიებს, კონფლიქტებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. განეწყვეთ პოზიტიურად. სასიკეთოა ლოცვა, ოთახებში სანთელ-საკმევლის შემოტარება. კარგი დღეა კულტურული ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ხალხის მასაში ყოფნა, სარისკო ქმედება, ქირურგიული ოპერაციები, ქორწინება, რაიმეს შეძენა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, კისრის მკვეთრი მოძრაობა, კრიტიკა, ცივი სასმლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, გიშერი, ონიქსი, მალაქიტი, მწვანე იასპი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 1 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.58 საათზე, ჩადის 18.59 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 05.15 საათზე, ჩადის 19.43 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 06.13 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და გონების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში (23 მაისამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, უცხო ენის ათვისების უნარს, ახალი საინტერესო ინფორმაციების მოძიებას, მოლაპარაკებისკენ, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას და ასევე სულსწრაფობას, გაორებას, ჭორებისკენ და ფლირტისკენ მიდრეკილებასაც. დღეს პროვოკაციას მოერიდეთ. არ არის სასურველი გარისკვა, განკითხვა, ყვირილი, სულსწრაფობა, ზედმეტი სითხის მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა; ეს დღე აღსავსეა ილუზიებითა და გაუგებრობებით. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად, მგზავრობისთვის, მშენებლობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, კულტურული ღონისძიებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, ქრიზოპრაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.



# საეკლესიო კალენდარი

✝ **25 აპრილი. ორშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი.** ღირსისა ბასილი აღმსარებელისა, პარიელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ზენონისა, ვერონიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ისააკ ასურისა, იტალიის სპოლეტს; ღირსმოწამეთა: მინასი, დავითისა და იოანესი; ღირსისა ანთუსა ქალწულისა; ღირსისა ათანასია იღუმენიასი.

✝ **26 აპრილი. სამშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი. დღესასწაული ივერიის ღმრთისმშობლის ხატისა;** ექვსი ათასთა ღირსმოწამე მამათა, დავითგარეჯის უდაბნოში მოწყვეტილთა; მღვდელმოწამისა არტემონისა, ლაოდიკიელი ხუცისა; მოწამისა კრისკენტისა, მირონლუკიელისა; მოწამისა თომაიდა ეგვიპტელისა.



26 აპრილი - დღესასწაული ივერიის ღმრთისმშობლის ხატისა

✝ **27 აპრილი. ოთხშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი.** კრება ღირსთა მამათა, სინას წმიდა მთაზე მოსაგრეთა; წმიდისა მოწამისა დიმიტრისა; მარტინე აღმსარებელისა, რომის პაპისა; მოწამეთა: ანტონი, იოანე და ევსტათი ლიტველთა; მოწამისა არდალიონისა; მოწამეთა 1000-თა სპარსელთა და აზატი საჭურისისა.

✝ **28 აპრილი. ხუთშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათი.** მოციქულთა 70-თაგანთა: არისტარქესი, პუდესი და ტროფიმესი; მესუკაველ მოწამეთა: სუქიასი და ათვრამეტთა მოყვასთა მისთა: ლუკიანესი, პოლიევქტოსი, კოდრატესი, იქდიოქისი, სვიქირიონისი, მენასი, ფოკასი, სვირჯისი, დომენტისი, ანდრიანესი, ზოსიმესი, ბიქტორისი, თალალესი, იორდანესი, ანასტასიასი, თეოდორიტესი, იაკობისი და თევდოსისი; მოწამეთა: ბასილისასი და ანასტასიასი; მოწამისა საბა გუთელისა.

✝ **29 აპრილი. პარასკევი. ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი. დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „წყარო ცხოვრებისა“;** ქალწულმოწამეთა: აღაპიასი, ირინესი და ქიონიასი; მოწამეთა: ლეონიდესი და დედათა: ქარიესისა, ნიკეასი, გალინასი, კალისასი, ნუნექიასი, ბასილისასი და თეოდორასი; მოწამისა ირინესი.

✝ **30 აპრილი. შაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის შაბათი.** თბილისის სიონში თავად გივი ამილახვრის სულის საოხად ჟამი შეიწირვის; წირვის შემდეგ არტოსის განტეხა და დარიგება; ეფრემ დიდისა, მაწყვერელისა; მღვდელმოწამისა სვიმეონისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და მისთანა მოწამეთა: ავდელი და ანანია ხუცესთა, ქუსდაზატ საჭურისისა, ფუსიკისა, აზატისა, ასკიტრეასი და სხვათა მრავალთა; ღირსისა აკაკისი, მელიტინელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ზოსიმესი, სოლოვეცკელი იღუმენისა; მოწამისა ადრიანესი; აღაპიტესი, რომის პაპისა.

✝ **1 მაისი. კვირა. აღდგომიდან მე-2, მოციქულ თომას კვირიაკე. აღდგომის განახლება. კვირაცხოვლობა;** ღირსისა ბასილი რატიშვილისა; ღირსისა იოანესი, ღირსი გრიგოლ დეკაპოლელის მოწაფისა; მოწამეთა: ბიქტორისი, ზოტიკისი, ზენონისი, აკვინდინესი და სევერიანესი; კოზმან აღმსარებელისა, ქალკედონელი ეპისკოპოსისა და ღირსისა ავქსენტისა; მოწამისა იოანე ახლისა, იოანინელისა.


# იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com



* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა



GIDMEDI
GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

# გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



# მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.



მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ქართუ; 8. სედანი; 11. ლუნატიკი; 12. რაცია; 13. ლიდია; 14. მეკარე; 15. სალამური; 16. ნიელო; 17. ლისტი; 18. რულონი; 19. კავატინა; 23. რეპი; 24. ტიკი; 26. გვის; 28. კარანტინი; 29. მინელი; 32. პანდა; 33. დეი; 34. ორიგინალი; 39. ლავრა; 40. მოდა; 42. ნესტო; 43. თხილნარი; 44. ლილა; 46. სეკუნდი; 47. პიცა; 49. ფილაქანი; 53. ხერგი; 54. ბოლიდი; 57. ნეფე; 58. კომედია; 59. სინა; 61. დიკენსი; 62. გია; 64. როტონდა; 65. სანდინო; 66. გრიგალი; 67. აგა.

**შვეულად: 1. სუტანა; 2. გაბანა; 3. თიკუნი; 4. ქილილა; 5. რადისტი; 6. ურანი; 7. აცტეკები; 8. სამორინე; 9. დეკალოგი; 10. ნარინჯი; 19. კაკაო; 20. ვერპი; 21. ტანკი; 22. ნაირა; 24. ტიპი; 25. კანჯო; 27. სპინოზა; 29. მალა; 30. ნავოი; 31. ლიანა; 33. დოსტი; 35. რახსი; 36. გალუა; 37. ნიასა; 38. ლუისი; 40. მიკრო; 41. დონგი; 44. ლიხი; 45. ლერწი; 47. პინა; 48. ციფრი; 49. ფაკირი; 50. ლიმიტი; 51. ქედანი; 52. ნიადაგ; 54. ბაკმი; 55. ლონდა; 56. დაისი; 59. სონი; 60. ნაია; 62. გოა; 63. ასა.**

ფანტაზიანიპელიკანიბალიშივაკისისინიორაგული
ანტრესოლიტერილენინისიათათარაზოილიადამიოშა

| ოცნება | მილების გადასაბმელი მილაკი | კაციჭამია, ველური | იაპონური ფირმა | გველის ხმიანობა | თევზის სახეობა |
|---|---|---|---|---|---|

| ერთგვარი სასმელი (ტკბილი) | ვნება, ზარალი | ვარხვი | ლოგინის ნაწილი | ყრილი, რომელზეც რელსებია დაგებული | იტალიელი ქალბატონი | ამურის სამიზნე |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. ერთ-ერთი ქართული ბანკი; 8. დახურული მსუბუქი ავტომობილის ტიპი; 11. მთვარეული; 12. გადასატანი მცირე სიმძლავრის მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 13. მცირე აზიის ძველი სახელმწიფო; 14. ფეხბურთელის ამპლუა, გოლკიპერი; 15. ლერწმის ჩასაბერი საკრავი; 16. მოსავადების ტექნიკა; 17. უნგრელი კომპოზიტორი; 18. რისამე გრაგნილი; 19. პატარა ლირიკული არია; 23. მიმდინარეობა მუსიკაში; 24. სახის კუნთების უნებლიე კრუნჩხვა; 26. ახალი ცოცხი კარგად ... (ანდ.); 28. გადამდები სნეულებით დაავადებულთა დროებითი იზოლაცია; 29. ამერიკელი მსახიობი, მომღერალი ქალი; 32. ჰიმალაის დათვი; 33. ამერიკელი მომღერალი ქალი; 34. დედანი; 39. მამათა დიდი მონასტერი; 40. სეზონის გაბატონებული გემოვნება; 42. ცხვირის ნაწილი; 43. ადგილი, სადაც ბევრი თხილის ბუჩქია; 44. ლურჯი საღებავი; 46. წამი (მოძვ.); 47. იტალიური ღვეზელი; 49. ქვის ფილების ტროტუარი; 53. ერთ ადგილზე მოგროვილი წაქცეული ხეები ტყეში; 54. დიდი, მეტისმეტად კაშკაშა მეტეორი; 57. მექორწილე ვაჟი; 58. სასაცილო სიუჟეტის დრამატული ნაწარმოები; 59. მავთული; 61. ინგლისელი მწერალი; 62. კვარტეტი „ოთხი ..."; 64. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 65. ნიკარაგუის ეროვნული გმირი; 66. ქარიშხალი; 67. დიდი გომბეშო.

შვეულად: 1. კათოლიკე სასულიერო პირების გრძელი შესამოსელი; 2. იტალიელი დიზაინერი, დოლჩეს მეწყვილე; 3. მეტსახელი; 4. ... და დამანა (ლიტ.); 5. რადიოთი ცნობების გადაცემა-მიღების სპეციალისტი; 6. რადიოაქტიური ელემენტი; 7. მექსიკის ინდიელები, რომლებმაც შექმნეს იეროგლიფური დამწერლობა; 8. კაზინო; 9. ბიბლიის ათი მცნება; 10. ციტრუსოვანი მცენარე; 19. შოკოლადის ხე; 20. დამხმარე ღუზა გემზე; 21. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 22. მწერალი ... გელაშვილი; 24. იგივეა, რაც ვიგვამი; 25. პატარა ნიჩბიანი ნავი; 27. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი; 29. ხერხემლის ძვალი; 30. უზბეკი პოეტი, მოაზროვნე; 31. ხვიარა მცენარე; 33. ამხანაგი; 35. შავ-მოწითალო, წაბლისფერი ცხენი; 36. ფრანგი მათემატიკოსი; 37. ტბა მოზამბიკში; 38. ამერიკელი მწერალი; 40. სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს ძალიან პატარას; 41. ვიეტნამის ფულის ერთეული; 44. სურამის ქედი; 45. ვაზის ერთწლიანი რქა; 47. სასწორის თეფში; 48. რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი; 49. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი, დავრიში; 50. ზღვრული ნორმა; 51. გარეული მტრედი; 52. მუდამ, ყოველთვის (ძვ. წიგნ.); 54. მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ; 55. ერთგვარი თმის საღებავი; 56. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 59. თურქული ტექნიკის ფირმა; 60. ინდური კობრა; 62. ინდოეთის შტატი; 63. შეძახილი ქართული ცეკვისას.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| სახლის ზედა ნახევარსართული | ლავსანის სახელი ინგლისში | ვალი | ფელამუში | ძვ. ბერძენი რიტორი, სოფისტი | პირველი კაცი | სიმსივნის აღმნიშვ. დაბოლოება |
|---|---|---|---|---|---|---|

| კლოუნის კომედიური სცენა | ნაწლავების პარაზიტი ჭია | პროლეტარიატის ბელადი | ძველებური თოფი | ვატერპასი | ჰომეროსის პოემა | კეთილთვისებიანი სიმსივნე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 25 აპრილი – 1 მაისი №18 (1430)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**სარედაქციო კოლეგია**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**